ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 1624

# დროშა

დეკემბერი
№ 12 1983 წ.







ეროვნული
ბიბლიოთეკა

















ეროვნული ბიბლიოთეკა





# 1983











# მებრძოლი ნათელი მომავლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზინა გეგეშიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს, არალეგალურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლას". იგი ლენინური გაზეთების „ვპერიოდისა" და „პროლეტარის" შემდეგ უმნიშვნელოვანესი ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი იყო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინური იდეების გავრცელების, მისი დაცვისა და პროპაგანდის საქმეში.

1903 წლის მარტში, თბილისში, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობაზე შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირი, აირჩიეს მისი ხელმძღვანელი ორგანო — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. აქ გადაწყდა, ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალური გაზეთები ქართული „ბრძოლა" (№ 4-დან) და სომხური „პროლეტარიატი" (№ 2-დან) გაერთიანებულიყო. გაზეთი უნდა გამოეცათ ორივე ენაზე ერთი და იმავე შინაარსით, საერთო სახელწოდებით „პროლეტარიატის ბრძოლა".

გაზეთის პირველი ორი ნომერი 1903 წლის აპრილ-მაისის თარიღით, რსდმპ II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტის ბაქოს არალეგალურ სტამბა „ნინაში" გამოიცა, 1904 წლის სექტემბრიდან კი ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში იბეჭდებოდა. იგი გამოდიოდა 1905 წლის ოქტომბრამდე. მე-12 ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთის გამოცემა შეწყდა.

„პროლეტარიატის ბრძოლის" რედაქციამ იმთავითვე დაამყარა კავშირი ლენინური „ისკრის" რედაქციასთან. „ისკრის" მსგავსად გაზეთში მოათავსა სტატია „კარლ მარქსი", მისი გარდაცვალების მე-20 წლისთავის გამო. აქვე გადმოიბეჭდა „ისკრაში" მოთავსებული ცნობა „საორგანიზაციო კომიტეტის დაარსების შესახებ", ვ. ი. ლენინის სტატია „თვითმპყრობელობა ირყევა..."

მას შემდეგ, რაც რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობამ დაადგინა პარტიული ლიტერატურის გამოცემის გაფართოება, დაიწყო „პროლეტარიატის ბრძოლის" ფურცლის გამოსვლა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1903 წლის 1 ნოემბერს. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" № 7-ის (1904 წლის 1 სექტემბერი) გამოსვლამდე „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი" ერთადერთი ბოლშევიკური ორგანო იყო კავკასიაში.

1904-1905 წლებში „პროლეტარიატის ბრძოლის" რედაქციაში შედიოდნენ ი. სტალინი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი და სხვები.

რედაქციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან და საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან. 1904 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ცნობა გაზეთ „ვპერიოდის" გამოცემის შესახებ. კავკასიის კავშირის კომიტეტმა „ვპერიოდის" დასახმარებლად შექმნა ლიტერატურული ჯგუფი. ამ კომიტეტმა სთხოვა ლენინს ეთანამშრომლა „პროლეტარიატის ბრძოლაში". ვ. ი. ლენინი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს უგზავნის საპასუხო წერილს, რომელშიც თანახმაა, ითანამშრომლოს ამ გაზეთში.

1905 წლის იანვრის დამლევს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მიიღო პირველი ბოლშევიკური გაზეთის „ვპერიოდის" ნომრები. კავკასიის კავშირის კომიტეტმა განიზრახა „ვპერიოდის" მთლიანად გადაბეჭდვა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში. სხვადასხვა ხელშემშლელი მიზეზის გამო, ეს განზრახვა ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, „პროლეტარიატის ბრძოლაში" გამოქვეყნდა სტატიები და მასალები ლენინური „ვპერიოდიდან" და შემდეგ „პროლეტარიდან".

1905 წლის ივლისიდან „პროლეტარიატის ბრძოლა" რუსულ ენაზეც გამოდის. პარტიის ცენტრალური ორგანოს „პროლეტარის" რედაქცია მიესალმა „ბორბა პროლეტარიატას" პირველი ნომრის გამოსვლას: „ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საინტერესო გაზეთის შინაარსს. მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს" („პროლეტარი", 1905 წლის 16 აგვისტო). „პროლეტარში" არაერთხელ დაიბეჭდა დადებითი რეცენზიები „პროლეტარიატის ბრძოლის" შესახებ, გადაიბეჭდა მის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები და კორესპონდენციები. „პროლეტარიატის ბრძოლაში" ქვეყნდებოდა ვ. ი. ლენინის სტატიები.

ამიერკავკასიის რევოლუციური მასები „პროლეტარიატის ბრძოლის" მეოხებითაც მშობლიურ ენებზე ეცნობოდნენ და სწავლობდნენ პარტიის დიდი ბელადის ლენინის შრომებს. ისინი ამ შრომებით ხელმძღვანელობდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში.

„პროლეტარიატის ბრძოლამ" ბევრი რამ გააკეთა რსდმპ II და III ყრილობების გადაწყვეტილებათა პროპაგანდის, მათი განხორციელების საქმეში. იგი რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საუკეთესო კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი იყო. გაზეთი თანამიმდევრულად იცავდა ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს, მტკიცედ იბრძოდა მენშევიკების, ესერების, სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ. „პროლეტარიატის ბრძოლა" ზრდიდა ამიერკავკასიის მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რაზმავდა მათ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მშრომელთა ბედნიერი მომავლის — კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№ 12 (564) დეკემბერი, 1983

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1983 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

# ჩემპიონი

## ნიკოლოზ კვიჟინაძე



ლევან თედიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ვერაფერმა ატირა: ვერც ტკივილმა, ვერც სიბრაზემ და ვერც დამარცხებამ.

ერთხელ, პატარაობისას, ვენახებში გზა აებნა. მზე ჩავიდა და იგი ძილმორეულ ბუნებასთან მიატოვა. მაშინ კეთილი ვაზი, რომელიც უხვად მასპინძლობდა ხოლმე ტკბილი მტევნებით, შავ, დაკლაკნილ გველად მოეჩვენა. შეშინდა. თავს მაინც სძლია და მოჩვენებას შეეხო. ვაზი დედასავით თბილი იყო. იგი დამშვიდდა.

სოფელში ეკითხებოდნენ: შეშინდა თუ არა, ხომ არ უტირია?

არა, ნამდვილად არ უტირია.

პირველ კლასში იყო, როცა სოფელში, ჭიდაობის დღესასწაულზე, მასზე სიმაღლითაც და ხნითაც უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს შეეჭიდა. მეტოქემ იოლად წააქცია და ნიშნიც მოუგო. ბეჭები ძალიან ეტკინა, უფრო ძალიან კი შერცხვა — მთელი სოფელი უყურებდა.

არა, არც მაშინ უტირია.

ახლა კი ყელში გუნდასავით რაღაც მწარედ გაეჩხირა და ძლიერი ხელები მოამუშტინა.

ტყვიისფერი ღრუბელი ისე ჩამოწვა, თითქოს ყველა სულდგმულის მოსპობა სწადიაო. ციდან მუშტის სიმსხო ყინულის ბურთები ცვიოდა და ყველაფერს ანადგურებდა. ასეთი სეტყვა, მას კი არადა, მოხუცებსაც არ ახსოვდათ. საკუთარი უსუსურობა სტანჯავდა. იგი უთანასწორო ბრძოლის მოწმე იყო და სუსტის დაცვა კი არ შეეძლო.

ჯერ კიდევ გუშინ, მშვენიერი, მოწმენდილი ამინდი იდგა. კაცს ახარებდა თვალშესული ყურძნის ცქერა, ზაფხულის მზის სხივებში რომ ბანაობდა.

ლევანი საათობით დახეტიალობდა ვენახებში, შარიანი პატრონის მომთხოვნი თვალით უცქერდა თითოეულ ვაზს, რკინაბეტონის სარსა თუ მავთულს, წლის მოსავალს რომ ძლივს იკავებდა.

გამვლელს აკვირვებდა მისი დაკუნთული ტანი, განიერი მხრები, ჩვეული, გარდიგარდმო სიარული და გულღია გამოხედვა. ფიქრობდნენ, ნეტავ რას დაეხეტება ეს კაცი, რა დაჰკარგვია და რას ეძიებსო?

იქნებ იგი მიწასთან ურთიერთობაში მოსვენებას ეძებდა. იმ მიწასთან, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა, ნამდვილ ვაჟკაცად აღზარდა. მის წინაშე ხომ თავს მუდამ ვალდებულად თვლიდა. უბრალოა ცხოვრებისეული სიბრძნე: შეიძენ — გაეცი. და თუ იცი, რომ გასაცემი ბევრი გაქვს, მაშინ ნებისყოფითა და მოთმინებით უნდა აღიჭურვო და საქმეს შეუდგე.

სწორედ საქმით დაიწყო ლევან თედიაშვილმა, როდესაც დიდი ხნის შემდეგ, კვლავ მშობლიურ საგარეჯოში დაბრუნდა. იგი მამის სახლში შევიდა, როგორც ვალმოხდილი ადამიანი. მსოფლიოს საჭიდაო ხალიჩებზე ათი წელი იცავდა თავისი ქვეყნის ღირსებას. დაიცვა და დაბრუნდა, როგორც ორგზის ოლიმპიური, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ლენინისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი.

მოსკოვშიც სთავაზობდნენ დარჩენას, თბილისშიც, მწვრთნელობას ურჩევდნენ, მაგრამ იუარა. გული სხვას კარნახობდა. მალე საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

მამას, ქიტესას, უზომოდ გაუხარდა, რომ მის ვაჟს, თურმე, არ დაუკარგავს კახელი მევენახის სიამაყე, რომ კვლავაც თაობიდან თაობას გადაეცემა უძვირფასესი მემკვიდრეობა. დედა კი, ალექსანდრა, ლევანის გარშემო ფუსფუსებდა და ბედნიერებით ბრწყინავდა. სიბერეში დამხმარე მომევლინა, ოჯახს პატრონი გამოუჩნდა, მალე ახალ სახლსაც დავდგამთო. გულში ჩაიკრა ვახო და ბესო. თავის რძალს, ნანას, კი უთხრა: აქ იცხოვრეთ, ქალაქში რა დაგრჩენიათ, აქ უფრო საჭირონი ხართო. და გაახსენდა, ორმოციანი წლების ბოლოს, როგორ ესტუმრა თავის მეგობარ გოგონას და საბოლოოდ კი აქ დარჩენამ მოუწია.

ვოლოგდის ოლქიდან ჩამოსული რუსული ენის მასწავლებელი შუროჩკა ბალანდინა ადგილობრივ გლეხკაცს, ნაფრონტალ, ქიტესა თედიაშვილს მოეწონა. მალე მათ თავიანთი სიყვარული ხელმოწერითა და ბეჭდებით დაადასტურეს და ტკბილად დაიწყეს ცხოვრება, თუმცაღა მძიმე და ძნელი ხანა იდგა. ახლა კი... ვაჟიშვილი დაუბრუნდათ, თანაც ჩემპიონი! დიასახლისი სუფრის გაშლას ჩქარობს. მიპატიჟების ლოდინით დაღლილ მეზობლებს ერთი სული აქვთ, როდის გაიზიარებენ ლევანის ჩამოსვლით გამოწვეულ სიხარულს.

ლევანმა საქმით დაიწყო. ჯერ ძირფესვიანად შეისწავლა იგი. ცალკე ამოიწერა ციფრები: 1976 წელს საგარეჯოს რაიონში 3.940 ტონა ყურძენი მოიკრიფა, დღეისათვის რაიონი 20 ათას ტონაზე მეტს იძლევა, 1990 წლისთვის კი გათვალისწინებულია 100 ათას ტონიანი მიჯნის დაძლევა. გზა-ზვრების გაშენება. შრომის კულტურის ინტენსიური ამაღლება. პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა, მედეა მეზვრიშვილმა, უთხრა: საქმეს თუ შეუშინდი, შენს ჩემპიონობას არად ჩავაგდებ და ორთაბრძოლიდან მოგხსნიო.

მას არ ახსოვს, ორთაბრძოლიდან რომ მოეხსნათ. აჯარიმებდნენ, მაგრამ მოხსნით — არასოდეს. ხალიჩიდან იშვიათად მიდიოდა დამარცხებული. ის კი გაიხსენა, როგორ წერდნენ მასზე გაზეთები: „ბრძოლის რომანტიკოსია, იგი გამოირჩევა არაჩვეულებრივი ღონით, ელვისებური რეაქციით, შებმის ღია მანერით“. საკუთარი თავის ღალატი კი არ ვარგა. დავჯდები, ყველაფერს ავწონ-დავწონი. საბჭოთა მეურნეობაში 120 ჰექტარი ვენახია და 350 კაცი შრომობს, ამათგან 97 კომუნისტია და 40 კომკავშირელი. საქმე თითქოს იოლია: გავზარდოთ საჰექტარო მოსავლიანობა და რეკორდულ მოსავალსაც მოიწევ. რეკორდული და არა ნორმა. ნორმა მას არ შეჰფერის. ლევან თედიაშვილი საშუალოებში ხომ არ მოკალათდება? აქ ამისთვის არ მოსულა, მაგრამ როგორ მოიქცეს, წარმატებას რომ მიაღწიოს? სპორტში ყველაფერი ნათელია. გყავს მეტოქე. რომელიც უნდა დაამარცხო. მევენახეობაში კი მოწინააღმდეგე გაურკვეველი მცნებაა. მხოლოდ ნებისყოფის იმედზე ვერ იქნები. ვაზი ძლიერია, მაგრამ ნაზი. გულმოდგინე მოვლას მოითხოვს. ხელი თუ დააკელი — ჭირვეულობს. სხვა კულტურები უფრო იოლი მოსავლელია, ვენახს კი დიდი წვალება სჭირდება. და თუ მოთმინება და გულმოდგინება არ იქონიე, თუ ზრუნვასა და ყურადღებას მოაკლებ, ჩათვალე, რომ მოსავალი არ გექნება, თუ გექნება — უხარისხო.

რა არის რქაწითელი? ამ ჯიშს შაქრიანობა 18 პროცენტზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს. რაც მეტია, უკეთესია ხარისხი, მაგრამ მჩატეა. რქაწითელისთვის ძირითადი მკვებავი მზეა. თუ მზე არ იქნება, არც რქაწითელი იქნება. მოდი და მზეს მოუარე. ვთქვათ, ყურძნის შაქრიანობამ მინიმუმს მიაღწია, ავიღოთ მოსავალი თუ დაველოდოთ? ვაითუ ხვალიდან გაწვიმდეს და ერთი კვირა აღარ გადაიღოს. რაც არ უნდა იყოს, შემოდგომაა. მეორე მხრივ, რთველს დაიწყებ და ამინდი არ იცვლება, კვლავ დარია. როგორ არ მოგივა ბრაზი აჩქარებისათვის. მო-

# „დროშა“ 60

ექვსი ათეული წელია „დროშა“ ემსახურება მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. ჟურნალი გახდა რესპუბლიკის ცხოვრების ჭეშმარიტი მატიანე. პირველი ნომრიდან მოყოლებული დღევანდლამდე ქართველი მწერლები მის ფურცლებზე აქვეყნებდნენ და აქვეყნებენ თავიანთ საუკეთესო პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, მხატვრულ ნარკვევებს, პუბლიცისტურ სტატიებს. ცოცხლად ეხმაურებიან ჩვენი სინამდვილის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, — ხაზგასმულია მისალმებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა რედაქციის კოლექტივს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მრავალრიცხოვან მკითხველებს „დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით.

რესპუბლიკის მკითხველები დიდად აფასებენ ჟურნალის ავტორიტეტს, უყვართ იგი. ამ სიყვარულის გამოხატულება იყო საიუბილეო საღამო, რომელიც 30 ნოემბერს გაიმართა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. გ. ნ. ენუქიძემ. ერთსულოვნად, შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ჟურნალის მიერ განვლილი გზის შესახებ მოხსენება გააკეთა „დროშის“ მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა ხ. ბერულავამ.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დავითაშვილი, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ო. თენეიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, ბელორუსი მწერალი ვ. ნიკიფოროვიჩი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შემდუღებელი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი უ. ივანიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. გამცემლიძე, რომლებიც გულითადად მიესალმნენ რედაქციის კოლექტივს, ავტორთა აქტივს და უსურვეს მათ ახალი წარმატებანი.

პოეტმა ო. შალამბერიძემ წაიკითხა ჟურნალ „დროშისადმი“ მიძღვნილი ლექსი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები. (საქინფორმი).

---

დი და უტრიალე ერთსა და იმავე რებუსს. ახლა კიდევ მექანიზაციისა თუ ნიადაგის განოყიერების პრობლემები... ერთი მცდარი ნაბიჯი ათ სწორს გაგიუქმებს. მოისაზრე, რჩევა სთხოვე უფროსებს, ხალხს მიუდექი, ერთი სიტყვით, უხელმძღვანელე. თუ გაგიჭირდა, თავმჯდომარე გუგული ერბოწონაშვილი დაგეხმარება საქმითაც და სიტყვითაც.

შეუმჩნევლად განვლო ორმა წელმა. მოღონიერდა მეურნეობა. გასულ შემოდგომას 4000 ტონაზე მეტი ყურძენი მოიკრიფა, უფრო მეტი, ვიდრე უწინ მთელი რაიონი კრეფდა. ახლა შეიძლება რეკორდზე ფიქრი. ლევანი ღირსეულად უძღვება პარტიულ საქმიანობას. მას პატივს სცემენ. მასთან მიდიან რჩევისა თუ დახმარებისათვის. უარით არავის ისტუმრებს და როგორც კი თავისუფალი წუთი გამოუჩნდება, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადისკენ მიიჩქარის. იგი მაშინ ჩამოაყალიბა, როცა ნახა, რომ 22 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არც ერთი ახალგაზრდული ბრიგადა არ იყო. უწესრიგობაა! რა დაავიწყებს, რომ იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი იყო. გადაწყვიტა: შემოეკრიბა ახალგაზრდები, გამოეყო მათთვის მიწის ნაკვეთი. დაე, მოუარონ და გამოცდილება შეიძინონ.

ბრიგადა ყოველთვის სიხარულით ხვდება. 30 ჭაბუკი და ქალიშვილი განა სათქმელი არ არის? ყველა ყურადღებას თხოულობს: მანანა კოხტაშვილი, ლევან პაპიაშვილი, ლია როსტიაშვილი. ბრიგადირი ელენე ქვლივიძე კი ჯავრობს — მოასვენეთ, ვერა ხედავთ, ადამიანი დაღლილია! დაღლილობა კი ლევანს ავიწყდება, როდესაც ახალგაზრდების სახეებს შეჰყურებს.

და უცებ სეტყვა!

1974 წელი გაახსენდა. ესპანეთი. ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. იგი გადამწყვეტ ორთაბრძოლას, ანგარიშით 7:0, აგებს მარჯვე და ტექნიკურ სპორტსმენთან, გერმანელ ხორსტ შტოტმაისტერთან. ლევანს აღარა აქვს ძალა. უჭირს განაგრძოს ორთაბრძოლა. მხოლოდ სასოწარკვეთის ტკივილიღა დარჩენია. და გაიგონა უფროსი მწვრთნელის იური შახმურადოვის ხმა: „გამაგრდი, შენი ვახოს გულისათვის, შენი საგარეჯოსათვის“. სხეულის ყველა უჯრედი გამოცოცხლდა. ახალი ძალა იგრძნო. ხორსტს უკვე ლევანი კი არა, კახეთის მთელი სოფელი შებმოდა და ასპარეზობის ბედიც წარმატებით გადაწყდა.

იგი ახლაც სასოწარკვეთის ტკივილს განიცდიდა, როდესაც უცქერდა, სტიქიით როგორ ნადგურდებოდა მრავალი წლის შრომით გამოზრდილი ვაზი.

ლევანმა ვერც შეამჩნია, მის გარშემო როგორ შეიკრიბნენ ახალგაზრდები. ბაგეზე ერთი კითხვა შეჰყინოდათ: გამოდის, რომ ტყუილად ვიწვალეთ, ტყუილად ველოდით? ლევანი დუმდა. ტუჩი კბილებშუა მოექცია. რა უნდა ეპასუხა მათთვის! ევაუკაცა და ეთქვა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არისო? ყველაზე ოპტიმისტურ სიტყვებსაც ხომ არ ძალუძთ, წაშალონ სინამდვილე.

თავჩაღუნულნი იდგნენ, სანამ ცა არ მოიწმინდა. ლევანი პირველი შევიდა ვენახში. მას დანარჩენები მიჰყვნენ. გადასარჩენის გადარჩენა იყო ახლა მთავარი. მავთულს ჭიმავდნენ, ზედ ვაზს ამაგრებდნენ და დამტვრეულ ტოტებს უხვევდნენ. მეტისმეტი დაღლილობისაგან წელი ეტკინათ. სიცივეში ხელები ეთოშებოდათ, მაგრამ არავინ წუწუნებდა და არც არავის მიუტოვებია სამუშაო, რომელიც მათი ცხოვრების აზრი გახდა. რას ვიზამთ, წელს ამინდი არ სწყალობდათ. სეტყვამ მოსავლის მესამედი ქვეშ დაიტანა. რეკორდულ ციფრებზე ფიქრიც ზედმეტია. ახლა კიდევ, ამ გახურებული რთველის დროს, ქარმა მოუხშირა. ხმაურობს, იმუქრება. ისე გეძგერება, ლამის არის წაგაქციოს, მაგრამ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გეგმა უნდა შეასრულო. ეს პირობაა!

მუშაობენ ახალგაზრდები. რას დააკლებს მათ ქარი! ცეცხლი უკიდიათ. ლევანიც მათთან ერთად ვენახშია. კმაყოფილია. მაინც გადაარჩინეს კომკავშირელებმა თავიანთი 11 ჰექტარი. გაამართლა მათმა დამოუკიდებლობამ, ბრიგადულმა იჯარამ. ახალგაზრდები ხომ თვითონ სწყვეტდნენ, როდის შეეტანათ მინერალური სასუქები, როდის მოეხნათ, როდის აეხვიათ, როდის შეეწამლათ, როდის დაეწყოთ რთველი. სოფელში ხომ ამბობენ: საქმიანობაში მთავარი პასუხისმგებლობააო.

შესვენებაზე ახალგაზრდები ლევანის ირგვლივ იკრიბებიან. იგი ეუბნება, რომ ყოველ ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს. ჩვენი ბედი კი ვაზთან არის დაკავშირებული. უჩვენოდ გახმება. რა თქმა უნდა, ქალაქში უფრო სიმხიარულეა და საზრუნავიც ნაკლებია, მაგრამ მხოლოდ ცუღლუტი გაურბის საზრუნავს. აი, როგორ შენდება ჩვენი რაიონი. ნამდვილ ქალაქს დაემგვანა.

შემდეგ კი ახალგაზრდები კითხვებს აყრიან. აინტერესებთ, ხომ არ ნაღვლობს დიდ სპორტთან განშორებას. ლევანი ჩაფიქრდება და ამბობს: ცოტათი კი, მაგრამ დიდი სპორტი ხომ პატარით იწყება. ჩვენთან, საგარეჯოში, ქვა რომ ააგდო, მოჭიდავეს დაეცემა. ჭიდაობენ ღია ცის ქვეშ, ზამთარშიც და ზაფხულშიც. ღონიერია ჭიდაობის ტრადიციები. კარგია, რომ მალე რაიონულ ცენტრში ქართული ჭიდაობის სპორტსკოლას გავხსნით. საგარეჯოელებს ახალი დარბაზი გვექნება და ჩემპიონებსაც გამოვზრდით. სხვაგვარად არ ღირს ამ საქმეზე ხელის მოკიდება.

დიახ, ის ისევ სახელოვან ჩემპიონებს გამოზრდის!

# საწყისი ღირსება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ მჭედლიშვილი

მასპინძელმა ლიფტამდე გამომაცილა. ვიფიქრე, ალბათ აქ დავემშვიდობებითმეთქი, ერთმანეთს. მაგრამ არა. ჩამომყვა ქვემომდე და მხოლოდ დათოვლილ სმოლენსკის ბულვარზე ფეხის გადადგმისას მითხრა:

— აბა, კარგად იყავი... გენაცვა! ოღონდ, ძალიან გთხოვ, ეგ მასალები არ დამიკარგო, გენაცვა!

და შემდეგ, მთელი გზა სახლამდე, ანუ ჩემს საკორესპონდენტო პუნქტამდე ვფიქრობდი იმას, თუ რამხელა საგანძურს შეიცავს მარტო ჟურნალისტიკისთვის კი არა, ნამდვილი დიდი ლიტერატურისთვის, დიდი კინემატოგრაფისთვის, საერთოდ — ჩვენი სასიცოცხლო, კაცთმოყვრული და პატრიოტული ხელოვნებისათვის ასეთი ადამიანების ბრძოლისა და ცხოვრების შესწავლა. რამდენს შესძენს მომავალ თაობებს რწმენის, სიმტკიცის, ბრძოლისუნარიანობის, შემართებისა და შთაგონებისათვის იმ რაინდული ყოფის ამსახველი მაგალითები, ამ სამოცდაათი წლის ქართველის ბუნებაში რომ აღბეჭდილან.

„ძალიან გთხოვ, ეგ მასალები არ დამიკარგო, გენაცვა!“

მითხრა ტექნიკური ჯარების გენერალლეიტენანტმა, სოციალისტური შრომის გმირმა შალვა ნიკოლოზის ძე ჟიჟილაშვილმა და დამშვიდობების დროს ღონიერი ხელით ჩამორთმევისას ჩემს მარჯვენას მიანდო მისთვის უძვირფასესი რელიკვია— საბუთები.

რა უფლების ძალით უნდა დაიკარგოს ის, რაც უკვდავების საწყისებით ნიშანდებულია!

ადამიანის სიცოცხლე მარადიულ ჭიდილში გადის და გადადის დალოცვილ ანდერძში სამომავლოდ.

ადამიანის საქმენი უკვდავად რჩებიან, თუკი ისინი ხალხის საკეთილდღეოდაა მირონცხებული.

გენერალ-ლეიტენანტ შ. ჟიჟილაშვილის პიროვნული პორტრეტი მის მიერ განვლილი ტიტანური გზის ქრონოლოგიური მკაცრი ჩამოთვლითაც კი შეისხამს ხორცსა და ფერს.

იგი დაიბადა ქსანში 1914 წლის თებერვლის ოცს — რკინიგზის მუშის ოჯახში. დაამთავრა მე-6 შრომის სკოლა თბილისის ლენინის რაიონში, რის მერეც მოეწყო შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში და იქიდან 1933 წელს გააგზავნეს ინგირის რკინიგზის მშენებლობის ტექნიკოსად. 1934 წლის თებერვალში ჯარში გაიწვიეს.

თვრამეტი წელი იმუშავა რკინიგზის მშენებლობათა უფროსად სახალინზე, ვლადივოსტოკში, სუჩანში, ჩიტაში, ირკუტსკში. 1939 წელს უფროსი ლეიტენანტი შალვა ჟიჟილაშვილი შედის ლენინგრადის სამხედრო-სატრანსპორტო აკადემიაში, მაგრამ 1942 წელს მესამე კურსიდან მას ფრონტზე წაიყვანენ რკინიგზის ცალკეული 82-ე ბატალიონის უფროსად.

აქ, ფრონტზე, სრულად გაიშალა ქართველი მეთაურის დიდი ორგანიზატორული უნარი და მებრძოლური თვისებები. საოცრად მომთხოვნმა საკუთარი თავისა და ხელქვეითების მიმართ, მზრუნველმა და გაბედულმა მეთაურმა შესძლო, სულ მოკლე ვადაში ერთსულოვან საბრძოლო ნაწილად გადაექცია თავისი ბატალიონი. 1943 წელს ეს ბატალიონი იცავდა სადგურ გორბაჩოვოს და ფრონტისპირა რკინიგზის მეწინავე უბანს. ჰიტლერელთა ავიაცია დღე და ღამე ბომბავდა ამ ადგილს, ცდილობდა, ყოველ მიზეზგარეშე ძირფესვიანად მოეშალა სადგურის მუშაობა. მტერი ზოგჯერ ახერხებდა გაჩერებული ეშელონების აფეთქებას, ანგრევდა სადგურის საგზაო ხაზებს. მაგრამ რკინიგზის ბატალიონის მებრძოლები გმირულად უმკლავდებოდნენ მტერს და უმალ უშიშრად აღადგენდნენ ხოლმე ყუმბარებისა და ტყვიის წვიმაში დაზიანებულ უბნებს. განადგურებისგან იხსნიდნენ ძვირფას ტვირთს. და ეს ალმოდებული სადგურიც კვლავ და კვლავ უშვებდა ფრონტისკენ ტანკებით, არტილერიით, ტყვია-წამლით, საწვავით დატვირთულ შემადგენლობებს. ერთდროულადვე, ამ ქარ-ცეცხლში, ბატალიონში უნიკალურად მომზადდა 150 სნაიპერი, რომლებმაც თავიანთი თამამი გასვლებით ცეცხლის ხაზზე რამდენიმე ასეული ფაშისტი ოკუპანტი მოსპეს.

მცენსკი, ორიოლი, ბრიანსკი, უნეჩა, გომელი, იდრიცა, კრუსტპილსი, რიგა — ასეთია შალვა ჟიჟილაშვილის მეთაურობით გავლილი საბრძოლო გზა სანიმუშო 82-ე ბატალიონისა.

საფრონტო მაგისტრალების აღდგენისას უებრო ვაჟკაცობისა და თავგანწირვის გამოჩენისთვის, რკინიგზის ბატალიონის მეთაურს შ. ჟიჟილაშვილს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1943 წლის 5 ნოემბერს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

დასრულდა დიდი სამამულო ომი. შალვამ დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სატრანსპორტო აკადემია: იგი იყო სკკპ XXII ყრილობის დელეგატი. დღეს იგი სამხედრო სამსახურიდან უკვე ისვენებს, თუმცა, კავშირს არმიასთან არ ჰკარგავს. ხშირად ეწვევა ხოლმე ჯარის ნაწილებს, იყო ბამზე. და ყველგან და ყოველთვის ცდილობს გაუზიაროს საკუთარი მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდობას.

1981 წლის 2 აგვისტოს, რკინიგზელთა საკავშირო დღეს, გენერალ-ლეიტენანტი შალვა ნიკოლოზის ძე ჟიჟილაშვილი თავის შვილთან, რკინიგზის ჯარების მაიორ ნიკოლოზ შალვას ძე ჟიჟილაშვილთან ერთად გამოვიდა საკავშირო ტელევიზიის პირველი პროგრამის გადაცემაში „ვემსახურები საბჭოთა კავშირს“. მამა-შვილის გამოსვლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა და აღინიშნა ტელემაყურებლებისა და სპეციალისტების მიერ, როგორც საოცრად შინაარსიანი და დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე შეხვედრა ცისფერ ეკრანთან.

ჰოდა, აი, ასე მოკლედ და მკაცრი ქრონოლოგიზმით გამოვყავით შ. ჟიჟილაშვილის გზა დასაწყისიდან დღემდე. ყოველივე ეს ამოვიკითხეთ საკავშირო, რესპუბლიკური, დარგობრივი და საფრონტო-საბრძოლო გაზეთების ფურცლებზე.

„ძალიან გთხოვ, არ დამიკარგო რა, გენაცვა!“

რომ იცოდეთ, რამდენი მასალა მიპყრია ხელთ, ჩემმა სახელოვანმა თანამემამულემ რომ მანდო. რამდენი ფოტოსურათი დავათვალიერე! რამდენი წიგნი და ბროშურა გვიამბობს მის შესახებ პროფესიულად, მაღალი სამხედრო პრინციპების დაცვით. თუ გაინტერესებთ, გადაშალეთ „მეორე მსოფლიო ომის ისტორიის“ ბოლო გამოცემის მე-7 ტომი; „დიდი სამამულო ომის ისტორიის“ მე-4 ტომი. 1968 წლის გამოცემა „სსრკ შეიარაღებული ჯარების 50 წელი“ კი ჩვენს გენერალ-ლეიტენანტს ამ კრებულის ერთ-ერთ თანაავტორად წარმოგვიდგენს.

„არ დამიკარგო რა, გენაცვა!“

ვიცი, რასაც ფიქრობდა ჩემი მასპინძელი ამ სიტყვების წარმოთქმისას.

მას ძალიან არ სურს, დაიკარგოს ყოველივე, რაც მის მოგონებათა საგანძურს შემოუნახავს დღემდე — მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის ბრძოლისა და ჭიდილის გრიგალისებური ეტაპები, რომელთა სიმძაფრესა და ბრწყინვალებაშიც 1935 წლიდან მთელი 50 წელია ერთგულ თანამებრძოლად, ოჯახში და თვით მისი გმირული ბატალიონის შემადგენლობაშიც საფრონტო გზებზე, დღემდე ღირსეულად მოჰყვება მეუღლე ალექსანდრა გრიგორის ასული: მოჰყვება მამის დაუვიწყარი სახე ნაძალადევში, და ძალდაუტანებელი თხრობა ბავშვობასა და ყრმობაზე, თბილისსა და ლენინგრადზე, რისხვასა და სიყვარულზე, მასწავლებლებსა და ამხანაგებზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ომსა და მშვიდობაზე, ძველსა და ახალზე!

ჩვენს ჟურნალ „დროშას“ და მის მკითხველებს მამულიშვილური კრძალვითა და ჯარისკაცული შემართებით ულოცავს ახალ, 1984 წელს ჭაღარა ქართველი სარდალი...

მას სურს, გადასცეს თავისი ნაჯაფი, ნაომარი, ეპოქალური მოვლენებით დაცხრილული და, ამასთანავე, ამ ეპოქალური მოვლენებითვე შემკული ბიოგრაფიის ფურცლები ბედნიერი შენებისა და წინსვლის საწინდრად ხალხს, რომელსაც აღმერთებს.

რამდენი რამ არის მოქცეული პირუთვნელად, ალალად, ვაჟკაცურად და უსაყვედუროდ გატარებულ ამ პატრიოტულ სიცოცხლეში!

ქ. მოსკოვი.

# ბუნება და მშვიდობა

ვახტანგ დარახველიძე,
პროფესორი

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, ისევე, როგორც სოციალურს, ახასიათებს ნგრევისა და შენების პროცესი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ადამიანისა და ბუნების ურთიერთგავლენის მასშტაბი მკვეთრად შეიცვალა. ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ, რაც ბუნებრივი რესურსების მტაცებლურ გამოყენებას ემყარება, გარემოში ბევრი უარყოფითი მოვლენა გამოიწვია. ამან განაპირობა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკოლოგიური განგაშის მოზღვავება. ამ საკითხში აზრთა დიდი სხვადასხვაობის მიუხედავად, გამოიკვეთა პრობლემების წრე, რომელიც ეხება გარემოს ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ცვლილებებს.

თუ რამდენად აქტუალურია დღეს ეს პრობლემები, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მრავალრიცხოვანი ციფრებით და ფაქტებით, რომლებიც საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზეა გამოქვეყნებული. ამათგან შევეხოთ ზოგიერთს: მაგალითად, აშშ-ში სხვადასხვა სახეობის სათბობის წვის შედეგად ყოველწლიურად ჰაერში იფრქვევა 140 მილიონი ტონა მავნე ნივთიერებები — გოგირდის, აზოტის ჟანგეული და სხვა. ამასთან აღნიშნავენ, რომ თუ შენარჩუნებული იქნება გარემოს გაჭუჭყიანების არსებული ტემპი, მავნე გამონაბოლქვი ყოველ ათწლეულში გაორმაგდება და 2000 წლისათვის ატმოსფეროში მოხვდება ერთ მილიარდ ტონაზე მეტი. მისგან გამოწვეული ზარალი აშშ-ში 80-იანი წლების ბოლოს 500 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

დამახასიათებელია ასეთი ციფრებიც: თანამედროვე პირობებში წვის პროცესების ზრდის შედეგად ატმოსფეროში ნახშირმჟავა გაზის რაოდენობამ იმატა 10-15%-ით. ცეცხლი, რომელმაც უზრუნველყო საზოგადოებრივი პროგრესი, ხალხებისათვის ბოროტებად შემობრუნდა, რადგან სადაც ცეცხლია, იქ კვამლიც არის.

„ჯენერალ მოტორზის" კომპანია (აშშ), რომლის წილად ატმოსფეროს აუზის მთელი გაბინძურების 35% მოდის, ბუნების დაცვისათვის გამოყოფს მთლიანი პროდუქციის ღირებულების მხოლოდ 0,06%-ს.

გავიხსენოთ კლივლენდის (აშშ) 1969 წლის ზაფხულის დრამატული ეპიზოდი, როცა მდინარე კაიახოგი აივსო სხვადასხვა ნარჩენებით, იფეთქა ხანძარმა და მწყობრიდან გამოიყვანა რკინიგზის ორი ხიდი. მდინარე კაიახოგის დაბინძურების მაღალი დონე გამონაკლისი არ არის.

სიბორგის აზრით, თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდა, XX საუკუნის ბოლოს ქვეყნის (აშშ) 22 სამდინარო სისტემა ბიოლოგიურად მკვდარი აღმოჩნდება.

ბუნებრივ გარემოში შექმნილ არასასურველ მდგომარეობის მიზეზთა შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. მაგალითად, ვეისი გარემოს გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებით აყენებს ძალზე „მიამიტ" ფორმულირებას: „დამნაშავეა ტექნოლოგია". მასვე ეკუთვნის აზრი, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ღარიბ-ღატაკებს, რომლებიც თითქოს „ქუჩებში ყრიან ლპობად ნაგავს".

ცნობილი პროგრესული ამერიკელი მეცნიერ-ეკოლოგი ბ. კომონერი ამტკიცებს, რომ აშშ-ში ომის შემდგომი ბოლო 25 წლის პერიოდში ბუნებრივი გარემოს ათმაგი გაჭუჭყიანება გამოწვეულია არა წარმოების ზრდით (ის შეადგენს დაახლოებით 40%-ს), არამედ წარმოების სპეციფიკური ცვლილებებით, რის ძირითად მიზეზად უფრო მეტი მოგებისაკენ ლტოლვას ასახელებენ.

დღეს განგაშს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ახალი ქიმიური ნივთიერებების და მასალების მზარდი წარმოება და ბიოსფეროში მისი უკონტროლო გავრცელება.

მავნე ნივთიერებებმა არ იციან სახელმწიფო საზღვრები, ისინი თავისუფლად მოგზაურობენ. მაგალითად, კანადის ტერიტორიაზე გახშირდა შხამიანი წვიმები, ის მოაქვს ღრუბლებს, რომლის ფორმირება ხდება აშშ-ის ტერიტორიაზე, სადაც ქარხნებიდან ატმოსფეროში იფრქვევა უამრავი მავნე ნაერთი. ასევე ცნობილია ფაქტი, რომ რურის ცას მუდმივად ეფარება კვამლის ღრუბლები, რომლებიც გაბატონებულ ქარებს გადააქვთ სკანდინავიის ქვეყნებში.

საგანგაშოა ბუნების გაღატაკების უკანასკნელი პერიოდის დამახასიათებელი ავისმომასწავებელი ნიშნები. აი, ზოგიერთი მათგანი: ბუნების, ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის მონაცემებით ეროზიის შედეგად და მრეწველობის, ენერგეტიკის, მაღაროებისა და სატრანსპორტო გზების, აეროდრომების — განსაკუთრებით სამხედრო დანიშნულების ობიექტებისათვის (ამაში არ შედის მიწები სხვადასხვა დანიშნულების საცდელი პოლიგონებისათვის), აგრეთვე დასახლებული ადგილებისა და ქალაქმშენებლობისათვის, ყოველწლიურად მიწების დანაკარგი 5-7 მლ. ჰექტარს აღწევს და ხმელეთის დეგრადირებას იწვევს წუთში 44 ჰექტარის სისწრაფით. ამასთან უდაბნო საჰარას ფართობი ბოლო ნახევარ საუკუნეში გაიზარდა 650 ათასი კვ. კილომეტრით. მთელი რიგი სახელმწიფოების ოფიციალური ცნობებით, როგორიცაა სენეგალი, მალი, ნიგერია, კამერუნი, ჩადი, სუდანი — უდაბნო საჰარას სამხრეთ ნაპირები წინ იწევს ყოველწლიურად 1-10 კმ. სიჩქარით. მკვდარი ქვიშები ნთქავენ მწვანე ოაზისებს, ამახინჯებენ და მკვდრად აქცევენ ბუნებრივ ლანდშაფტებს. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს აზიისა და ამერიკის ქვეყნებში. ამასთან, დედამიწაზე ყოველ წუთში ისპობა 20 ჰექტარი ტროპიკული ტყე, რომელიც ატმოსფეროში ჟანგბადის ძირითადი მიმწოდებელია.

ჩვენი პლანეტის მწვანე საუნჯის ორი მესამედი ტყე უკვე გაიჩეხა. დედამიწის მწვანე სამოსის განადგურებამ გამოიწვია ნადირ-ფრინველის დაღუპვა.

ბუნებრივი გარემოს გაუარესება მსოფლიოში ჯერ კიდევ მზარდი ტემპით გრძელდება: ყველაზე მეტად დამაფიქრებელია მსოფლიოს ოკეანის მდგომარეობა. თუმცა დედამიწის ზედაპირის 70% ზღვების სივრცეს უკავია, მასზე ანთროპოგენური დატვირთვა დღეს უკვე თავს იჩენს და მჟღავნდება ზღვის გარემოს დეგრადაციაში. მსოფლიოს ოკეანის ზედაპირის ერთი მესამედი დაფარა ნავთობის ბრკემ, ხოლო ხმელეთის მდინარეების ერთ მესამედზე მეტი გაჭუჭყიანებულია მასში ჩამდინარე წყლებით.

განგაშს იწვევს აგრეთვე კლიმატის მდგომარეობა დედამიწაზე. ის დამოკიდებულია ატმოსფეროს ტემპერატურულ რეჟიმზე, ოზონის ფენის მდგომარეობაზე, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებაზე და სხვა.

1900 წლიდან 1977 წლის ჩათვლით მსოფლიოში ყველა სახის ენერგიის წარმოება გაიზარდა 12-ჯერ, მარტო უკანასკნელ ათწლეულში ორჯერ. დედამიწაზე ენერგიის წარმოება და მოხმარება თუ კიდევ გაიზრდება დაახლოებით 100-ჯერ, მეცნიერების გამოთვლით, შეიძლება მოხდეს კლიმატის შეუქცევადი ცვლილებები.

კიდევ უფრო მეტ განგაშს იწვევს ახალი ქიმიურ ნივთიერებებისა და მასალების მზარდი წარმოება და ბიოსფეროში მისი გავრცელება. ყველაფერი ეს მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას და ყველა ხალხის კოლექტიურ დარაზმვას.

გამოდევნება შეიარაღებისადმი ნთქავს უდიდეს ფინანსურ სახსრებს — ყოველდღიურად 1 მილიარდ დოლარზე მეტს და აურაცხელ ზარალს აყენებს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის რაციონალური ღონისძიებების განხორციელებას. სამხედრო საჭიროებისათვის იფლანგება ბუნებრივი რესურსები, რომელსაც შეეძლო მილიონობით ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება.

ბუნება და მშვიდობა დედამიწაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის საერთო საზრუნავია.



# ნიკას თავგადასავალი

მოთხრობა

გიორგი პაპუაშვილი

დილაადრიანად დიდი ჭიქით არაყი გადახუხა, ქვინტიან კალოშებში ფეხი წადგა, ქამარში — ზურგთან წალდი გაირჭო, სასხლავი მაკრატელი აიღო და ვენახისკენ დაეშვა. ვენახამდე კაიძალი გზაა, თანაც ორღობეებზე... ალაგ თუ თალმებით ნაღობია, სხვაგან ცოცხალი ღობეებია: კუნელიანი, მაყვლიანი, კვრინჩხიანი, ასკილიანი, თხილიანი, შვინდიანი და შვინდლარწყიანი. ალაგ-ალაგ შაშვები და ჩხართვები დაფრინავენ, ზოგან კი კურდღელსაც შეიძლება გადააწყდეთ. წინათ უფრო მრავლად იყო კურდღელი და ფრინველი, მაგრამ ბოლო დროს ძალიან შეთხელდა. შეთხელდა, მაგრამ ნიკას მაინც ებევრება: ეგენიც არ უნდა იყვნენო. შაშვების დანახვაზე კი ხმამაღლა შეიკურთხება ხოლმე:

— რა გაჭახჭახებს, შე უპატრონო, შენს მეტი არავინ არი აქა?!

არიან, როგორ არა, მაგრამ ნიკას, რომელსაც რატომღაც ჯავრიას უფრო ეძახიან, ყველა ემალება... ამ გაზაფხულზე თხილიანში ერთ შაშვს ბუდე ჩამოუშალა: ამის მეტი ადგილი ვერსად იპოვნეო?

მიდის ჯავრია და ხედავს, რომ გაღმასოფლელ კაცს ვენახის ბოლოზე ახალი ღობე გაუკეთებია.

— დახე, ამ მამაძაღლს რა უქნია? მარგილები ჩაუყრია და ჯაგი დაულობებია. ამ ერთი ხელმანისთვის კი როგორღაც წვერი ჩემკენ მოუშვერინებია და იგრე არ მაისვენებს, რომ არა მავნოს რა!

მარგილს დაებღაუჭა, ექაჯგურა, ექაჯგურა და, როგორც იყო, ძვრა უყო ადგილიდან. მერე მოინაცვლა ხელი, ღობე მოიკრიბა, დაალაყლაყა, ამოგლიჯა და შიგნით გადააგდო ვენახში:

— წადი და, სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვი, არ დავავიწყდეს!

მიდის ჯავრია.

— ე ქვა რატო ისე გდია, ეს უპატრონო?!. ეს ალბათ ჩვენებიანთ თხუნელამ გადმოაგდო: ჯავრია ნიკამ ფეხი წამოჰკრას და შუბლი გაიტეხოსო. უყურე იმ პირქვედასამარხავსა და მამაძაღლს!

ჯავრიამ ის ერთი ქვა რომ ვენახში გადააგდო, სხვა ქვებიც წამოკრიფა და თავისი ბიძაშვილის ვაზებში გადაუძახა. ერთხელ კიდევ დაიკუზა ქვების ასაკრეფად, მაგრამ დაინახა, რომ ქვემოდან კიაზო მოდიოდა და, ეჭვი რომ არ აეღო, ჩაიმუხლა, ვითომ კალოშს ვისწორებო.

— გამარჯობა, ნიკავ! — მიესალმა კიაზო.

„გამარჯობა, შენც ახო ჰარიზიდან მობრძანდები, შენი თავის გახეთქამო", — გაივლო გულში, მაგრამ მაინც ზმუკუნით უპასუხა დილის სალამზე და გაიფიქრა: „როგორ დამასწრო ამ მამაძაღლმა, რო ვენახში ჩასულა და მოდის კიდეცო. ან რა გააკეთა ესე ადრიანად, გაღიმებული რო ბრუნდებაო".

— სასხლავად მიდიხარ? — ჰკითხა კიაზომ, რაკილა სასხლავი მაკრატელი დაუნახა.

— არა. უნდა გავკაფო, — უგემურად უპასუხა და თან გაიფიქრა, ამ დასაბრმავებელმა მაკრატელი როგორ დამინახაო. რა მაგისი საქმეა, რაც უნდა გავაკეთოო. იქნებ კაცი უნდა მოვკლა და მაგას არ გავაგებინოო. მაკრატელი რომ დამინახა, წალდი ველარ დამინახაო?

კიაზოს ეღიმება. ეტყობა, გუმანით გრძნობს, ჯავრია ნიკა რომ ჯავრობს და გასამხიარულებლად ეკითხება:

— ეტყობა, დედაკაცმა გაგაბრაზა უთენიაზე?

— ერთი იმისი დედაც...

კიაზო მიხვდა, რომ მარტივი წინადადების თქმა არ ეწადა ჯავრიას. პირველი ნახევარი თუ ხმამაღლა გამოთქვა, მეორე ნახევარი გულში გაივლო.

„დამნავსა მაგ მამაძაღლმა!" — გაიფიქრა ჯავრიამ, როცა კიაზოს გასცილდა. — ორიოდე კალთა ქვა კიდევ უნდა გადამეყარა და სწორედ მაშინ არ გამოტყვრა ეგ ფეხმოსატეხი!"

— ჯავრი! — მიაძახა კიაზომ, რაკი მიუხვდა გულისნაფიქრს.

— ცეცხლი და ნავთი მამაშენს!

— რაც მამაჩემისთვის გაიმეტო, თქვენს საბძელს არ გასცდეს!

ცოტა ხანს თითქოს თავი დაკარგა ჯავრიამ, მაგრამ მალე ისევ დადგა ხასიათზე.

— ეს მამაძაღლი, ეს შვინდლარწაა, რაღაცა, რად უნდა, რო შვინდივითა ჰყვავის. შვინდი კი არ არი და... — ჯავრიამ დიდი ტოტი ჩამოხლიჩა შვინდლარწას და თავისი მამიდაშვილის ვენახის კარებში გაჩხირა: უცბად თუ გაიღო, თვალებში მოხვდესო.

ვილაცას ვენახი გაესხლა, წალამი კონებად შეეკრა და გზაზე გამოეტანა. ეტყობოდა, შინ წაღებას აპირებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საზიდარი ვერ ეშოვნა. მართალია, ავლა-ჩავლაში არავის ელობებოდა, მაგრამ ჯავრია მაინც განაწყენდა, ჩემს დაუკითხავად აქ რად გამოუტანიათო. მისდგა და ვენახში გადაყარა დაუწყო კონებს:

— კიდევ გამაიტანოს თუ ბიჭია! აქ გზა არი თუ მაგისი ჩარდახია, მაგ არსაბოგინებელისა?! წალამი ოცი-ოცდაათი კონა იქნებოდა და ათი-თხუთმეტი წუთი მაინც დაკარგა იმის გადაყრაში. კინაღამ დაილალა კიდეც ბერიკაცი, მაგრამ დაღლასა და გულისამოვარდნას არ შეუშინდა. მერე, ცოტათი რომ დამშვიდდა და წასვლა დააპირა, ერთბაშად გაახსენდა:

— მაიცა, მაიცა!.. მოდი, იმასაც გავიგებ, კიაზო ვენახში რად იყო ესე ადრიანად?

კიაზოს ვენახი სამას ნაბიჯზე მაინც იქნება მოშორებული ნიკას ვენახისგან, მაგრამ მაინც გადაუხვია. თან აქეთ-იქით იყურებოდა, არავინ დამინახოს და არა მკითხონ, შენი ვენახი ხომ მანდ არ არის და საით მიდიხარო.

— მოურწყამ!.. უყურე მაგ მამაძაღლს!.. ზამთარში მორწყული კარგია, მაგრამ ისიც ვიცი, რო, თუ ყინვა დაიჭირა, სუ დააზრობს. ალბათ იფიქრა, ზამთარი გავიდაო? მართალია, მარტია, მაგრამ მარტში უარესი ყინვები იცის. მაგისი ჯიბრით ნეტავი ისე გაყინოს, რო ქვა ქვაზე აღარ დაარჩინოს მაგ ვენახისგან. არადა... მეც მოვრწყამ. წავალ და ეხლავე შევუგდებ... მაგრამ... მერე რომ ველარ გავსხლამ... არა, ჯერ გავსხლამ და მემრე შევუგდებ წყალსა. მაიცა, მაიცა... მაგ არსაბოგინებელს ეხლაც მიხყავს წყალი. წავალ და სათავიდან გადავუგდებ, თუ ნიკა ვარ. აკი დამცინა კიდეც, ჯავრიაო. თუ ჯავრია ვარ, ჯავრია ვიყო, ისე დავუნგრევ რუის სათავეს, რო ერთ კვირას ველარ გააკეთოს. იქამდე ჩემს ვენახს გავსხლამ და ბიჭია, ჩემზე წინ შაუგდოს.

თოხი? თოხი რომ არა მაქვს?

ხელით დაანგრევს, ფეხითაც წიხლს ამოჰკრავს და ყველაფერს მიჰყრი-მოჰყრის.

— ჯავრი! — შემოესმა ვიღაცის ხმა.

მიიხედ-მოიხედა, მაგრამ არავინ ჩანდა.

არა, ეს კიაზოს ხმა იყო, წეღან რომ გააჯავრა[illegible]ნია ყურში. თუ მაგას შეარჩენს და მაშ რაღა ნიკა ყოფილა.

ყორიანი რუს პირი ბარბაცით აიარა ჯავრიამ. ალმაცერ ბექობზე რუყევით ჩარა, ერთი-ორჯერ [illegible] და ძლივს მიაღწია სათავეს.

— ჰმ, რამოდენა ქვა ჩაუდვია?! ეხლავე გაგაგებინებ, ქვის ჩადება როგორც უნდა! — ჯერ კალოშის ქვინტი წაჰკრა და ფეხის ცერი იტკინა, მერე გაგულისდა, ორი ხელით დაებღაუჭა ლოდსა და ვაგლახით გადააგორა, მაგრამ თვითონაც თან გადაჰყვა და ლოდს დაეცა. ამოიგანგლა, დასველდა და გაილუმპა. მაინც გამარჯვებული სახით წამოდგა, რაკილა წყალმა დედარიყისკენ მიიღო ხივილი.

— კიდე მორწყე, თუ ბიჭი ხარ! — თქვა ნიშნისმიგებით და ისევ ბარბაცით დაუყვა ნაპირს. მერე იაზრა, ვინმემ რომ დამინახოს, ეჭვს აიღებსო და, ვიწრო ბილიკით ვილაცის ვენახის თავზე გადაიარა და სხვა გზით წავიდა.

— ბიჭოს, ამ ქალაქელ კაცს აქ რა უნდა? — გაუკვირდა ზემოსოფლელი კაცის დანახვა, რომელიც გზასთან ხეებსა რგავდა, — ვინ ავალებს, აქ დამირგე რამეო?

მართალია, სისველისა ეუხერხულა, მაგრამ ჯავრია იმდენად გაჯავრდა, რომ სისველეს აღარ მოერიდა და ჯიქურ მიუახლოვდა:

— რას ჩადიხარ, ვინა ხარ?!

— ვერ მიცანი, კაცო? — გაიკვირვა გაქალაქებულმა კაცმა, — მიტრიას ბიჭი ვარ.

— მიტრია ვინ ჩემი ფეხებია?

— ვინა და, აი, ომში რომ დაიღუპა, ამ ვენახის პატრონი.

— მემრედა, შენ ხო ქალაქში ცხოვრობ და აქ რაღას ეჩრები?

— მე კი ქალაქში ვარ, მაგრამ დედიჩემი ხომ აქ არი? იმას ვეხმარები.

— მიეხმარე, მე როდის გიშლი, მაგრამ ეგ რაღასა ჩიჩქნი?

— ხეებსა ვრგავ, ბიძაჩემო, შინმოუსვლელთა სახელზე.

— ბიძაშენი შენ ძაღლუასთან მაიკითხე! მე როდის გითხარი, ხეები დამირგე-მეთქი?!

მიტრიას ბიჭმა ჯავრიას ნათქვამი ხუმრობაში გაატარა და ორმოს თხრა განაგრძო.

— შენ კი არ გირგავ, შინმოუსვლელებს ვურგავ-მეთქი.

— ვინ შინმოუსვლელია, რას მიედ-მოედები?

— ვინც ომში წავიდა და ველარ დაბრუნდა... იმათ სახელზე ვრგავ, მაგრამ ხალხსაც გამოადგება: ჩრდილი ექნება.

— მე თუ ჩრდილი მინდა, ჩემ ვენახში მიდგა კაკალი. როდის დაგავალე, ვერხვი დამირგე-მეთქი?

— შენ კი არ დამავალე, მე დავივალე. რამდენი ბიჭიც, აი, ამ ვენახებიდან ომში წავიდა და ველარ დაბრუნდა, იმდენი ხე უნდა დავრგო იმათ მოსაგონებლად.

— არაფერი არ ვიცი. სალამოზე რომ ამოვიელი, აქ არა იდგეს რა და, რაც გინდა, ის გააკეთე!

მიტრიას ბიჭმა ჯავრიას ნათქვამი ხუმრობაში გაატარა და ხეების დარგვა მაინც განაგრძო. ცხრა ვერხვი დარგო. აქედან ერთი იმდენად დიდი იყო, რომ ტოტები დააჭრა, მაგრამ მაინც ცხენიანი კაცის სიმაღლე დარჩა, ძირი კი თითქმის კანჭის სიმსხო ჰქონდა. ვინც ჩაიარა და შეეკითხა, რას აკეთებო, საქმე ყველამ მოუწონა: საუკვდავო საქმეაო. ერთიორმა ისიც კი უთხრა, მაგის დალოცვა მოუხდებაო. მოუხდებაო და დავლოცოთო.

ჯავრია თუმცა დაღლილი და გაჯავრებული ჩავიდა თავის ვენახში, მაინც ჯიქურ ეკვეთა და სხვლა დაუწყო. სხლავდა და ბუტბუტებდა ქვეყნის უკუღმართობით თავმობეზრებული. მართლაც და რა უნდა ქნას ჯავრიამ: ვისაც მოეპრიანება, ვენახსა რწყავს, ვისაც ტვინში ქარი წამოუქროლებს, გზის პირებზე ხეებსა რგავს, ვინ წალამსა ჰყრის და ვინ კიდევ ბალვენახს აქვავებს. რა უნდა ქნას ერთმა ჯავრიამ, ქვეყანა რომ ასე უკუღმაა მოწყობილი?

— გამარჯობა, ნიკა ძიავ! — საიდანღაც ავსვეტა პარიკმახერი გოგია.

— გამარჯობა, თორე შენც ახლა ნემცი ჩხუბიდან მოხველ!



— რა ოხუნჯი ხარ, კაცო? — გაუცინა გოგიამ.

— ოხუნჯები მამაშენთან მაიკითხე! ვიცი, აქ საკაიკაცოდ არ მოხვიდოდი და...

— ჩემი ავკაცობა ვის გაუგონია, შე კაი კაცო? აი, კვირტი მინდა ავარჩიო და... ძაან მსხმოიარე ვაზი გაქ და მირჩიეს, ნიკას წალამში თუ აარჩევ, შენც მსხმოიარე ახალშენი გექნებაო.

— ჯერ ეგ მითხარი, ვინ გირჩია? — ცალი თვალი მოჭუტა ჯავრიამ.

— მაგას რა აზრი აქვს, შე კაი კაცო? ყველა იმას მეუბნება, მსხმოიარე ვენახი თუ გინდა, მსხმოიარე ვაზის კვირტი უნდა დაამყნოო. არადა ჩვენმა თევდორემ დაამყნობინა მენამყენესა, რაღაც მწვანეაო, და სუ იკლერტება.

— ვინც შენ ეგ გირჩია, აი, ისა ყოფილა ჩემი პირველი მტერი... გადი აქედან, სანამ წალდს გამოვიძრობ!

— წალდი რად გინდა, შე კაი კაცო?

— რად მინდა და თავი უნა მოვაჭრა, ვინც ჩემ წალამში კვირტს აარჩევს. როგო, მე და შენ ერთნაირი ვაზი უნა გვედგეს, უარი რო არ გითხრა?

— რა მოხდა, შე კაი კაცო?

— რა მოხდა კი არა, ვინც შენ აქ გამოგგზავნა, ჯერ იმ კაცის სახელი მითხარი, და მემრე მოგივლით ორივეს. იმან საიდან იცის, ჩემი ვენახი რო მსხმოიარეა? ერთ-ორ კიმპალს გამაიბამს ხოლმე და ისიც თვალში ეჩრება იმ მამაძაღლს?

— კარგი, კაცო, კარგი! — დამშვიდებას შეეცადა გოგია.

— კარგი კი არა, საიდანაც მოსულხარ, ისევ იქით წაეთრიე, თორე ჩემს მეტი პირი არ გინდა!

გოგია პირუჩუმრად გაბრუნდა, მაგრამ მომიჯნავე ვენახს რომ გასცილდა, ველარ მოითმინა და გადმოსძახა:

— თავი გაგიხმეს, შე ჯავრიავ, შენა!

— თავიც გაგიხმეს და შენი დედაც ვატირე!

— ჯავრიი! — მოესმა საიდანღაც, მაგრამ ეს უკვე გოგიას ხმა აღარ იყო, არც — კიაზოსი.

გაბრაზებულმა ჯავრიამ სხვლა ველარ განაგრძო. გავიდა და აუზთან რომ ბექია, იმ ბექზე ჩამოჯდა. ამასობაში კიაზო გამოჩნდა. ხელადა და ჩანთა ეჭირა.

— წამოდი, ნიკავ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ! დილას წყალი შევუგდე ვენახსა და...

ჯავრიამ ხმა არ გასცა. კალოში გაიხადა და ხელისგულზე დაიბერტყა. მერე წარბები მოლუშა და, ვითომ ვერაფერი გავიგეო, სარის მონატეხზე დაუწყო ბერტყვა. მერე თითებიც შეყო კალოშში და რაღაც ხუწუწები გააცალა. ეტყობოდა, მუშაობაში ის უშლიდა ხელს.

— წამოხვალ, კაცო?! — უკუმოსძახა კიაზომ.

„წადი და, როგორი წყალიც მიუგდე, მაგასაც დაინახავ“, გაივლო გუნებაში და ხმამაღლა კი ეს დაიძახა:

— რა ვიცი, აი, შინ მეძახიან და...

მეორე კალოშიც რომ გულიანად დაბერტყა, ჯავრია წამოდგა, სასხლავი აიღო, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რა გაეკეთებინა. იქნებ კიაზოსთან გადასვლა აჯობებდა; კიაზოს წყალი დაწყვეტილი დახვდება და პურს ისე რა გაატეხინებს, წყალი თუ არ მიუგდო. სათავე კი წელან ისე მიანგრ-მოანგრია, ალბათ საღამომდეც ველარ გააკეთებს. ისევ სჯობია, შინ ავიდეს და იქ ისადილოს. მართალია, დრო დაეკარგება, მაგრამ, იმასაც დაინახავს, დილას რომ მიტრიას ბიჭი ხეებსა რგავდა, დარგო თუ რა გააკეთა. ხო, ესე სჯობია! ამასობაში იმ გაფუჭებულმა გოგიამ რომ პირი იბრუნოს და კვირტი აარჩიოს? არა, ის ისე კუდამოძუებული გააბრუნა, უკანმოხედვას ველარ გაბედავს. წავა. აივლის, იმ ხეებსაც დაინახავს და კიაზოს შარსაც გაექცევა. იქნებ მიუხვდეს კიდეც, წაიგდოს წიხლქვეშ და გამშველებელი არავინ გამოუჩნდეს.

ჯავრიამ წალდი და სასხლავი ზურგსუკან დაიჭირა და გზას ბარაქა დააყარა. გაჯავრებული მიდის და... ვიღაცამ უეცრად ქუდი მოჰხადა.

— უხ, შენი! — მოიხედა და კუნელზე ეკიდა. მაშინვე ჩამოგლიჯა. თექაში ჩარჩენილი ეკლები გააცალა და ისევ დაიხურა.

აი, იქ ვიღაცას რუ გაუჭრია, სანამ ჯავრია ვენახში იყო. ეტყობა, ვენახის მორწყვას აპირებს ეგ მამაძაღლი. ალბათ უკვე გასხლა კიდეც და მორწყვის მეტი აღარა უნდა რა.

სანამ მიტრიას ვენახამდე მივიდოდა, ჯავრიამ ერთი სიცოცხლე გაათავა, მაგრამ რა გინდა: მიტრიას ბიჭს ხეები დაურგავს და... უკვე წასულა.

ჯავრიამ ვენახები მოათვალიერა და ვერავინ დაინახა, გასხლული და დაკვარკვარებული ვაზების გარდა.

— ვერ უყურებ ამ მამაძაღლს, მაინც რომ დაურგავს. მერე, იცი, რას იზამს? ლობეს გამოსწევს გარეთ. მართალია, ვერხვებია და არას დაისხამს, მაგრამ გრილოშიც თვითონ დაჯდება და ჯავრია კი მოატყუა, ხალხი დაისვენებსო. ამოივლი და, როცა დაგცხება, დაიგრილოებო. აბა, თუ ესეა და...

ჯავრიამ ერთ ნერგს წაავლო ხელი, ამოსწია და ადვილად ამოაძრო. მოიქნია და საითღაც გადააგდო. მერე მეორე ამოგლიჯა და ისიც უმისამართოდ მოისროლა, მერე — მესამე, მერე — მეოთხე და ამასობაში ყველა დაგლიჯა ერთის გარდა. ის ერთი ძალიან ღრმად იყო დარგული, თანაც — კანჭის სისქე და ცხენიანი კაცის სიმაღლე. ჰოდა, იმიტომ ვერ ამოგლიჯა. მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, და, რაკი დაინახა, არავინ იყო, წალდი ამოიძრო ქამრიდან. მოუქნია და ერთხელ ჩაარტყა. ღმერთმა დაინახა, მაგრამ, ეგონა, მაგას იკმარებსო, ნებაზე მიუშვა. აბა, თუ ნებაზე მიმიშვაო, მოუქნია და მეორედ ჩაარტყა. მერე — მესამედ, მერე — მეოთხედ და ისე დაჯიჯგნვით მოსჭრა საცოდავი ხე, ნასეტყვი გეგონებოდათ. მოსჭრა, მაგრამ უეცრად ორიოდე ნაბიჯზე გაბარბაცდა, წაქცეულ ხესთან ახლოს არ დავეცეო, ბექობზე გადავარდა. გადავარდა და ველარ წამოდგა. თვალი ეხილა, ყველაფერს ხედავდა, მაგრამ ხელფეხის გაქნევა აღარ შეეძლო.

ამვლელმა კაცებმა წაიყვანეს იმ საღამოს. ცხენის ურემზე დააწვინეს და ისე წაიყვანეს შინ. ექიმმა რომ გასინჯა,— წნევას დაურტყამსო ადგილიდან არ გაატოკოთო, ბნელში ამყოფეთო და თანაც რაღაც წამლები გამოუწერა.

რამდენიმე დღეში გონი მოეცა ჯავრიას. წამოჯდომაც დააპირა, მაგრამ ხის მონაჭერი გაახსენდა, იფიქრა, ვაი, თუ გაზაფხულზე ყლორტი ამოიყაროს, რაკი ძირიანად ვერ მოვგლიჯეო, და ისევ გაუმეორა წნევამ...

# ვინ იყო ალექსანდრე ქართველიშვილი

**ლევან დოლიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმში, გამარჯვების დროშასთან, შემთხვევით გავიცანი გადამდგარი პოლკოვნიკი ი. ვასილიევი.

— იცით, — მითხრა ახალგაცნობილმა ომის ვეტერანმა, — ორმოცდახუთის მაისში ჩვენი 150-ე მსროლელი დივიზიის „კატიუშების“ პირველი მოიერიშე დივიზიონი დიდად დაეხმარა ეგოროვსა და ქანთარიას რაიხსტაგის გუმბათზე ამ დროშის აფრიალებაში. დივიზიონს მამაცი მაიორი ქართველიშვილი მეთაურობდა და მის პატივსაცემად „კატიუშების“ დივიზიონს „ქართულს“ უწოდებდნენ.

ი. ვასილიევის ნაამბობმა დამაინტერესა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველიშვილზე მან მეტი ვერაფერი მითხრა. ამ დღიდან დავიწყე იმ ადამიანების ძებნა, რომლებიც ალექსანდრე ქართველიშვილს იცნობდნენ. ჩვენს მამაც თანამემამულეზე თანდათანობით დიდძალი მასალა დამიგროვდა. სსრ კავშირის თავდაცვის ცენტრალური არქივის მონაცემებით და ომის ვეტერანთა ნაამბობით, მაიორი ალექსანდრე ქართველიშვილი „კატიუშ-ანდრიუშის“ ნაწილების ერთადერთი ქართველი მეთაური იყო. ქართველიშვილის თანაპოლკელთა დახმარებით, მალე გავიცანი მისი ვაჟი ვლადიმერი, რომელმაც შეავსო ჩემი ცნობები მამამისის შესახებ.

ალექსანდრე ივანეს ძე ქართველიშვილი დაიბადა 1918 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. 1937 წელს იგი ზოოტექნიკოსად მუშაობდა, როცა წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. ომის დაწყების წინ როსტოვის საარტილერიო სასწავლებელი დაამთავრა. ახალგაზრდა ლეიტენანტი გაემგზავრა ფრონტზე, სადაც დანიშნეს ბატარეის მეთაურად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ კი ბრიანსკის ფრონტზე. მამაცი არტილერისტი ზურგში გაგზავნეს, სადაც ახალი საიდუმლო იარაღის „კატიუშების“ ნაწილები ყალიბდებოდა.

1942 წლის ივლისში, ალექსანდრე ქართველიშვილს დაავალეს რეაქტიული დანადგარების ცალკეული ნაღმსატყორცნი დივიზიონის ჩამოყალიბება.

დრო ცოტა იყო. გერმანელები ყოველი მხრიდან გვიტევდნენ. უმაღლესი სარდლობა მოითხოვდა, მებრძოლები სწრაფად დაუფლებოდნენ ტექნიკას და დაუყოვნებლივ წასულიყვნენ ფრონტზე.

ახალჩამოყალიბებული დივიზიონის საბრძოლო ნათლობა კოზელსკ-სუხინიჩის რაიონში მოხდა. საიდუმლო იარაღის ცეცხლის სიმძლავრემ, მისმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გაოგნებული მტერი პანიკამ მოიცვა, მთელი საბრძოლო ტექნიკა მიატოვა და გაიქცა. დივიზიონის მეთაურს და პირად შემადგენლობას არმიის სარდალმა მადლობა გამოუცხადა.

დივიზიონი მალე კალინინის ფრონტზე გაგზავნეს. ალექსანდრე ქართველიშვილმა აქაც თავი გამოიჩინა, როგორც მცოდნე არტილერისტმა, მამაცმა და გამბედავმა მეთაურმა. 1942 წელს იგი ლენინური პარტიის წევრად მიიღეს.

1943 წლის იანვარში ქართველიშვილის დივიზიონი მეხუთე გვარდიული ნაღმსატყორცნი ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა. ეს იყო წითელი არმიის რეაქტიული არტილერიის უძლავრესი შენაერთი, რომელიც მუსრს ავლებდა მტერს.

ალექსანდრე ქართველიშვილის თაოსნობით შეიქმნა ე. წ. „მომთაბარე“ ბატარეები, რომლებიც ოპერატიულად ჩნდებოდნენ ხოლმე იქ, სადაც ქვეით ჯარს მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიება უჭირდა. „მომთაბარე“ ბატარეებს ყოველთვის შიში და პანიკა შეჰქონდა მტრის რიგებში.

ქართველი ოფიცრის ნიჭი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა კურსკის ბრძოლაში.

22-ე გვარდიული ბრიგადის პოლიტნაწილის ყოფილი უფროსი, გადამდგარი გვარდიის პოლკოვნიკი ვ. ლიუტოვი იხსენებს:

„ტროსნ-ბოჩკოვის რაიონში, სადაც 70-ე არმია მოქმედებდა (ორიოლ-კურსკის რკალზე), მოწინააღმდეგის მძლავრად გამაგრებული პუნქტი იყო. ამ სიმაგრის გარღვევა ქართველიშვილის დივიზიონს დაევალა. საცეცხლე პოზიციის მისასვლელებს გერმანელები გამუდმებულ ცეცხლს უშენდნენ, რადგან აქ ღია ადგილი იყო. ქართველიშვილი წინ გაიჭრა. მოწინააღმდეგემ გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა დივიზიონის მანქანებს. ორი მანქანა მწყობრიდან გამოვიდა.

მხოლოდ კაპიტან ქართველიშვილის გამბედაობამ და მამაცობამ შეაძლებინა დივიზიონს გაერღვია მტრის ცეცხლი და დანიშნულ საათს დაეშინა ჭურვები მოწინააღმდეგის პოზიციებისათვის. მტრის გამაგრებული პუნქტები მოისპო, პოზიციები ჩვენმა ქვეითმა ჯარმა იგდო ხელთ.

ბევრმა რიგითმა და მეთაურმა დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები. კაპიტანი ალექსანდრე ივანეს ძე ქართველიშვილი მამაცობისათვის, გაბედული და გადამწყვეტი მოქმედებისათვის, საბრძოლო წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა...“

1944 წლის სექტემბერში ცხარი ბრძოლა გაიმართა ვარშავის გარეუბნის — პრაღის ციხისათვის. ამ ბრძოლებში, რომლებშიც თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პირველი პოლონური ქვეითი დივიზიაც მონაწილეობდა, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჩვენმა თანამემამულემ— 22-ე გვარდიული ბრიგადის პირველი მოიერიშე დივიზიონის მეთაურმა.

საბჭოთა ჯარების მძლავრი დარტყმის შედეგად, 1945 წლის 25 იანვარს, ჩვენი ნაწილები ვარშავაში შევიდნენ და მიადგნენ პოზნანს, ბერლინის კარიბჭეს. კვლავ აქტიურად მოქმედებდა გვარდიის მაიორის ქართველიშვილის მოიერიშე დივიზიონი. მდინარე ვისლის დასავლეთ ნაპირზე გერმანელთა თავდაცვის გარღვევისათვის დივიზიონის მთელ პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა უმაღლესმა მთავარსარდალმა. მამაცი მეთაურის მკერდი პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენმა დაამშვენა.

დაიწყო გრანდიოზული ბერლინის ოპერაცია. 1945 წლის 20 აპრილს, 9 საათსა და 55 წუთზე, ალექსანდრე ქართველიშვილის პირველმა დივიზიონმა პირველი ჭურვები დაუშინა ბერლინს.

29 აპრილს ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს შპრეეს ხიდი, იერიშით აიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა — ეგრეთწოდებული „ჰიმლერის სახლი“, რომელიც ორასი მეტრით იყო დაშორებული რაიხსტაგიდან.

მეხუთე გვარდიული ნაღმსატყორცნი დივიზიის დაზვერვის ყოფილი უფროსი, თადარიგის გვარდიის პოლკოვნიკი ა. ივაშჩენკო იხსენებს:

„რაიხსტაგის იერიშის დროს იქ მოკალათებულმა მტრის გარნიზონმა ძლიერი წინააღმდეგობა გაგვიწია და მხოლოდ 30 აპრილს 18 საათზე, მორიგი იერიშის შემდეგ შეიჭრნენ რაიხსტაგში 150-ე დივიზიის მეომრები. ამ წარმატებით დაგვირგვინებულ იერიშს ცეცხლით ეხმარებოდა ქართველიშვილის მოიერიშე დივიზიონის ბატარეა, რომელმაც იერიშის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, ჭურვები დაუშინა რაიხსტაგს. ცა ცეცხლში იყო გახვეული, ალისფერი გარიჟრაჟი დანათოდა ჰიტლერელთა ბუნაგს. ეს ცეცხლი და უკანასკნელი სალუტი რაიხსტაგის თავზე გვარდიის მაიორის ქართველიშვილის მოიერიშე დივიზიონმა დაანთო. მისმა გვარდიელებმა დასჭექეს „კატიუშას“ სიმღერა“.

1945 წლის 1 მაისს სერჟანტმა ეგოროვმა და უმცროსმა სერჟანტმა ქანთარიამ რაიხსტაგზე ააფრიალეს 150-ე მსროლელი დივიზიის დროშა, რომელიც გამარჯვების ალმად იქცა.

ამ დროისათვის ალექსანდრე ქართველიშვილის მკერდს უკვე 4 ორდენი და 5 მედალი ამშვენებდა.

22-ე გვარდიული ბრიგადის მოიერიშე დივიზიონის ყოფილი მეთაური, მაიორი ალექსანდრე ქართველიშვილი ომის დამთავრების შემდეგ ზოოტექნიკოსად მუშაობდა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. 1954 წელს იგი ტრაგიკულად დაიღუპა.

...ამას წინათ გამოვიდა წიგნი, რომელშიც აღწერილია წითელდროშოვანი და სუვოროვის ორდენოსანი მე-5 გვარდიული ნაღმსატყორცნი დივიზიონის საბრძოლო გზა. ამ წიგნის ავტორებმა ვ. გურკინმა და ა. ივაშჩენკომ ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი ალექსანდრე ქართველიშვილის ოჯახს გაუგზავნეს. წიგნზე წარწერილია: „ჩვენი მებრძოლი მეთაურის ალექსანდრე ივანეს ძე ქართველიშვილის ცოლსა და მეგობარს — თინა ვასილის ასულს და მის ვაჟიშვილებს — ვლადიმერსა და შალვას ულრმესი პატივისცემის ნიშნად“.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ გურეშიძე

### დაბრუნება

მიტოვებულ სოფლებში
კვლავ გალვივდა ლადარი.
ესე იგი, საქართველო
სამომავლოდ მზად არი...

თუ აღდგენილ სოფლებში
კვლავაც ბუხრის ბოლია,
მიტაცებულ მიწების
დაბრუნების ტოლია.

გულში მოზღვავებული
სინათლე და ხალისი...
ესე იგი, გვჭეროდეს
ხვალის დღის და გაისის.

აღდგენილი სოფელი
ისევ აყვავილდება,
ესე იგი, გუგუნებს
საქართველოს დიდება.

თვალხატულა ბავშვებით
სკოლა ისევ ივსება.
ესე იგი, სამშობლოს
ცა არ მოენისლება.

ესე იგი, ირწევა
მილიონი აკვანი,
ესე იგი, შემდრკალა
ავსული და მზაკვარი.

ესე იგი, ახდება,
რასაც გულით ვნატრობდით,
ესე იგი, კერიას
დაუბრუნდა პატრონი.

ესე იგი, ვერაფერს
ვერ დაგვაკლებს ავდარი.
ესე იგი, საქართველო
სამომავლოდ მზად არი!

### მიწა

მიწა მიწაა ყველგან,
მაგრამ სხვა არის მიწა,
სადაც შენ დაიბადე,
სადაც ქვეყანა იცან.

მიწა მიწაა, მაგრამ
მაინც სხვა არის მიწა,
რაც შენს სამშობლოდ იქცა
და შენს საფიცრად იქცა.

მიწა მიწაა ყველგან,
ცას ყველა მხრიდან უმზერ,
მაგრამ სხვა არის მიწა,
დაყრილი დედის გულზე.

მაგრამ სხვა არის მიწა,
მაგრამ სხვა არის სახლი,
სადაც ცხოვრობს და შრომობს
შენი მშობელი ხალხი.

და თუ სიკეთეს ვიცავთ,
და თუ სიცოცხლეს ვიცავთ,
უნდა შევეკრათ ფიცად,
ურყევ და მტკიცე ფიცად, —

რომ არ დაინგრეს ომით,
ცეცხლით არ გადაიწვას,
რომ არ დაფაროს წარღვნამ
ჩვენი გამზრდელი მიწა.

მიწა მიწაა ყველგან,
მაგრამ სხვა არის მიწა,
სადაც აიდგი ფეხი,
სადაც ქვეყანა იცან.

სადაც კერიის კვამლიც
არის სიმღერის ღირსი,
სადაც ყაყაჩოდ ჰყვავის
წინაპრის წმინდა სისხლი...

### სიცოცხლის ფესვი

დედაო საქართველოვ,
ხარ სიცოცხლის ფესვი,
შენდა სასიყვარულოდ
გვითქვამს ყველა ლექსი.

ეს სიმღერაც ეკუთვნის
ჩვენს სიმაგრეს მთავარს,
ჩვენს ხალხს, გმირს და მეომარს,
ჩემი ქვეყნის მთა-ბარს;

უკვდავების სამყოფელს,
გულზე ნათლის მომფენს,
მხრებგამართულ ქალაქებს,
ლხინით სავსე სოფლებს,

მუდამ ზრდა და დიდება
საქართველოს ქალაქებს...
მაგრამ მე ის მაღელვებს,
და ის მალაპარაკებს. —

ქვეყნის ბურჯი ურყევი
ერის უკვდავმყოფელი —
არ მოვშალოთ კერია,
არ დავკარგოთ სოფელი.

გაუმარჯოს ქალაქებს,
მაგრამ, ღმერთმა არა ქნას,
საქართველო გადიქცეს
მხოლოდ ერთ დიდ ქალაქად.

თუ მთელმა საქართველომ
ქალაქებში იცხოვრა,
არც ცხვარი გაიზრდება,
არც მჭადი დაიცხობა.

არც ცხენი იჭიხვინებს,
არც იყივლებს მამალი,
საძებნელი გვექნება
ქვეყნისათვის წამალი.

იმედებით რომ წარვსდგეთ
ხვალინდელ დღის პირისპირ,

არც მარტო ქუთაისით
და არც მხოლოდ თბილისით;

არც მარტო ფაბრიკებით
და არც მარტო ქარხნებით,
ელმავალით, მანქანით,
დაზგებით და ჩარხებით;

მეცნიერის ნაფიქრით,
მუშის გამრჯე მარჯვენით,
კოსმონავტით, ღრუბლებში
ელვის ცეცხლის დამჭერით;

ვიამაყოთ ასევე
შილდით და ნატანებით,
ვაზით, ოქროს ვენახით,
ჩაით, მწვანე ყანებით;

კოპიტების კორომით,
მოშრიალე მუხებით,
გლეხიკაცით — მინდორში
მუდამ მუხლჩაუხრელით.

მომავალის რწმენით და
ძმობის დროშით გაშლილით,
სოფლისა და ქალაქის
მარადიულ კავშირით, —

მოგუგუნე დაზგებით,
მობიბინე სამკალით,
ჩაქურით და ნამგალით,
ჩაქურით და ნამგალით.

თვითმფრინავთა გუგუნით
და მამლების ყივილით,
სიჭაბუკის დღეებთან
განშორების ტკივილით;

მამულის სიყვარულით,
რომ გვანთებს და გვალაღებს...
გაუმარჯოს საქართველოს
სოფლებსა და ქალაქებს.

### სოფელი ბაცალიგო

მოზეიმე ხალხით სავსე
სიზმრად ვნახე ბაცალიგო,
მზე გვირგვინად ედგა თავზე,
გულის დარდი დამცხრალიყო.

„დროშის"
კონკურსში
გამარჯვებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარკო ვოვჩოკი

მთარგმნელისაგან

შესრულდა 150 წელი გამოჩენილი უკრაინელი მწერლის მარკო ვოვჩოკის დაბადებიდან.

მარია ალექსანდრეს ასული ვილინსკა, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო მარკო ვოვჩოკი, დაიბადა 1833 წელს სოფელ ეკატერინოვკაში, ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. პირველი მისი ნაწარმოებები გამოვიდა 1857 წელს სათაურით „ხალხური მოთხრობები". მწერალი ასახავდა მკაცრ სინამდვილეს, მშრომელი გლეხების მონურ მდგომარეობას, ადამიანების ტანჯვას ლუკმა პურის მოსაპოვებლად, მემამულეთა და გლეხთა წინააღმდეგობებით აღსავსე დამოკიდებულებას.

მარკო ვოვჩოკმა რუსულ ენაზე გამოსცა კრებული — მოთხრობები რუსული ხალხური ყოფაცხოვრებიდან, რომელიც აკრიტიკებდა ბატონყმურ სინამდვილეს და გამსჭვალული იყო „ხალხისადმი გულთბილი გრძნობით" (ნ. დობროლიუბოვი).

1859 წელს მარკო ვოვჩოკი საზღვარგარეთ გაემგზავრა. იქ შექმნა ნაწარმოებები: „ინსტიტუტელი ქალი", „სამი ბედი", „კარმელიუკი" და სხვა. 1862 წელს რუსეთში გამოიცა „ხალხური მოთხრობების" მეორე ტომი.

1867 წელს რუსეთში დაბრუნებული მარკო ვოვჩოკი აქვეყნებს ნაწარმოებებს: „ცოცხალი სული", „თბილი ბუდე", „მივარდნილ ადგილას"... ამ მოთხრობებში მწერალი თავის ძირითადი იდეის ერთგული დარჩა.

მარკო ვოვჩოკი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან პირველმა თარგმნა რუსულ ენაზე ჟიულ ვერნის ნაწარმოებები: „კაპიტან გრანტის შვილები", „80.000 კილომეტრი წყალქვეშ", „საიდუმლო კუნძული"...

მარკო ვოვჩოკი 1907 წლის 10 აგვისტოს გარდაიცვალა.

გთავაზობთ მარკო ვოვჩოკის მოთხრობას „გორპინას" თარგმანს. ეს ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა „ხალხური მოთხრობების" პირველ ტომში.



# გორპინა

მოთხრობა

I

მოხუცმა იაკიმენკომ დააქორწინა ვაჟიშვილი, თანაც ისეთი ქალი მოიყვანა რძლად, რომ უკეთესს ნუ იტყვი: თეთრფეროვანი, ლამაზი და მხიარული, ისეთი ცქვიტი, როგორც კურდღელი. შინ და გარეთ ჯარასავით ტრიალებს, კიდეც მღერის და იცინის — შორს ისმის მისი წკრიალა ხმა. ალიონზე იღვიძებს, დარბის და ფუსფუსებს, როგორც ჩიტუნა. დედამთილსაც მოემსახურება, გულს მოუგებს, ქმარსაც მიუალერსებს. მის ხელში საქმე დუღს. მოიხედავ და ყველაფერი გაკეთებულია, ბედნიერად ცხოვრობენ, სიყვარულით, მოხუცი მამამთილი, მათი შემყურე, მოწყალე ღმერთს მადლობას სწირავს.

მხოლოდ ერთი რამ ამწუხრებთ მათ, ღმერთი შვილს რომ არ აძლევს. როცა სხვისი ბავშვი სადმე შეხვდება ხოლმე გორპინას — კოცნის და კოცნის, ეფერება, თან მძიმედ ოხრავს.

ჰოდა, ღმერთმა მიიღო მოწყალება: გოგონა დაებადათ. ისე უყვარს და ელოლიავება გორპინა თავის პირმშოს, რომ წუთითაც თავს არ ანებებს. როგორც კი გაიღვიძებს, როგორც კი გაინძრევა ბავშვი — გორპინა იქვეა, აკვანთან, პირჯვარსაც გადასწერს, კოცნის, არწევს, უმღერის მას. საბატონო ბეგარაზე გააგდებენ — გორპინას ბავშვი თან მიჰყავს და სადმე ახლოს აწვენს: თვითონ მუშაობს, თვალები კი ბავშვისაკენ გაურბის.

ხანდახან ქალიშვილები გაქირდვით ჰკითხავენ:

— რაო, რას იქს შენი გოგონა, გორპინა?

ის კი დაუწყებს მათ ამბის მოყოლას.

— უკვე იცინის, საყვარელო დაიკონებო, ხელებს ჩემკენ იშვერს: მე უკვე მცნობს, ჩემს გარდა არავისთან არ მიდის, მამამთილი ნამცხვრებით ცდილობს მის მოტყუებას, მაინც არ მიდის! ტაშსაც უკრავს! გამოვალ ხოლმე სახლიდან და კარებიდან ვუთვალთვალებ, ის კი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს — მე მეძებს!

— ჭკვიანი, ჭკვიანი იზრდება, — ეუბნებიან გოგონას ქალიშვილები. — მზითევი მოამზადე: მალე გათხოვდება კიდეც.

გოგონა კი, მართლაც, გაიფურჩქნა, როგორც ყვავილი, ისეთი მშვენიერი ბავშვი გახდა, მხიარული და ჯანმრთელი — გაოცდებით.

II

იმხანად მოხუცი პანი გარდაიცვალა; ახალგაზრდამ დაიწყო ბატონობა. ძველი პანი ავი იყო, ეს კი ისეთი ულმობელი გამოდგა, რომ, ღმერთო, შეგვიწყალე! ხალხს პირუტყვივით უმოწყალოდ ამუშავებს. სამ დღეს ხომ საბატონო ბეგარაზე ვართ გაგდებული, მეოთხეს — ბაშმალზე, პარასკევსა და შაბათს კი ისევ პანის მინდვრებზე გვერეკებიან — უფასოდ უნდა ვიმუშაოთ, საჭმელ-სასმელი კი მისი უნდა იყოს. მაგრამ სადილს კი არა, პურსაც არ იძლევიან. დღე და ღამეს ვასწორებთ მუშაობაში. უწინ ჩვენ იმედი გვქონდა: ახალგაზრდა პანი მოწყალე, გულკეთილი იქნებაო, და აი, ამ სიკეთესაც მოვესწარით!

იგი არც თუ ისე მდიდარია, ცხოვრება კი ხელგაშლით, მდიდრულად, ბატონკაცურად სურს. მას რა ენაღვლება, როცა დაღლილობისაგან ძალაგამოლეული ხალხი მიწაზე ეცემა? ხან ისეთ ცხენებს შეიძენს, როგორც რაშებს, ან ახალთახალ ეტლს იყიდის, ანდა ქალაქში წავა და იქ გაანიავებს ფულს.

ხანდახან მეზობელი პანები გვეუბნებიან ხოლმე (ხშირად ისინი სხვა ადამიანებთან საუბრობენ ამაზე, თორემ თავისიანებს, ოღონდ ხელი მიუწვდეთ და ისე სცემენ, როგორც დიდი ბატონები): „თქვენი ახლანდელი პანი ძალზე გულკეთილია! საშინლად გულკეთილი! გლეხს ათასნაირი მეცნიერება უნდა ასწავლო და ისე უნდა შეიცოდო, როგორც ღვიძლი ძმა, და ღმერთმა იცის, კიდევ რას არ გვეუბნება. ო, რა ბრძნულადაა განსწავლული!"

მართლაც, თავდაპირველად იგი ასეც ამბობდა, მე თქვენ ახალ სახლებს აგიშენებთ, სამფანჯრიანებსო: მერე კი გამოვიდა, რომ ძველებიც თავზე დაგვენგრა. მას, შეიძლება, მართლაც კეთილ აზრებს უნერგავდნენ, მაგრამ აბა პანის ბუნებას რა შეცვლის.

მთელი სოფელი დანაღვლიანდა, ყველა ისე დამწუხრებული დადის, რომ გული გეტკინება, სხვებთან შედარებით მხოლოდ გორპინაა ოდნავ მხიარული: ერთობა თავისი პატარა გოგონათი და ამქვეყნიურ სიმწარეს ივიწყებს, მაგრამ მასაც არ აუარა გვერდი უბედურებამ.

ავად გაუხდა პატარა გოგონა, ყვირის, ტირის. გორპინა ბავშვთან ერთად თავადაც ქვითინებს, მაგრამ ვერაფრით ეხმარება. მოხუცი მამამთილი მკურნალთან გაიქცა — შინ არ დახვდა, ყმაწვილი ქალებიდანაც არავინ იყო: ყველა საბატონო ბეგარაზე გასულიყო. ბოლოს გორპინასაც მოაკითხეს, ეკითხებიან:

— რატომ არ მიდიხარ სამუშაოზე.

— მე ბავშვი მყავს ავად, — ტირილით ეუბნება იგი.

პანს მუშაობა უნდა, შენი ბავშვი მას არ ენაღვლება.

უნდა წავიდეს, მეტი რა გზა აქვს. გორპინამ აიყვანა ბავშვი, შეახვია და წავიდა. საბრალო კი ყვირის და ყვირის. როცა მიუახლოვდნენ, თავად პანი შემოხვდა მათ, ისეთი განრისხებული, ღმერთო, დაგვიფარე! დაუწყო მან გორპინას ყვირილი, ხოლო ბავშვი კი მის ხელში იბრძვის, ჩხავის, პანი უფრო განრისხდა:

— შორს ბავშვი, — დაიყვირა მან, — მოაშორეთ აქედან! ბავშვთან ცოდვილობა კი არა, მუშაობაა საჭირო.



**ჯემალ ჩახავა**

# აჭარავ, ჩემო საფიცარო!

## გავიცანი

აჭარელი გლეხები გავიცანი —
ქართველნი, მიწის ტრფიალნი,
ცრემლებით და სიცილით დავიცალე,
ცოტა ღვინოც შევსვი ფიალით.

ქართული სიმღერები აგუგუნეს,
რომ არ მომესმინა, ისეთიც,
და თითქოს იმ შორეულ საუკუნეს
თოფით და მახვილით მივსდევდით.

ნისლი ეხვეოდა მთას პიტალოს,
მინდა, რომ სულ ახე მეტკბილო,
აჭარავ, შენ ჩემო საფიცარო,
და დიდ ნენესავით კეთილო!

## ღმერთო, აღარ მოგვიშალო

ტარიელი, ავთანდილი,
ფრიდონი და ნესტანი,
მარადიულ სიყვარულით —
უტკბილესი ნესტარით...

ვიცი, ბევრჯერ უცინიათ
უკანონოდ, კანონით...
დონკიხოტის დულცინეა
და დეგრიეს მანონი.

არა ფარი აქილევსის,
ნისლში თვალის შევლებით,
ჯულიეტას ლურჯი სული
და რომეოს ცრემლები...

ეს სულ სხვაა, რადგან მასში
არის მეტი ციური...
ღმერთო, აღარ მოგვიშალო
თემა მარადიული!

## ერთხელ

ღამით, როდესაც უკაკუნებს
წვიმა სახურავს,
ოთახში თბილა, ან პირიქით
თბილად გახურავს.

არ გაწუხებენ ათასგვარი
ჭორის სისინით,
როს აღარ ესმით შენი ოხვრა.
შენი სიცილი.

როს მოგონების სამოთხეში
ჩუმად დაცურავ,
და კუთვნილ ერთ თვეს
რომ
ატარებ ასე კაცურად.

სულის სიღრმეში მისებური
ხვავით, ბარაქით...
აღარ გასვენებს ქრუანტელი
დიდი ქალაქის.

კინოკადრივით ეს ცხოვრება
გარბის ისევე...
ადამიანი ცხოვრებაში
ერთხელ ისვენებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მონატრება

აზიზ ახვლედიანს

ჩვენს ძმობას
მხარზე ანგელოსი აზის,
ბათუმი მენატრება
და შენ მენატრები, აზიზ!

ქედაში, მთის კორტოხზე,
ჩვენი ნაკვალევი მოჩანს,
ვიხსენებ გორგილაძე ზურაბს
და კიდევ იმ ლამაზ ოჯახს...

ნაღდ ქართულ პურმარილს,
სიოც რომ არ დაჭკრავდა
ბაზრის.
სამოთხეს — კინტრიშის
ხეობას,
რაღა დამავიწყებს, აზიზ!

აგვისტოს ხვატია თბილისში,
სიმნი შევარხიე საზის,
ჩავუჯექ ლექსების რვეულს
და შენ გამომეცხადე, აზიზ!

---

პანმა ათისთავს უბრძანა ბავშვი შინ წაეყვანა.

— ოო, ბატონო, ძვირფასო! — ტირილით ეხვეწება მას გორპინა, — ნება მაინც დამრთეთ, თვითონ წავიყვანო! ჩემო ბატონო, იყავით მოწყალე! ეს ჩემი ბავშვია, ჩემი ერთადერთი შვილი!

— წაიღე, წაიღეთ! —ეუბნება პანი ათისთავს.— შენ კი შენი საქმე გააკეთე, თუ არ გინდა, რისხვა თავს დაგატყდეს.

ბავშვი მინდვრიდან შინ წაიყვანეს. გორპინას კიდევ დიდხანს ესმოდა ბავშვის ტირილი, გულისმომკვლელი და ავადმყოფური; შემდეგ უფრო ჩუმი, ჩუმი გახდა ბავშვის ხმა და ბოლოს სულ მიწყდა.

III

როგორ მუშაობდა გორპინა მთელ დღეს, მხოლოდ ღმერთმა უწყის. სალამოს შინ მიირბინა — სულს ძლივს ითქვამს, სუნთქვა ეკვრის.

— ჩემო შვილო! ჩემო გოგონი! თვალი გეჭირათ, მამილო, ბავშვზე? მითხარით, როგორ არის, რას შვრება?

— დამშვიდდი, შვილო, ნუ დარდობ, — ეუბნება მოხუცი მამამთილი, — მადლობა ღმერთს, ცოტა დაწყნარდა.

ბავშვი დიდხანს როდი იყო მშვიდად: ღამით ისევ გაიღვიძა და უფრო მეტად დაიწყო წვალება. იწვის, თითქოს ცეცხლი ეკიდებაო. ეთათბირა გორპინა ქალებს, — გონივრული ვერაფერი ურჩიეს, ბავშვს ვერაფერი ვერ უშველეს.

ამასობაში ალიონმაც მოაწია, ისევ საბატონო ბეგარაზე უნდა წავიდეს.

მოაგონდა გორპინას, რომ მას ოდესღაც გაუგონია, თუ ბავშვს არ ეძინება, რძეზე უნდა დააყენო ხაშხაში და დასალევად მისცესო. ახე მოიქცა. „დაე, დაისვენოს მაინც — ნუ იწვალებს“, ფიქრობს გორპინა. როგორც კი დაალევინა, ბავშვი მიყუჩდა, ძილი მოერია და ისე მაგრად ჩაეძინა, რომ არც კი შემკრთალა, როცა ათისთავმა მთელი ხმით დაიყვირა: „ბეგარაზე!“

გორპინამ აკვანში ჩააწვინა ბავშვი, პირჯვარი გადასწერა და ტირილით გასწია სამუშაოზე.

როგორ არ უყვიროდნენ იქ, როგორ არ უწვრილებდნენ გულს — იგი ყურსაც არაფერს უგდებდა, ერთი რამ ჰქონდა თავში: როგორმე სალამომდე მიეღწია! როგორც იქნა, გათავდა დღე, აი, მზეც ცისფერი მთის იქით გადაიწვერა, მოსაღამოვდა. გარბის იგი სახლისაკენ, გარბის... შევარდა ქოხში: სიწყნარე და სიბნელეა. გორპინა აკვნისაკენ გაიქცა, ბავშვს მივარდა... ბავშვი წევს გაციებული, უმოძრაოდ, არ სუნთქავს.

— მამა! — გულგამგმირავად იყვირა გორპინამ.

— რა იყო, შვილო, რაზე მაშინებ? მე წამთვლიმა, ჩვენ გოგონას აქამდე ძინავს.

გორპინას სიტყვაც არ დაუძრავს, მოხვია თავის ბავშვს ხელები და გაშეშდა. მოხუცმა ისევ ჩათვლიმა.

— სინათლე! სინათლე ჩქარა! — იყვირა გორპინამ, — მამი! სინათლე!

მოხუცმა ცეცხლი დააკვესა.

„რა დაემართა ბავშვს?“ — ფიქრობს იგი. როგორც კი გაანათა და შეხედა, ადგილზევე გაქვავდა.

დგას გორპინა შუა ქოხში, სიმწრისაგან გაშავებული და გაოგნებული, ხელში მკვდარი ბავშვი უჭირავს.

— შვილო, — ჩაიბუტბუტა მოხუცმა, — შვილო.

— რა იყო, — გამოეპასუხა იგი, — ხედავ, წამალმა როგორ უშველა! მიყუჩდა ჩემი შვილი, აღარ ყვირის!

უეცრად ისე ატირდა, აქვითინდა, სად იყო იმდენი ცრემლი, ღვარად მოედინებოდა.

გაიგო ხალხმა მისი უბედურება, მოირბინეს, დაუწყეს დამშვიდება, მას კი არც ესმოდა, ბავშვს ვერ ააგლიჯეს. ქმარი გაოგნებული დადის, მამამთილი შეუძლოდ გახდა.

დაიწყეს დასაფლავებისათვის მზადება. აი, ახალი, პატარა კუბოც მოიტანეს, ზედ სურნელოვანი ყვავილები მოაბნიეს.

— გორპინა, — ეუბნებიან, — მოგვეცი ბავშვი! არ მისცა. თვითონ დაბანა იგი და ჩააწვინა. დადვა ბავშვის გასვენების დრო, გორპინა კი — სულ დგას, უყურებს. ხალხი მას ელაპარაკება — არ ესმის, არაფერს არ გრძნობს.

როგორც იქნა, მოაცილეს ბავშვს, გაასვენეს. გორპინამ პირველად მიმოიხედა მაშინ, პირჯვარი გადაიწერა და თვითონაც გაჰყვა. საითაც ხალხი წავიდა, იქითკენ გაჰყვა იგი კვალდაკვალ, კუბოს გაედევნა; მიდის, კრინტსაც (არ ძრავს, ცრემლი გაუშრა. ეკლესიაშიც წყნარად იდგა, თითქოს დამშვიდებული, მაგრამ როგორც კი ბავშვის ჩასვენება დაიწყეს, ღმერთო მოწყალეო, მას თან გადაჰყვა ორმოში. ძლივს მოახერხეს მისი ორმოდან ამოტაცება და შინ ცოცხალმკვდარი მიიტანეს.

სამიოდე კვირას მძიმედ ავადმყოფობდა. ღმერთმა იგი შეიწყალა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ გონება აღარ დაუბრუნა! დარჩა იგი გონშეშლილი. მთელი დღე მდუმარედ დადის და ბოსტანში ყაყაჩოებს კრეფს; ხოლო, როცა ეკითხებიან, რათ აკეთებ ამასო? ესო, პასუხობს იგი, — ჩემი პატარა ბავშვისთვისო!

ზამთარში სულ ტირის: „არ არის ყაყაჩოები! რით ვიხსნა ჩემი გოგონა!“

როცა პირველი ყაყაჩო აყვავდება, იგი მას ყველაზე ადრე შეამჩნევს, მოსწყვეტს და მისი ცქერით ტკბება, გულს ვერ იჯერებს

სხვა დროს იგი დიდის ვაი-ვაგლახით ასრულებს მუშაობას, მაგრამ, როგორც კი ბოსტნებში ყაყაჩო აყვავდება, იქიდან აღარ გამოდის.

ხანდახან გაივლი ბაღებს და ხედავ: აყვავებულ ყაყაჩოებს შორის ზის იგი, თეთრ პერანგში გამოწყობილი, მორთული, მარჯნის ყელსაბამით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თეთრი-თეთრი, გადაპენტილი სახით, ზის. თავზე იყრის ყაყაჩოს ფურცლებს და იღიმება, როგორც ბავშვი.

...ყაყაჩოები კი — თეთრი, ლილისფერი, ალისფერი, დიდებულად ჰყვავიან მის ირგვლივ.

უკრაინულიდან თარგმნა ოთარ ბაქანიძემ.




ႤႪႤႵႲႰႭႬႳႪႨ ႡႨႡႪႨႭႧႤႩႠ

## ႲႩႡႨႪႨ ႱႨႡႤႰႤ

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ თაიას აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის უხუცეს წევრს ლევან საჯაიას 115 წელი შეუსრულდა.

გ. კიკვაძისა და ა. მაჭავარიანის ფოტო.





# ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში

ბიბლიოთეკა



სამშობლო — სოფელი ბაღდადი

მხატვარი

**ბადრი სამსონაძე**



სიჭაბუკე — ფიქრები გელათთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წელი — გუგუნი მოგონებათა



ქუთაისი — გიმნაზიის წლები


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ე. გიგულაშვილისა

# ფეხბურთის ბასკი ჯადოქრები



გიორგი მახარაძე

1937 წელს საბჭოთა კავშირს ბასკი ფეხბურთელები ეწვივნენ და რამდენიმე მატჩი ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის, თბილისშიც.

ბასკმა მოთამაშეებმა ვირტუოზული ტექნიკით, დახვეწილი საფეხბურთო ტაქტიკითა და სტრატეგიით აღტაცებაში მოიყვანეს მაყურებლები.

ჟურნალისტმა გიორგი მახარაძემ ბასკ ფეხბურთელებს მიუძღვნა ვრცელი ნარკვევი, რომელიც მზადდება გამოსაცემად.

„დროშის“ მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ ნაშრომიდან.

46 წლის წინათ, 1937 წლის 16 ივნისს, საბჭოეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავებს — ბასკეთის ნაკრები გუნდის წევრებს, რომლებიც ევროპაში ჩატარებული ორთვიანი ტურნეს შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ.

ტურნე მიზნად ისახავდა, სახსრები შეეგროვებინა გმირული ესპანეთის ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად, აგრეთვე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო ცეცხლის ალში გახვეული გმირული ესპანეთისაკენ.

მძიმე დღეები იდგა იმხანად ესპანეთში:

1936 წლის ივლისის შუა რიცხვებში რეაქციონერმა გენერლებმა და ოფიცრებმა ამბოხება წამოიწყეს რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ. ამბოხების მეთაურობა მონარქისტ-ფაშისტმა გენერალმა დონ ფრანსისკო-და-ბაგამონდემ, შემოკლებით — ფრანკომ იკისრა.

ხალხი აღსდგა საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებული გამარჯვების დასაცავად. 400 ათასამდე ადამიანი პირველსავე დღეებში გამოცხადდა პარტიულ, პროფკავშირულ კომიტეტებში და სურვილი გამოთქვა ებრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ...

გმირული ესპანეთის წარმომადგენლების — ბასკეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის ტურნე საბჭოეთის ქვეყანაში ტრიუმფალურად დაიწყო.

გადაწყდა, რომ ბასკებს შეხვედროდა არა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, არამედ სხვადასხვა საკლუბო გუნდი. პირველი მატჩის უფლება მოიპოვა მოსკოვის „ლოკომოტივმა“, როგორც სსრ კავშირის თასის პირველმა მფლობელმა.

1937 წლის 24 ივნისი.

ბასკეთის ნაკრების ფეხბურთელები თავიანთი კაპიტნის ლუის რეგეიროს მეთაურობით, მწვანე მინდვრის ირგვლივ შემორბენით მიესალმნენ მაყურებლებით სავსე ტრიბუნებს.

გუნდები მოედნის ცენტრში განლაგდნენ. მაყურებლებს სიტყვით მიმართა ლუის რეგეირომ. მან გულითადი მადლობა გადაიხადა ყურადღებისათვის არა მარტო ფეხბურთელების მიმართ, არამედ გერნიკელი, დურანგოელი და ბილბაოელი 1500 ბავშვისთვისაც, რომლებიც მატჩის დღეს ბილბაოდან საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს მოსავლელად: „თქვენ მიიღეთ და შეიფარეთ ჩვენი ბავშვები. ამით კიდევ ერთხელ ნათელჰყავით, რომ დედამიწაზე არსებობს სიმამაცის, მშვიდობისა და მეგობრობის ქვეყანა“.

დაიწყო თამაში. მესამე წუთზე ლ. რეგეირომ ანგარიში გახსნა. ეს გოლი მეჩვიდმეტე წუთზე გაათანაბრა რკინიგზელთა მარცხენა გარემარბმა პ. ტერენკოვმა. მომდევნო სამ წუთში, ბასკებმა სამჯერ აიღეს „ლოკომოტივის“ კარი: ორჯერ — ლანგარამ, ერთხელ — რეგეირომ. მეორე ტაიმის 25-ე წუთზე გოროსტიცამ ბურთი კარის წინ ჩააწოდა, რეგეირომ ლამაზი, ძლიერი დარტყმით ანგარიში ხუთამდე გაზარდა.

ასე დამთავრდა შეხვედრა.

სამი დღის შემდეგ „დინამოს“ სტადიონი ისევ აივსო მაყურებლებით: ბასკეთის ნაკრებს ხვდებოდა საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული ლიდერი მოსკოვის „დინამო“.

ამ შეხვედრისათვის მოსკოვის „დინამომ“ მეკარედ როსტოველი თანაკლუბელი ნ. ბოჟენკო მოიწვია. ბასკებმა პირველი მატჩის შემადგენლობაში ცვლილება მოახდინეს: მარცხენა შუამარბად ე. ლარინაგას ნაცვლად ლუის რეგეიროს ძმა — პედრო გამოიყვანეს.

ანგარიში მოსკოველთა გუნდის კაპიტანმა ს. ილინმა გახსნა. საპასუხო გოლი — 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ი. ლანგარამ გაიტანა. პირველი ტაიმის მიწურულს გ. გოროსტიცამ კარგად გამოიყენა ა. ჩერნიშოვის უხეში შეცდომა და მეორე გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში.

მეორე ტაიმში ბასკები გააქტიურდნენ, მაგრამ საიმედოდ თამაშობდა მეკარე ბოჟენკო. მოსკოველმა თავდამსხმელებმა სემიჩასტნიმ და იაკუშინმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. შეხვედრა დამთავრდა 2:1.

შემდეგი შეხვედრა ბასკეთის ნაკრებმა ლენინგრადში ჩაატარა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

ბასკები მოსკოვს დაბრუნდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, ისინი შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს“ გაძლიერებულ შემადგენლობას. ჩვენი დედაქალაქის გუნდში მეკარედ თბილისელი ა. დოროხოვი თამაშობდა. დაცვაში ვ. ტეტერინი თბილისელმა შ. შავგულიძემ შეცვალა, ნახევარდაცვაში ა. ჩერნიშოვის ნაცვლად ლენინგრადელი ვ. ფეოდოროვი თამაშობდა, ხოლო თავდასხმაში ე. ელისეევის ნაცვლად ლენინგრადელი პ. დემენტიევი მიიწვიეს.

ბასკებმა იგრძნეს დინამოელთა სარევანშო განწყობილება და პირველი წუთებიდანვე გააფთრებული იერიშები წამოიწყეს. ანგარიშით 7:4 გაიმარჯვა ბასკეთის ნაკრებმა.

დაიწყო მზადება საპრესტიჟო მატჩისათვის: მოსკოვის „სპარტაკის“ გაძლიერებული შემადგენლობა უნდა შეხვედროდა ბასკთა ნაკრებს.

დადგა შეხვედრის დღე — 8 ივლისი. სპარტაკელთა რიგებში გამოჩნდნენ გ. ფედოტოვი მოსკოვის „მეტალურგიდან“, კ. შჩეგოცკი და ვ. შილოვსკი კიევის „დინამოდან“, კ. მალინინი მოსკოვის ცდკადან, პ. ტერენკოვი „ლოკომოტივიდან“.

„სპარტაკმა“ მოიგო ეს პრინციპული, მეტად მნიშვნელოვანი მატჩი დიდი ანგარიშით 6:2. გოლები გაიტანეს სპარტაკელთაგან სამი—ვ. სტეპანოვმა, ორი — ვ. შილოვსკიმ, ერთი — გ. ფედოტოვმა, ბასკებმა — ი. ლანგარამ და ხ. ირარაგორიმ.

მეექვსე მატჩი ბასკეთის ნაკრებმა კიევში ჩაატარა. გაძლიერებული შემადგენლობის გარეშე ბასკებთან შეხვედრის რისკი ვერც კიევის „დინამომ“ გაბედა... ხნია. გუნდმა ამ მატჩისათვის დამცველები — ვ. გლაზკოვი როსტოვის „დინამოდან“, ხოლო ი. გვოზდკოვი მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ მოიწვია, ნახევარდამცველი მ. ტაბაჩკოვსკი კი ოდესის „დინამოდან“ ჩამოიყვანეს. კარს ნ. ტრუსევიჩი იცავდა, დიდი სამამულო ომის დროს, კიევში გამართული „სიკვდილის მატჩის“ ერთ-ერთი გმირი.

ი. ლანგარას „ჰეთ-ტრიკს“ კიეველებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს, რომელიც ვ. შილოვსკიმ გაიტანა.

შემდეგი ორი მატჩი ბასკებმა თბილისში გამართეს.

„ჩვენი ქვეყნის არც ერთ ქალაქში, ალბათ, ისე არ გულშემატკივრობენ თავიანთ გუნდს, როგორც თბილისში“, — ასე იწყებდა ბასკებთან თბილისის დინამოელთა შეხვედრის მატჩის კომენტარს ცნობილი სპორტული ჟურნალისტი იური ვანიატი.

ცნობას თბილისში ბასკთა განთქმული გუნდის ჩამოსვლის შესახებ, ფეხბურთისადმი ინტერესის არნახული აზვირთება მოჰყვა. ბილეთების გაყიდვა მატჩამდე ათი დღით ადრე დაიწყო, ხოლო შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე თბილისის „დინამოს“ ახალი სტადიონის დაუმთავრებელი ტრიბუნები მაყურებლებით აივსო.

თბილისის „დინამო“ იყო ჩვენს ქვეყანაში მეორე საკლუბო გუნდი, მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემდეგ, რომელიც სხვა ფეხბურთელთა მოწვევის გარეშე საკუთარი ძალებით შეერკინა ტყავის ბურთის ვირტუოზებს ბასკეთიდან. „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, გ. ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, გ. გაგუა, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ლ. ლოლაძე, მ. ახლამაზოვი. ავადმყოფობის გამო ბასკთაგან თამაშში ვერ მონაწილეობდა ლუის რეგეირო (იგი მეორე ფეხბურთელ ხ. ირარაგორისთან ერთად სამკურნალოდ ბორჯომში გაამგზავრეს), რომელიც მისმა ძმამ პედრომ შეცვალა.

85-ე წუთზე ი. ლანგარას გატანილი გოლი ერთადერთი იქნებოდა, რომ თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე, თბილისელთა კარში კურიოზული გოლი არ გასულიყო: პ. რეგეიროს მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი დოროხოვმა მაღალ ნახტომში მოიგერია, მაგრამ ბურთი შემთხვევით მოხვდა მინაევს და კარში შეგორდა.

პრესამ ასეთი შეფასება მისცა ამ თამაშს: „ტემპს ბასკები ქმნიან ბურთის სწრაფი გადაცემით და არა სირბილით. ამიტომაც ნაკლებად იღლებიან... უნაკლონი იყვნენ ბლასკო, არესო, აედო, ხავბეკი, სილაურენი, თავდამსხმელები გოროსტიცა და ლანგარა.

ჩვენთან სუსტი იყო მარცხენა მხარე. ნამდვილი ოსტატური თამაში გვიჩვენეს დოროხოვმა, შავგულიძემ, ჯორბენაძემ და პაიჭაძემ. ამ მატჩში

უკანასკნელის განსაკუთრებით კარგი თამაში იმის მაჩვენებელია, რომ ის სწრაფად იზრდება და ყალიბდება ბრწყინვალე მოთამაშედ“.

30 ივლისს ბასკებს საქართველოს ნაკრები შეხვდა. ჩვენს გუნდში წინა შემადგენლობიდან მხოლოდ მარცხენა ფრთა შეიცვალა: ლოლაძის ნაცვლად ბერძენიშვილი გამოვიდა, ახლამაზოვის ნაცვლად — ლოკომოტიველი გ. ჯეჯელავა. თადარიგში იყვნენ მეკარე ა. ტყებუჩავა ოჩამჩირედან, ნახევარმცველი ბ. ფროლოვი ბათუმიდან და თავდამსხმელი გ. აფრიდონიძე თბილისის „ლოკომოტივიდან“.

პირველი ტაიმი ბასკებმა მოიგეს ანგარიშით 3:0. გოლები გაიტანეს ე. ლარინაგამ, ე. ალონსომ და ი. ლანგარამ.

მეორე ნახევარში ინიციატივას მეტწილად საქართველოს ნაკრები ფლობდა. მე-6 წუთზე საჯარიმო მოედანზე ხელით თამაშისათვის ბასკების კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა. ამ საქმის „სპეციალისტი“ მ. ბერძენიშვილი პირველ ტაიმში ტრავმის გამო გამოეთიშა თამაშს. საჯარიმოს შესრულება თანაგუნდელებმა სთხოვეს ბ. პაიჭაძეს, რომელსაც ოფიციალურ შეხვედრებში არასოდეს დაერტყა თერთმეტმეტრიანი. მოკლე გამორბენი, ძლიერი, ზუსტი დარტყმა, მეკარე ბლასკომ განძრევაც ვერ მოასწრო. გოლი!

„ამ დღეს ისინი (საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები — გ. მ.) უფრო გააზრებულად, შეთანხმებულად და მეტი მონდომებით თამაშობდნენ. განსაკუთრებით კარგი იყვნენ დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, მინაევი, პაიჭაძე... ბასკების მხრიდან შესანიშნავად თამაშობდნენ მცველები არესუ და აედო, სილაურენი, ალონსო, ლარინაგა, ლანგარა“, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“.

— ბასკები შესანიშნავი ბიჭები იყვნენ, ნამდვილი მებრძოლები — იგონებს ქართული ფეხბურთის სიამაყე ბ. პაიჭაძე. — ახლაც თვალწინ მიდგას მათი სახეები, ფუნიკულიორის პლატოდან სევდაჩამდგარი თვალებით რომ გაჰყურებდნენ თბილისს. ოცნებაში წასულმა მეკარეთა რისხვამ, — „ტანკად“ მონათლულმა ლანგარამ თავისთვის ჩაიდუდუნა: „შეხედეთ, როგორ ჰგავს ჩვენს მშობლიურ ბილბაოს!“

ბოლო მატჩი ბასკებმა მინსკში გამართეს, ქალაქის ნაკრებთან. გუნდი მოსკოველი ფეხბურთელებით გაამლიერეს. მაგრამ ჩვენი გუნდი დამარცხდა ანგარიშით 6:1.

ტურნეს დამთავრების შემდეგ, ბასკმა ფეხბურთელებმა ფრანკოს სისხლიან რეჟიმში დაბრუნება არ ისურვეს და მექსიკაში გაემგზავრნენ. ცნობილია, რომ ბასკების იძულებითი ემიგრაცია ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან დაიწყო. პირველი ქვეყანა, სადაც ბასკებმა მეორე სამშობლო ჰპოვეს, მექსიკა იყო.

# ვინატრებ სიკეთეს ექიმებს

ღამის მყუდროებას სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა არღვევს. სახელდახელოდ სპორტულ ტანსაცმელში გადაცმული ექიმი ალეკო ჩოჩია შესაშური სიმკვირცხლით, რამდენიმე საფეხურით ათავებს კიბეს, ჯდება მანქანაში. მიდის უცნობის დასახმარებლად, ადამიანის საშველად.

სასწრაფო ოპერაცია... ღამემ დაძაბულობაში ჩაიარა. კრიზისის პერიოდი. ეს წუთია მოსცილდა ნაოპერაციევი ავადმყოფის საწოლს. გათენებამდე რამდენიმე საათია დარჩენილი. შინ წასვლა არც უფიქრია. დილით კვლავ ოპერაცია ელოდება, გადაუდებელი ოპერაცია. წუთიერი განმარტოება — ქირურგიული განყოფილების გამგის კაბინეტში სავარძლის საზურგეს მიყრდნობია თმაშევერცხლილი ახალგაზრდა მამაკაცი. დაღლილი სხეული თითქოს თავად აძლევს იმპულსს, ძილის ბურანში ახვევს. სიზმარეულ ჩვენებაშიც კვლავ თეთრი საწოლია, ამჯერად მასზე მწოლიარე თორმეტიოდე წლის გოგონათი. ამ გოგონას სიცოცხლე უნდა. ახლა მისი პაწია სახე სიმწრის ოფლს დაუნამავს. ბავშვის სასთუმალთან დედას მიუდვია თავი: „შვილი გადამირჩინე, თუ კაცი ხარ... ადამიანო, ექიმო, გევედრები...“ ექიმი ძილშიც აზროვნებს, ფიქრობს, და იწყება სიზმრად გადასული ჩვენება ცხადად, ბრძოლა, მორიგი შეტევა სიკვდილთან. პატარა ავადმყოფი საოპერაციო მაგიდაზეა, მოქნილი თითები სწრაფად მოძრაობენ, პატარას კი ექიმი ჩასჩურჩულებს: „აბა, ყოჩაღად ირმა, ყოჩაღად პაწიავ, რა დაჭრილი არწივივით ჩამოგიყრია ფრთები. აბა, გავიხსენოთ. გახსოვს ეს ლექსი?..“ მოქნილი თითები კი საოცარი სისწრაფით მუშაობენ...

დაიბადა აბაშაში. არჩევანი ექიმობისა განაპირობა დედის პროფესიამ. დედა — რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი — ანა ნესტორის ასული კუცია. მისმა გარეგნულმა და სულიერმა მხარემ დიდი კვალი დატოვა შვილში. დედისთვის პირველ ადგილზე თავისი პროფესია იდგა, სწორედ აქედან ჩაისახა მარცვალი, დედა გახდა მისთვის ექიმი — იდეალი. სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა, ხოლო 1972 წლიდან ის გორშია, რაიონულ საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების გამგეა.

ექიმ ალეკო ჩოჩიას კაბინეტს ამშვენებს აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ფოტოსურათი. მხცოვანი, თეთრთმით მოსილი კაცი ურთულესი ოპერაციის შემდეგ თვალზე ხელმიფარებული, წამიერ გარინდებას მისცემია. ეგნატე ფიფიას ხელში მოხდა მისი დაოსტატება. ამ სასწაულმოქმედმა დასტაქარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჯერ კიდევ ჭაბუკ ქირურგზე.

ა. ჩოჩია ქირურგთა ახალგაზრდულ ბრიგადას უდგას სათავეში. მის ხელში ოსტატდებიან ახალგაზრდა ექიმები.

— „უბედნიერესი წუთები ჩემს ცხოვრებაში?.. ძნელია ამ კითხვას უპასუხო და განკერძოებულად გამოყო რამე. საავადმყოფოში მოიყვანეს ახალგაზრდა ვაჟი—გულის ჭრილობით. წამები თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს. გულის ოპერაცია პრაქტიკულად არ მენახა. რისკზე წავედი. შინაგანად მქონდა დაჯერება, რომ გავიმარჯვებდი. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. როცა შინ ვბრუნდებოდი, ისეთი გრძნობა მომეცა, თითქოს ეს აფართხალებული ადამიანის გული გაშლილ ხელისგულზე მედო და ისე მომქონდა. ისეთი გულსავსე, ბედნიერი მოვდიოდი, — რა შეედრება ამ წუთებს?..“

დაე, ასეთი წუთები ბევრი ჰქონოდეს სახელოვან გორელ დასტაქარს!

**ირინე აპრესოვა**

ქ. გორი.

**ზურაბ ლორთქიფანიძე**

# ლექსები

## ქორა მახვში

ფიცხმა დღემ მსჯავრი გამომიტანა,
ჩამაგდო ჟამთა უზომო ვალში,
თუმც არ ვყოფილვარ ზვავიან მთათა
წარმოსადეგი ამაყი მახვში.

რაცა ვარ, კვლავ ის ვყოფილიყავი,
გავაძვრე ჩემს თავს ძალათი ტყავი,
დროზე ჩამექრო ხმაური: ვიტყვი —
იქნებ შინ მაინც ჰქონოდათ რიდი!

ეგების კრინტიც არსად გამეღო,
ჯობდა, თუ არა... რა გვიან ვფიქრობ...
ახლა ამ გვიან წვით და ღიმილით
სულზე მოდებულ ტკივილებს ვიქრობ?

ვიქრობ? ვითომდაც, თუ რაღა მეთქმის,
ჩამაგდეს ჟამთა უსაზღვრო ვალში.
ვყოფილიყავი ერთი დღე მაინც
მოჩვენებითი მრისხანე მახვში.

## ჩემს შვილიშვილს ზურაბს

არა იმიტომ, ჩემი სახელით
დაიძარ, მზესთან აფრა აუშვი.
არც მიტომ, ჩემი გვარით გახველი,
სხვათაშორის, გვარს სწვავდა ნამუსი.

არა იმიტომ, ბიჭი ხარ მყარი,
გარეგნულადაც ჯერ არა გიშავს.
მთავარი არი, შენი სამყარო,
როგორ გაარჩევს ოქროს და ქვიშას.

ბევრი შეგხვდება მასწავლებელი,
გეტყვიან, ალბათ, კარგის მინაგვარს.
ივლი მიბაძვით დროსთან შებმული?
ეს კითხე შენს გულს, გვარს და წინაპარს!

გქონდეს იერი მზისპირზე მდგარის,
წარსულითა და აწმყოდ ხმობილი.
მიაგენ, ჩემში ცუდი რაც არი,
გამხადე ცოტა კეთილშობილი.

## ფიქრები [illegible]

# არა ვარგა უსაზომო

### ვახტანგ კუპრავა

დიდმა რუსთველმა სიბრძნით ალსავსე ანდერძი დაგვიტოვა ბრწყინვალე აფორიზმად ჩამოქნილი: „არა ვარგა უსაზომო“.

მართლაც რომ მოწონების ღირსი არ არის და არ ვარგა არაფერი ზომას გადასული, ზომას გადაცილებული, მეტისმეტი, უზომოდ თუ უსაზომოდ ქცეული...

ამგვარი ფიქრები მომგვარა უნებურად ერთი წიგნის გაცნობამ. ეს წიგნი გახლავთ ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობა“, გამოცემული 1980 წელს „მეცნიერების“ მიერ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნის გამოცემა თავისთავად მისასალმებელი მოვლენაა, რადგან გარდასულ საქმეთა მართებული განხილვისათვის უთუოდ საჭიროა ყველაფრის გათვალისწინება და მით უმეტეს ისეთი განსწავლული ღვთისმეტყველის თხზულების შესწავლა, როგორიც ანტონ I კათალიკოსი იყო, უკეთუ მას ბევრი საგულისხმო და საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ქართული საეკლესიო თუ საერო მწერლობის შესახებ. ეს, ცხადია, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ უკრიტიკოდ მივიღოთ არაერთი მცდარი და მიკერძოებული მსჯელობა და არ უკუვაგდოთ იგი, რაც უარსაყოფია, ანდა უკვე უკუგდებულია ქართველი ხალხის მიერ.

სწორედ ქართველი ხალხის მიერ უკუგდებულ აზრთა თუ საქმეთა შორის იყო ანტონ კათალიკოსის შეხედულება და დამოკიდებულება შოთა რუსთველის შემოქმედებისადმი.

ამის დავიწყება ანდა თუნდაც მიფუჩეჩება იმ მიზნით, რომ როგორმე უკეთესად გამოვაჩინოთ ღვაწლი და პიროვნება ანტონ კათალიკოსისა, ჩვენი აზრით, ისტორიული სინამდვილის შელამაზებაა, სხვა არაფერი.

შესანიშნავი მეცნიერი, პროფესორი ივანე ლოლაშვილი „წყობილსიტყვაობისთვის“ წამძღვარებულ თავის ვრცელ ფილოლოგიურ გამოკვლევაში ასეთ დასკვნას გვთავაზობს:

„ანტონი მაღალ შეფასებას აძლევს შოთა რუსთაველს, სარგის თმოგველსა და ჩახრუხაძეს, როგორც ერის კაცთა შორის გამოჩენილ მწერალ-პოეტებს: ჩახრუხაძეს აცხადებს ის პოეტთა გვირგვინად, შოთას კი — მაღალ ღვთისმეტყველად“.

ყოველივე თქმული მოწმობს, რომ „წყობილსიტყვაობის“ ავტორი, რომელიც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო თითქოს უნდა ჩაკეტილიყო ქრისტიანული თეოლოგიის ჩარჩოებში, ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ქარᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲝ-ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲑᲐᲓᲚᲝ ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲓ და მისი მეცნიერული ღირებულებას ჭეროვან დამფასებლად“ (გვ. 54-55. ხაზგასმა ჩემია, ვ. კ.).

აქვს თუ არა პროფესორ ი. ლოლაშვილს რაიმე საფუძველი მტკიცებისათვის, რომ „ანტონი მაღალ შეფასებას აძლევს შოთა რუსთაველს“?

გავეცნოთ ანტონ კათალიკოსის იამბიკოს:

„თჳს შოთა რუსთაველისა
802. შოთა ბრძენ იყო,
სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი
სპარსთა ენის;
თუ სამ სწავლოდა, —
ღმრთის-მეტყუელიცა მაღალ;
უცხო საკჳრველ
პიიტიკოს-მესტიხე;
მაგრა ამაოდ დაშურა,
საწუხ არს ესე“.

ამგვარად, ანტონ კათალიკოსი სრულიად არაორაზროვნად გვეუბნება: შოთა რუსთველმა თავისი სიბრძნე, ფილოსოფოსობა, სპარსული ენისა და თეოლოგიის ცოდნა, აგრეთვე ჩინებული, საკვირველი მელექსეობა, წყალში გადაყარა, რადგან ფუჭად იშრომა, ამაოდ გაისარჯა. ისიც თავისთავად იგულისხმება, რომ შოთა რუსთველის ფუჭი, ამაო გარჯის შედეგი იყო... „ვეფხისტყაოსანი“.

ივ. ლოლაშვილი თავის გამოკვლევაში არაერთხელ აღნიშნავს, რომ ანტონის მსჯელობა და დასკვნები სხვადასხვა წყაროების კარგ ცოდნას ემყარება.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელ წყაროს ემყარება ანტონის აზრი, რომ შოთა იყო „მეტყუელი სპარსთა ენისა“? აქამდე ცნობილი არც ერთი საისტორიო წყარო არ გვაუწყებს იმას, რომ რუსთველმა იცოდა სპარსული ენა.

გამოდის, რომ ანტონს ეს დასკვნა დაუფუძნებია თვით რუსთველის სიტყვებზე: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“

გამოდგება თუ არა რუსთველის ეს ნათქვამი იმის დასამტკიცებლად, რომ იგი იყო „მეტყუელი სპარსთა ენისა“? რასაკვირველია, არა, რადგან აქ შოთა გარკვევით გვეუბნება, რომ მან იპოვნა და ლექსად გარდათქვა ამბავი, რომელიც სხვა ვინმეს უთარგმნია სპარსული ენიდან. იქნებ შოთამ ბრწყინვალედაც იცოდა სპარსული ენა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ეს ადგილი სრულებითაც არ ადასტურებს მის ამგვარ განსწავლულობას. ამგვარად, ვფიქრობთ, ანტონ კათალიკოსს სწორად ვერ გაუგია წყარო, რომლის მიხედვითაც გამოუტანია დასკვნა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვლენის გამო (იცოდა თუ არა რუსთველმა სპარსული ენა) და რატომღაც აუცილებლად მიუჩნევია რუსთველისადმი მიძღვნილ მცირე ტექსტში შეეტანა ეს უსაფუძვლო მტკიცება.

რა თქმა უნდა, მთავარი ეს როდია.

მთავარი ის არის, რომ ანტონის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რუსთველის შემოქმედებისა და პიროვნებისადმი წითელი ხაზივით გასდევს „წყობილსიტყვაობას“.

ანტონი კვლავდაკვლავ შენიღბულად ცდილობს, სხვა „პიიტიკოს-მესტიხეთა“ განდიდების გზით, დაამციროს რუსთველი და ნელ-ნელა შეაგუოს მკითხველი იმ აზრს, რომ ქართველებს სხვაც ბევრი ჰყავდა რუსთველზე გაცილებით დიდი პოეტი.

ვნახოთ, როგორ ამკობს იგი ჩახრუხაძეს:

„თჳს ჩახრუხაის ძისა
804. ჩახრუხაის ძე — უცხო
პიიტიკოსი,
თამარ დიდისა მმკობი
შაირებითა;
შოთას შაირთა, თუ სთქუა,
უკეთესთაცა,
მთქმელი მესტიხე, დიდი
სიბრძნის-მოყუარე.
ყოვლად საქები,
რიტორთ-მესტიხთ გჳრგჳნი“.

ანტონმა ვითომ არ იცის, რომ ჩახრუხაძე შაირებით არ ამკობდა თამარ მეფეს და ე. წ. ჩახრუხაული ოცმარცვლიანი ლექსით გაწყობილ „თამარიანში“ ორიოდე შაირია ჩართული, მაგრამ ის ორიც თურმე უკეთესი ყოფილა შოთას 1500 შაირზე.

რომელ ქართველ კაცს მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ ჩახრუხაძე დიდი პოეტი არ იყო, მაგრამ რვა საუკუნის მანძილზე სხვა არც ერთი ქართველი არ გამოჩენილა, ანტონ კათალიკოსს გარდა, რომელსაც ჩახრუხაძე დაეყენებინოს რუსთველზე მაღლა.

ანტონ კათალიკოსი მიკერძოებას, აშკარა ტენდენციურობას ამჟღავნებს და არა მარტო რუსთველის მიმართ. ასევე ტენდენციურია იგი სულხან-საბა ორბელიანის მიმართაც.

აი რას გვეუბნება იგი:

„თჳს სულხან-საბა ორბელიანისა
805. საბას არ ვაქებ,
ამად ვითრმედ ესე
ეკლესიასა წმიდასა
მტერ-განუდგა,
წინააღმდგომ-მბრძოლ ექმნა
ჭეშმარიტებას,
„სამოთხის კარი“, გარნა
ჯოჯოხეთის ბჭე
აღწერა სულთა წარწყმედად,
თჳთცა წარსწყმდა“.

აქ სავსებით გამჭირვალეა საბაბი, რის გამოც ანტონი არ აქებს საბას, ანდა რის გამოც „წარსწყმდა“ იგი. ანტონისთვის არსებობს მხოლოდ მისი რელიგიური რწმენა და სამღვდელო თანამდებობა და არა ქართული საერო მწერლობის ჭეროვნად, ობიექტურად და მეცნიერულად დაფასების კრიტერიუმები. ამიტომაც არ არსებობს ანტონისთვის სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ და „ქართული ლექსიკონი“.

ასე უგულებელყოფდა, ამცირებდა ანტონ კათალიკოსი რუსთველსა და სულხან-საბა ორბელიანს.

სამაგიეროდ, იგივე ანტონი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ისეთი პოეტებისათვის, რომელნიც პირადად მისთვის, ანდა ქართლისათვის იყვნენ ძვირფასნი, მაგრამ ქართული მწერლობისათვის კი სრულიად უმნიშვნელონი (იესე ქსნის ერისთავის ძე, დიმიტრი ორბელიანი და სხვანი).

ივანე ლოლაშვილისთვის გაცილებით უკეთ, ვიდრე სხვათათვის, გასაგები უნდა ყოფილიყო, იმსახურებდა თუ არა იესე ერისთავი ანდა თუნდაც თეიმურაზ II და ბევრი სხვა დიდგვაროვანი პოეტი უფრო მეტ ქებას, ვიდრე რუსთველი ან სულხან-საბა ორბელიანი. ამიტომაც მას მეცნიერული კვალიფიკაცია უნდა მიეცა ანტონ კათალიკოსის ამგვარი მსჯელობისათვის.

ამის მიჩქმალვა არ შეიძლება.

არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ანტონ კათალიკოსი, როგორც ჩანს, არ დასჯერდა რუსთველის განქიქებას მარტოოდენ „წყობილსიტყვაობაში“.

მე აქ მოვიტან მხოლოდ ორ ადგილს აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის ნაწერებიდან.

სტატიაში „ივანე ჯავახიშვილი — ქართული მწერლობის მკვლევარი“, იგი წერს: „ივ. ჯავახიშვილს სადავოდ არ მიაჩნდა გადმოცემა ანტონ კათალიკოზისაგან „ვეფხისტყაოსნის“ დევნის თაობაზე“ (გვ. 6-8).

ეს არის დაწერილი 1976 წელს, ხოლო ათი წლით ადრე ნაშრომში „შოთა რუსთველი“, ალ. ბარამიძე წერს:

„მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში უცდიათ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მოსპობა. ლიტერატურული გადმოცემა „ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფას მიაწერს კათალიკოს ანტონ პირველს (1720-1788). შესაძლებელია ანტონი არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ უშუალოდ ხელისმყოფელი (როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს), მაგრამ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ. ანტონი იყო ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოების იდეური ხელმძღვანელი, რომელმაც უარყოფითად შეაფასა რუსთველის ღვაწლი პოეზიის ისტორიაში („ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“-ო) (ხაზგასმა ჩემია, ვ. კ.).

ყოველივე ეს სრულიად თვალსაჩინოდ და კატეგორიულად უარყოფს ივანე ლოლაშვილის მტკიცებას, რომ თითქოს „ანტონი მაღალ შეფასებას აძლევს შოთა რუსთველს...“ ანდა კიდევ, რომ იგი „გვევლინება ქართული საერო-მხატვრული მწერლობის უბადლო მცოდნედ და მისი მეცნიერული ღირებულების ჭეროვან დამფასებლად“.

პატივცემული მკვლევარის ზემოთ მოტანილი მსჯელობა-განზოგადებანი მოკლებულია მყარ საფუძველს, გადაცილებულია ყოველგვარ ზომას და ამიტომ ერთხელ კიდევ გვათქმევინებს დიდი რუსთველის სიტყვებს: არა ვარგა უსაზომო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოჩორას შვილები

## ლავრენტი ქიქინაძე

საქათმის ერთ კუთხეში ქოჩორა დასვეს კვერცხებზე.

გავიდა რამდენიმე დღე.

მეორე კუთხეში ყრუნას მოუწყვეს საბუდარი.

ქოჩორასა და ყრუნას შუაში კარი იყო. საღამოობით ამ კარში ისე ჩუმად, ნელა, ფეხაკრეფით შეიპარებოდნენ ქათმები, თითქოს არავინ გაიგოს დასაძინებლად რომ მივდივართო.

სასეირო სანახავი დილაობით იყო ხოლმე. კარს რომ გაალებდნენ, რომელი რომელს გამოასწრებდა, ქათმები ერთმანეთს ასტებოდნენ. საქათმე ცარიელდებოდა, განა სულ! იქ რჩებოდა ქოჩორა და ყრუნა. გაყუჩებული იყვნენ თავთავიანთ საბუდარში. თითქოს არც სუნთქავდნენ.

ისინი დღეში ერთხელ თუ ამოვიდოდნენ საბუდრებიდან. ერთ წამში მიმოივლიდნენ, წყალს დალევდნენ, მიქენკმოკენკავდნენ, ისევ თავთავიანთ საბუდარს მიაშურებდნენ. ისე ნელა ჩაადგამდნენ ჯერ ერთ ფეხს, მერე — მეორეს, რომ კვერცხები არ შეხლოდნენ ერთმანეთს, ფრთხილობდნენ: არ გავტეხოთო. ჯერ ისევ თბილ კვერცხებს გულმოდგინედ გადაეფოფრებოდნენ.

მწვანე ეზოში რომ არხეინად, თავისუფლად, უდარდელად დადიოდნენ ქათმები, ქოჩორასა და ყრუნას სულ არ მიუწევდათ გული მათკენ. ისხდნენ, ისხდნენ და ისხდნენ...

ქოჩორა და ყრუნა თუ მართლა ფიქრობდნენ: რომელი მოასწრებდა წიწილების გამოჩეკას, მაშინ როგორ დაწყდებოდა გული ქოჩორას, ოცი დღის შემდეგ ყრუნას ლუნლულა წიწილები რომ გამოჩნდებოდნენ: ზოგი თეთრი, ზოგი შავი, ჭრელი, ნაცარა...

დაწყდებოდა გული, აბა, რა იქნებოდა, გვიან მოყვანილმა ყრუნამ ადრე გამოჩეკა.

მაგრამ...

ქოჩორამ არაფერი შეიმჩნია, ჩუმად იყო და ისევ ჩუმად დარჩა.

ესეც ელის და ელის!

ყოველ დღე სულ იმის მოლოდინშია: დღეს თუ არა, ხვალ მაინც გამოიჩეკებიანო.

აბა, ასე გულმოდგინედ ტყუილად ხომ არ იჯდა კვერცხებზე?

გავიდა ორი დღე, სამი, ოთხი, სხვა დღეებიც!

ქოჩორას კვერცხებიდან არაფერიც არ იჩეკება.

ის მაინც არ ჩქარობს, ისეთი მოწადინებულია, შეიძლება კიდეც დააკვდეს კვერცხებს; მიტოვებას კი, ალბათ, არასოდეს იფიქრებს.

ამ სურვილით ზის და ზის, მოთმინებით ელოდება, მის საბუდარშიც როდის გაიგონებს წიწილების წივილს.

თენდება. ღამდება. დღე ღამეს ცვლის, ღამე — დღეს, მაგრამ ქოჩორას არაფერი ეშველა, არ იქნა და არ გამოჩნდა წიწილები.

მიიწურა ერთი თვე, გაცოცხლდა ქოჩორას საბუდარი. ამასაც გაუთენდა სიხარულის დღე.

ქოჩორა ხან ერთ მხარეზე გადაყოფს თავს, ხან მეორეზე. ნისკარტით რაღაცას ასწორებს. იგი აქამდე თითქოს არავის ახსოვდა, ახლა კი, დაბარებულივით გამოჩნდა დიასახლისი. მან ნაჭუჭები ამოყარა საბუდრიდან. მერე ერთ თეთრ ლუნლულა სულდგმულს წაავლო ხელი მოსაფერებლად. ქოჩორამ ჩაუნისკარტა, ეგონა: წამართმევსო. მეორედ რომ მოვიდა, ქოჩორა ამოიყვანა, ჩააბა წვრილი თოკი. მარნის წინ, იქ, სადაც მუდამ ჩრდილი იყო, დააბა პატარა პალოზე. იქვე დადგა წყლით სავსე დიდი თეფში. ქოჩორას ამ წყლიანი თეფშისათვის არც მიუქცევია ყურადღება. შეიძლება კიდეც იფიქრა, თუ კი ფიქრის თავი ჰქონდა: ასე უცებ ეს წყალი და ისიც ამდენი, რად მინდოდაო. ანდა, სად ეცალა ამის საფიქრებლად. ის გაოცებული უყურებდა თავის უცნაურ შვილებს. მათი მსგავსი აქამდე არაფერი ენახა.

ისინი არ გავდნენ წიწილებს.

ყველანი ერთფერი: თეთრი, მოყვითალონი! წიწილებივით არც წივილი იცოდნენ. ტანადაც სხვანაირი იყვნენ. უფრო დიდი! რაღაც უცნაურად ფართო, ბრტყელი ნისკარტები ჰქონდათ. ფეხებიც თავისებური, ფართო. თითები ერთმანეთზე სიფრიფანა აპკით გაბმული! გრძელკისრებიანები!

ქოჩორა ვერ ცნობდა მათ, მაგრამ გულს ის უკეთებდა, სულ მასთან ტრიალებდნენ, არ შორდებოდნენ. დაიქორქოლებდა თუ არა, მაშინვე მასთან მოგროვდებოდნენ.

ქოჩორა კიდევ უფრო მაშინ გაოცდა, როცა ისინი წყლით სავსე თეფშში ჩავიდნენ. დაიწყეს ბანაობა, ყვინთაობდნენ. ქოჩორა ძალიან გაკვირვებული რომ იყო, ეტყობოდა. იდგა ერთ ადგილზე გამართული, მაღლა თავაწეული. უყურებდა წყალში მოჭყუმპალე შვილებს და ვერ გაეგო, ვისი შთამომავალნი იყვნენ. სამაგიეროდ, დიასახლისს უხაროდა ძალიან. ის დიდი კმაყოფილებით ამბობდა: თხუთმეტი კვერცხი შევუწყვე ჩემ ქოჩორას და ერთიც არ დაამგუნაო. იგი საკენკს რომ მიუტანდა, თან მოფერებით ლაპარაკობდა:

— ჩემო კუტკუტა იხვებო, ჩემო კუტკუტა იხვებო! — ასე იმდენი ეძახა, რომ შეაჩვიეს ყური, გაიგეს, მიხვდნენ: კუტკუტები მარტო ისინი იყვნენ. გაიგონებდნენ თუ არა, კუტკუტებოო, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, გამოიქცეოდნენ.

ქოჩორამ არც ახლა იცის, რომ მას იხვის კვერცხები ჰქონდა ჩაბარებული და მის გამოჩეკას ერთი თვე ესაჭიროებოდა.

ადვილად, სულ თვალდათვალ იზრდებოდნენ კუტკუტები. წიწილებივით უმწეონი როდი იყვნენ, ლონივრად დატყაპუნობდნენ. მერე როგორ? სულ ერთად!

ქოჩორა ება ერთ ადგილზე. კუტკუტები კი ბალახიან ეზოში წავიდოდნენ შორს. მთელ ეზოს მიმოივლიდნენ და მერე დაბრუნდებოდნენ თავიანთ დედასთან. ქოჩორაც შეეჩვია, რომ ისინი არ დაიკარგებოდნენ. ამიტომ მოთმინებით ელოდა ხოლმე მათ. როცა მოვიდოდნენ, წიწილებივით ფრთებქვეშ კი არ შეეყუჟებოდნენ, იქვე გვერდით, მახლობლად დაწვებოდნენ, ცოტა ხნით შეისვენებდნენ და ისევ გასწევდნენ საშოვარზე. იჭერდნენ მწერებს, კორტნიდნენ ბალახს. მაგრამ მათი კვება ამით კი არ თავდებოდა, დიასახლისი მათ უმასპინძლდებოდა ნამცხვრის ნამცეცებით. ჭამაც უცნაური იცოდნენ, გადაყლაპავდნენ თუ არა ერთ-ორ ნამცეცს, მაშინვე გაიქცეოდნენ წყლის დასალევად, ჩაისველებდნენ ყელს. ნიჩაფა ნისკარტებით წყალს ბარაქიანად იღებდნენ, მერე ისევ დაუბრუნდებოდნენ საკენკს.

მალე წამოიზარდნენ.

ეს თეთრი იხვები, მარტო ქოჩორას კი არა, ადამიანებსაც აკვირვებდნენ. წყალში რომ ჩავიდოდნენ, გაიბანავებდნენ, ამოხტებოდნენ, ფეხისწვერებზე დადგებოდნენ, აიჭიმებოდნენ, გააფართქუნებდნენ ფრთებს, ვითომ ფრთებს, ნამდვილად კი ფრთები სად ჰქონდათ: ადამიანის ფრჩხილისოდენა პაწაწკინტელა რაღაც ფრთების მსგავსს გაიფერთხავდნენ, შეისწორებდნენ.

აი, ამ დროს რა სასაცილონი იყვნენ ხოლმე ისინი. მათ ეგონათ: ფრთები გვაქვსო.

საღამოობით ქოჩორას თავის ქოხთან გადააბამდნენ. მაშინ კუტკუტებიც მასთან მოგროვდებოდნენ და ღამით ერთად იძინებდნენ ქოხში.

ასე იყვნენ ერთი თვე.

ერთხელ დიასახლისმა თქვა:

— მთელი ორი თვეა ეს ქოჩორა ჯერ კვერცხებს დააკვდა, ახლა აქ გვყავს დაბმული. იხვები ისე წამოიზარდნენ, რომ

მაგის პატრონობა აღარ უნდათ. იციან, რა ჭამონ, რა სვან, სად იარონ, როგორ იბანაონ, როდის დაიძინონ. აღარც კი ჩერდებიან დედასთან. ამიტომ ქოჩორა ეზოს მეორე ნახევარში გადავსვათ ქათმებთან. ვალი მოხდილი აქვს. იყოს თავისთვის, მოისვენოს!

ამის შემდეგ ერთ-ორ დღეს ქოჩორა ისევ დაბმული ჰყავდათ. იგი თავნება იხვებს საღამოობით ხვდებოდა ხოლმე თავის ქოხში.

ერთ დღეს შეხსნეს თოკი ქოჩორას და ქათმებთან გადააფრინეს.

ეს არაფრად მოეწონა ქოჩორას: შვილებს რატომ დამაშორესო?! აქოთქოთდა. მავთულის ბადეს ხან ერთ ადგილზე მიაწყდა, ხან მეორეზე. ყველგან მოსინჯა, მაგრამ თავის კუტკუტებთან გასვლა ვერ მოახერხა. დარდობდა. მისი ქოთქოთი კვნესა იყო.

ახლა შვილები?

ქოჩორა რომ წაიყვანეს, მაშინ ისინი ეზოში მოშორებით იყვნენ გასული. ჩვეულებრივად რომ მიმოიარეს, დამწკრივებული წამოვიდნენ, ალბათ, დედასთან უნდოდათ მოსვენება. მაგრამ მოსვენება როდისღა გაახსენდათ, აკუტკუტდნენ. აქეთ გამოიქცნენ, იქით გაიქცნენ, ქოხშიც შეიხედეს. მოუმატეს ხმაურს, მაგრამ დედა ვეღარ იპოვნეს. იარეს ეზოში, იარეს. ქოჩორას ასავალ-დასავალი ვეღარ გაიგეს. ახლა მათ კუტკუტში წუხილის ხმა ისმოდა.

გავიდა რამდენიმე დღე. გულიდან ვერა და ვერ ამოიღეს დედის სიყვარული. ერთ დღეს იმ მხარეზე გაჰყვნენ საკენკს, საითაც ქათმები იყვნენ. მიადგნენ მავთულის ბადეს. მათი კუტკუტი რომ შემოესმა ქოჩორას, გამოიქცა, მოაფრინდა მავთულის ბადეს.

ნახეს ერთმანეთი.

ბადეში ერთი მხრიდან ქოჩორა ყოფს თავს, მეორე მხრიდან — პატარა იხვები. ვერ ძღებიან ალერსით. იქით ქოჩორა ჩაჯდა, აქეთ იხვები წამოწვნენ. ასე იყვნენ კარგა ხანს.

დამშვიდდნენ კუტკუტები, იპოვნეს დედა. მერე ისევ წავიდნენ ბალახის საკორტნელად, მწერებზე სანადიროდ. მიმოიარეს. ისევ მოვიდნენ ქოჩორასთან. ისევ იქ დახვდათ.

ახლა ქოჩორა თოკს კი არა, შვილების სიყვარულს ჰყავდა იქ დაბმული.

გადის დღეები.

კუტკუტების გულში არ ქრება დედის სიყვარული, ღობე არის, მაგრამ დედაშვილური სიყვარულის ჩაქრობა კი არა, შენელებაც შეუძლებელი გახდა.

# ვახო ბიჭი სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოგოლაშვილი

## ქალაქიდან იმერეთში

მიჰქრის ავტო... ველ-მინდვრები
კიაფობენ ბარაქითა,
ვახო-ბიჭი იმერეთში
მიბრძანდება ქალაქიდან.

მიჰქრის ავტო... ბაღჩა-ბაღებს
ოქროსფერი დასდებია.
თვალა, თვალა, ვერ დათვალა,
ვინ დაითვლის, რამდენია!

მთები მთებზე შეკიდული,
მთებზე ნისლი დარხეული,
გზები — სწორი ისარივით,
ხან თოკივით დახვეული.

რუხი ფერის ნაციხარი,
ლურჯი ფერის ნატაძრალი,
ზოგი დროით დანგრეული,
ზოგი მტრისგან გადამწვარი.

სურს იცოდეს ყველაფერი,
რამდენ ახალ რამეს ხედავს.
ის რა არი მთის წვეროზე?
ეკითხება ბიჭი დედას.

— ეგ მცხეთაა, მისი შუქი
უნდა მუდამ გვენთოს გულში,
საქართველოს დიდი დედა,
საქართველოს დედა-ბურჯი...

წკრიალებენ თავთავები
გზა-გზა, როგორც ჩონგურები.
წინ გამოჩნდა მაღალ მთაზე
მოვლებული ქონგურები.

— ეს რაღაა?.. — ეგ გორია,
მისი ციხე-გალავანით,
ჩვენი ქვეყნის ბოროტ მტერთან
მორკინალი ფალავანი...

მიჰქრის ავტო... მზის სხივები
მთა და ველებს მზეში ქარგავს,
— ეგ რა ხდება? შეკრთა ბიჭი,
გზა მთის გულში ჩაიკარგა.

დედა ამბობს: — ლიხის მთაა,
დასარბენი სიმღერებით,
აქეთ შენი ქართლი არი,
იქით — შენი იმერეთი.

გვირაბს გაცდა... უკან დარჩა
მოელვარე ლურჯი ნისლი...
ზესტაფონი, აჯამეთი,
რიონი და ქუთაისი.

მოჩანს თეთრი მონასტერი,
იქვე თეთრი სოფელია.
— ეგ რა არის? — ეგ გელათი,
შენი ტკბილი მშობელია!

იელებში მიკარგული
წინაპრების გზა-კვალია.
— კაკლის ჩრდილში რა
ირწევა?
— შენი მამის აკვანია.

დაუკვირდი, შეიყვარე
ეს ლამაზი მთა და ბარი,
მიწა — დედის სალოცავი,
სათაყვანო, საფიცარი.

ყანები და ველ-მინდვრები
ბრიალებენ ბარაქითა...
ვახო-ბიჭი იმერეთში
ჩამობრძანდა ქალაქიდან.

## სოფელში რას არ იპოვნი

სოფელში რას არ იპოვნი —
პეპლებს თუ სოკო-ქუდებსა,
ხან ლოკოკინას ნიჟარას,
ხან ჩიტუნიას ბუდესა.

თუ გულიანად მოძებნი,
არ გაჭირდება მიგნება,
შაქარა ვაშლის ჩეროში
ზღარბსაც წააწყდე იქნება.

## მთელმა სოფელმა გაიგო

პატარა ვახოს ამბავი
მთელმა სოფელმა გაიგო,
ვეება მდელო გათიბა,
საბან-ბუმბული დაიგო.

წისქვილში სავსე ტომარა
ზურგით ერთ გზობად წაიღო,
ყანა გათოხნა ჰექტარი,
ვაზი და ბაღი სხვა იყო...

## რატომ დააბეს მურია?

შეაშინა ნინიკო,
აატირა ნათია,
კრუხი ააკრიახა,
კატა კუდით ათრია.

გადარეკა ეზოდან
წიწილები პატარა,
ბებოს ჩუსტი მოპარა,
ასკინკილით ატარა.

ძროხას ფეხზე უკბინა,
თხა დააფრთხო ნაცარა,
ეზო ყეფით აიკლო,
ძილი აღარ გვაცალა.

შეუღრინა მეზობლის
გოგოს, წითელკაბიანს...
ამიტომაც მურია
ხეზე ჯაჭვით აბია.

## ვინ შეხვდა ვახოს შარაზე

ვახოს შეხვდნენ შარაზე
ფეხშიშველა ქათმები,
მობუზული ფინია
უხელთათმნო თათებით.

მოხტუნავდნენ კურდღლები,
ქუდები არ ეხურათ.
სარისწვერზე შემოჯდა
უპალტოო ბელურა...

თოვლიანი დღე იყო,
მიწა თეთრად ელავდა,
თებერვალი ბერავდა,
მარტი კაბას კერავდა.

## მურია, ხატაურა და ვახო

გაემგზავრნენ უღრან ტყეში,
სადაც ციყვი სახლობს,
მურია და ხატაურა,
რა თქმა უნდა, ვახოც...
წავიდნენ და დაიკარგნენ,
სადღა გინდა ნახო,
მურია და ხატაურა,
რა თქმა უნდა, ვახოც...
გადიარეს კაკლის ჰალა,
კოლექტივის ახო...
ახლა ისევ აქ არიან,
შეგიძლიათ ნახოთ:
მურია და ხატაურა,
რა თქმა უნდა, ვახოც...



# უკვდავი სახელოვანის ბედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არჩილ გოგელია**

მისი ერთ-ერთი თანამედროვე, მეცნიერი და ინჟინერი ბარდინი, რომელიც გიორგი ნიკოლაძეს ჯერ კიდევ რევოლუციამდე დონბასის ქარხნებში მუშაობით იცნობდა, საინტერესო პორტრეტს ქმნის: ბარდინის აზრით, ნიკოლაძე არავის არ ჰგავდა — არც რეალურად და არც ლიტერატურაში არსებულ გმირთაგან. და თუ ვინმეს ჰგავდაო, წერს ნიკოლაძის მეგობარი, ალბათ, ისევ ანდრეი ბოლკონსკის, — აუღელვებელი, ზომიერი ხასიათის მქონე, მტკიცე და თანმიმდევრული მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ძალზე საგულისხმოა აგრეთვე ის ხატი გიორგი ნიკოლაძის პიროვნების, რომელიც მისმა თანამოსანგრემ, „შევარდნის" ძველმა წევრმა და ექიმმა სოსო ასლანიშვილმა დაგვიტოვა. უკვე ნიკოლაძის გარეგნობაში იყო ისეთი რამ, რაც თავიდანვე პატივისცემით განგაწყობდათო, იგონებს იგი. ეს იყო ტანმაღალი, საუცხოო აღნაგობის მქონე, მძლეოსანივით მოქნილი, თითქოს ერთიანად ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ვაჟკაცი. მისი ყოველი მოძრაობა აღბეჭდილი იყო პლასტიკით, ხოლო დაკუნთული ტანი ანტიკური სილამაზის ეტალონად წარმოგიდგებოდათ.

ასლანიშვილი აღტაცებულია იმ არაჩვეულებრივი სპორტული ნიჭით, რომლითაც ბუნებამ დააჯილდოვა ნიკო ნიკოლაძის ერთადერთი ვაჟიშვილი. იგი იხსენებს, რაოდენი ოსტატობა იყო ჩაქსოვილი გიორგი ნიკოლაძის ვარჯიშებში ლერძსა და ორძელზე, რგოლებსა და სხვა იარაღებზე, აგრეთვე ცურვასა და წყალში ხტომაში... თანამედროვის მოგონება კინოკადრებივით აცოცხლებს ნიკოლაძის მონაწილეობას ლელობურთში, მის გატაცებას ჭადრაკით, როცა ზაფხულობით, ბუნების წიაღში, სადმე ხის ჩეროში, ერთდროულად ეთამაშებოდა ათ დაფაზე დაუხედავად მეტოქეებს... ასლანიშვილის მიერ გამოძერწილი პორტრეტი ერთიანად იმპრესიონისტულია. იგი ემყარება ცოცხალ შთაბეჭდილებებს და არა გამოგონილ სიტუაციებს. მასში სრულებით არ არის განყენებული მსჯელობა და ზოგადი დასკვნები, რითაც ასე სცოდავს ხოლმე ზოგიერთი მოგონება-მემუარი.

* * *

...განგებამ ინება, რომ ნიკოლაძეების ოჯახს განსაკუთრებული ადგილი ჰქონოდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული საზოგადოებრიობის ცხოვრებაში. ნიკო ნიკოლაძის მძლავრმა, მონუმენტურმა პიროვნებამ წარუშლელი კვალი დააჩნია ქართველთა რამდენიმე თაობის ცნობიერებას, საზოგადოებრივ აზროვნებასა და განვითარებას. ეს იყო ეპოქა, როცა ერის უწარჩინებულეს წარმომადგენელთა გონების ძალითა და პრაქტიკული მცდელობით იქმნებოდა ქართული საზოგადოებრივი ინსტიტუტები და ხანგრძლივი დროისათვის გათვალისწინებული ერის სამოქმედო პროგრამა. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ტიტანური მასშტაბის პროგრამის შედგენა-აღსრულებას თითო-ოროლა კაცი ვერ შეძლებდა, თუნდაც მათ სახელებად რქმეოდათ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი...

სამოციანელთა, იგივე თერგდალეულთა რაზმი, ჩვენდა საბედნიეროდ, გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო და მას თავისი გამოკვეთილი ლიდერებიც ჰყავდა. ისტორიამ ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის ხვედრი არგუნა ნიკო ნიკოლაძეს. გამდიდრებული ვლეხის ოჯახში დაბადებულმა ყმაწვილმა თავიდანვე საოცარი ნიჭიერება და ალღო გამოავლინა. რვა წლისა საუცხოოდ ეუფლება რუსულს, თუმცა ერთი წლით ადრე სრულებით არ იცოდა რუსული ენა.

იმდროინდელმა გიმნაზიამ მას ბევრი ვერაფერი მისცა, მაგრამ დიდი შრომა-გარჯისა და თვითგანვითარების წყალობით მომავალში ეპოქის ერთ-ერთ უგანათლებულეს პიროვნებად იქცა. ნიკო ნიკოლაძის ცხოვრების რომანი საოცარ ფაქტებსა და მოვლენებს წარმოაჩენს, რომლებიც არათუ მის თანამედროვეებს, არამედ ჩვენც გვაოცებს და აღტაცებაში მოვყავართ. მაგალითად, უაღრესად საგულისხმოა ნიკოლაძის ბიოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია, ერთის მხრივ, სამოციანელთა ლიდერებთან, ხოლო მეორეს მხრივ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის რუსული დემოკრატიული აზროვნების ბუმბერაზებთან და ევროპის გონებრივ არისტოკრატიასთან. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასშტაბის სამოღვაწეო სარბიელი, მაშინდელ თითქმის მთელ ცივილიზებულ სამყაროს რომ მოიცავდა, არც ერთ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეს არ ჰქონია. ეს იყო ადამიანი, ვინც არამარტო იცნობდა, არამედ თანამშრომლობდა ჩერნიშევსკისთან, გერცენთან, ჰიუგოსთან, მარქსთან, პოლ ლაფარგთან, სხვა მრავალ რუს და უცხოელ მოღვაწესთან, აღარაფერი რომ არ ვთქვათ იმდროინდელ ასე თუ ისე მნიშვნელოვან ყველა ქართველ მამულიშვილთან.

ის თითქოს მარადი ემიგრანტი იყო, ნიადაგ რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მყოფი. ასევე, მისი ინტერესების წრე გახლდათ განსაცვიფრებლად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი. ვინც ზერელედ მაინც გადაავლებს თვალს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, რომ ეს ერთი კაცისათვის მეტისმეტად ბევრია...

მწერალი და პუბლიცისტი, რედაქტორი და ინჟინერი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მოგზაური და გამომგონებელი... ასეთ მრავალმხრივ ადამიანს ჩვენში განმანათლებელს ეტყვიან.

მას ისევე აინტერესებდა ჟურნალ-გაზეთის გამოცემის საქმე, როგორც რკინიგზების დაპროექტება, რკინიგზა ისევე, როგორც მადნის მოპოვება, მადნის მოპოვება ისევე, როგორც საქალაქო მშენებლობისა და კეთილმოწყობის პრობლემა, საქალაქო პრობლემები ისევე, როგორც ეკონომიკა, ეკონომიკა ისევე, როგორც საირიგაციო სამუშაოები; ამას დაუმატეთ ჰიდროლოგია, ნავთობის დამუშავება, ჭაობების დაშრობა და ნაჭაობარზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ქალაქად თუ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა.

ჩერნიშევსკის ოჯახთან დაახლოებული კაცი მომავალში ფიქრობს რიონისა და ენგურის დამორჩილებას და ჰიდროელექტროსადგურების აგებას, სალტიკოვ-შჩედრინის ჟურნალის თანამშრომელი, ხანგრძლივი დავაკამათისა და ბრძოლის შემდეგ, იმდროინდელი თბილისის ხელისუფალთ აიძულებს, ქალაქი წყალგაყვანილობითა და კონკით უზრუნველყონ, ვიქტორ ჰიუგოსა და მისი შვილის გაზეთის თანამშრომელი 1889 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენიდან დიდი-ჯიხაიშში ჩამოიტანს ასი კვერცხისათვის გათვალისწინებულ ინკუბატორსა და ველოსიპედს (ეს ორი სიახლე მთელი წლის მანძილზე განაცვიფრებდა საქართველოს და მათ სანახავად ბევრნი ჩამოდიოდნენ სოფელში), თავისი დროის უდიდესი პუბლიცისტი და ჟურნალისტი აქტიურად ილვწის ფოთი-თბილისის რკინიგზის გასაყვანად და ჯილდოვდება რკინიგზელის ოქროს ნიშნით, დიმიტრი მენდელეევთან დავაში იმარჯვებს და სწორედ მისი თვალსაზრისი დაედება საფუძვლად ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანის შემდეგ ბაქოშივე (და არა ბათუმში, როგორც მენდელეევი ფიქრობდა), ნავთობის გადამუშავებას.

დიდი-ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძის წყალობით გადაიქცა იმდროინდელი საქართველოს თავისებურ სამეცნიერო ცენტრად, სადაც შუა საუკუნეების გენიალური ალქიმიკოსების დარად მარტოდმარტო აყენებდა სხვადასხვა ცდას და ღებულობდა საინტერესო შედეგებს. მის სახელთან არის დაკავშირებული ამ სოფელში მევენახეობის, მებაღეობისა და მეცხოველეობის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მოწყობა. აქვე დაიდო ბინა მისეულმა მეაბრეშუმეობის ცენტრმაც.

ნიკო ნიკოლაძის ენერგია ამოუწურავია. ხან ქოლერის ეპიდემიის საწინააღმდეგო კამპანიის თაოსანთაგანია, ხან არხებით აკავშირებს გუბისწყალსა და ცხენისწყალს, აარსებს სკოლებსა და ქოხ-სამკითხველოებს, ხოლო ფოთისათვის იმდენი გააკეთა ქალაქისთავად ყოფნისას, რომ ბარე მთელი თაობის ბიოგრაფიას დაამშვენებდა. ახლა ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მოპოვების საქმე?

ნურავინ იფიქრებს, თითქოს მიახლოებით მაინც გვეჩვენებინოს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის, მართლაც, უკიდეგანო სარბიელი, არც ამაო სენსაციისათვის მოგვიხმია ეს

გახმაურებული ფაქტები. უბრალოდ, იმათთვის, ვისაც ჯერაც არ მოუკიდია ხელი ქართული აზროვნების ამ გიგანტისა და დაუცხრომელი მამულიშვილის შემოქმედებისათვის, გავუღვივოთ ცნობისწადილი. მით უმეტეს, რომ მან საუცხოო, ქართველთა თაობებისათვის ჭეშმარიტად სამაგალითო შვილები გამოუზარდა მამულს.

* * *

...ასეთი სახელოვანი მამის შვილი იყო ჩვენი წერილის გმირი. ბედმა მას საოცარი გზა განუმზადა, გზა მეცნიერებისა, ესთეტიკისა, სპორტისა, ბუნებისმეტყველისა და, რაც მთავარია, თავისი თაობის აღიარებული ლიდერისა. ეს იყო ერისკაცი ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, რადგანაც, მამის მსგავსად, სადაც უნდა ყოფილიყო, რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, ყველგან და მარად იყო მამულთან, ფიქრობდა მამულზე, წუხდა მამულზე და ამაო ჩივილისა და წუწუნის ნაცვლად, თავისი მძლავრი ინტელექტით, ნებისყოფითა და ძალისხმევით ილვწოდა მისი ბედნიერებისათვის.

არც სწავლა-განათლება დაჰკლებია, არც ცნობისწადილი, არც ნიჭი და უნარი, ბუნებამ თითქოს არაფერი დაიშურა მისთვის და უხვად დააბერტყა კალთა, მაგრამ უპირველესი ჩირაღდანი და გზის მანათობელი მისი ცხოვრებისა, მისი კაცური კაცობისა, მისი ერისშვილობისა — იყო თვით სასიქადულო მამის ცხოვრება, გასხივოსნებული ერის უსაზღვრო სიყვარულითა და მამულის ერთგულებით აღსავსე. ეს იყო ის „ცხოვრების წყარო", რომელსაც მისი სათაყვანებელი ტატო ბარათაშვილი შესთხოვდა, „მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა".

და არა მარტო სამაგალითო გზა. ნიკო ნიკოლაძისა და მისი ვაჟის გიორგის ურთიერთობა მამა-შვილის დამოკიდებულების ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია, რომელსაც არცროდის გაუვა ყავლი და ეხე იგი თითოეული ჩვენგანისათვის სანიმუშოა. თუმცა, მათი ცხოვრება განსხვავებული იყო შინაარსითაც და მასშტაბითაც. მამა-შვილს ბევრი საერთოც ჰქონდათ, უწინარეს ყოვლისა, თავიანთ შეხედულებებში ერისა და ქვეყნის სამსახურზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, უანგარობასა და ანგარებაზე, წიგნის სიყვარულსა და პრაქტიკული მცდელობის თაობაზე, მამულიშვილის მოვალეობაზე, მოღვაწეობის მრავალმხრიობაზე.

ალბათ, ნიკო ნიკოლაძე არაფერს არ ეკიდებოდა უფრო დიდი პასუხისმგებლობით, ვიდრე შვილების აღზრდას, როგორც სამშობლოს წინაშე ვალის მოხდის უპირველეს პირობას. ეს ნიადაგ მოუცლელი კაცი მაინც მუდამ პოულობდა დროს შვილების ინტელექტუალური, მორალური თუ ფიზიკური აღზრდა-სრულყოფისათვის. იგი იგონებდა ეგრეთ წოდებულ კომპლექსურ საზღვარგარეთულ ექსპედიციებს, რადგანაც 12-13 წლის გიორგის ტექნიკის დიდი სიყვარული შეამჩნია; ეს საოჯახო ექსპედიციები ითვალისწინებდა, მაგალითად, სიმპლონისა და სანგოტარდის უნიკალური გვირაბების გაცნობას, რამაც დიდი კვალი დააჩნია ყმაწვილის ფსიქიკას. ახევე, შვილებისათვის მუდამ გამზადებული ჰქონდა ნაირ-ნაირი ლიტერატურა, პერიოდიკა, რაც მათ სწავლის პარალელურად წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევას უნერგავდა.

ნიკო ნიკოლაძის სამი შვილი, სამი სანაქებოდ ნაზარდი ქართველის განსახიერება იყო; გნებავთ ადამიანური ღირსებებით, გნებავთ პატრიოტული სულისკვეთებით, გნებავთ უნივერსალური განათლებით, დიდი საქმისათვის თავგანწირვის სულისკვეთებით.

გიორგის, როგორც ვთქვით, ბევრი რამ დაჰყვა მამისაგან ისევე, როგორც იმ პერიოდის უდიდესი ქართველებისა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

„..თანამედროვეთა გადმოცემით, იგი არავის ჰგავდა არც თავისი ცხოვრების წესით, არც თავისი ინტერესებით, არც დამოკიდებულებით მეგობრებისა და საქმისადმი. და თუ ჰგავდა, ალბათ, ისევ მამამისს. თვით მისი დაბადებაც უცნაური იყო: იგი დაემთხვა მშობლების ქორწინების მეხუთე წლისთავის დღეს. უყვარდა სოფელი, ძნელად შეეგუა ქალაქს. უგანათლებულეს ოჯახში დაბადებულს თავისით, სხვის დაუხმარებლად ხუთი წლისას უსწავლია კითხვა — ქართულად ილიას „ივერიის", ხოლო რუსულად მამის გაზეთის „ნოვოე ობოზრენიას" სათაურების მიხედვით. ტექნიკისადმი ინტერესსაც დაახლოებით ამ ასაკში გაუღვიძია. შემორჩენილია მოგონება, რომლის მიხედვით თითისტოლა ყრმას ნაჩუქარი საათი გაუხსნია და დაუშლია, რათა მის მექანიზმს გაცნობოდა. დატუქსეს, თუმცა, ტყუილუბრალოდ: საათი ხელახლა აუწყვია, რისთვისაც რამდენიმე დღე თავაუღებლად უშრომია. და ამას სჩადიოდა 8 წლის ბიჭუნა!

სათაურებით ნასწავლი ქართული და რუსული, დამოუკიდებლად დაშლილ-აწყობილი საათი და ადრეულ სიყმაწვილეშივე გამჟღავნებული დიდი ნიჭიერებისა და ინტუიციის მრავალი სხვა მაგალითი, მხოლოდ გარეგნული გამოვლენა იყო მისი შემდგომი განვითარებისა. პირველ კლასში შესვლამდე პატარა გიორგი თავისით და მასწავლებლის დახმარებით სწავლობს ელემენტარული ფიზიკის კანონებს. განსაკუთრებით უყვარს მათემატიკა და ეს მიდრეკილება ავლენს გიორგის თანდაყოლილ უნარს ლოგიკური აზროვნებისას. მათემატიკა დაედება საფუძვლად ამ უაღრესად მრავალმხრივი სწავლულის სამეცნიერო ინტერესებს.

სპორტს მის ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს არ ყოფილა გამოწვეული მარტოოდენ იმ მიზნებით, რომლებსაც ჩვეულებრივ სპორტს ვუკავშირებთ. სპორტით მისი გატაცება იყო ორგანული შემადგენელი ნაწილი მეცნიერების, კერძოდ, გეოგრაფიისა და სამშობლოს ბუნებრივი სიმდიდრეების კვლევა-ძიებით დაინტერესებისა. ამიტომ გიორგი ნიკოლაძის სპორტული მოღვაწეობის განხილვა ცალმხრივად შეუძლებელია.

მაგალითად, სტუდენტობისას, 1910 წელს, რუსეთის 8 საუკეთესო ტანმოვარჯიშესთან ერთად მონაწილეობს სოფიაში გამართულ „სოკოლის" გაფრენში. თორმეტი დღის მანძილზე ნიკოლაძე მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში. ცხადია, ეს მოგზაურობა ნაკარნახევი იყო სპორტული მიზნებით, მაგრამ გიორგისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ სხვა საკითხებიც, კერძოდ, ქართული უნივერსიტეტის ორგანიზაციის საქმე და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა. ერთი შეხედვით უცნაურად ჩანს, რატომ მაინცდამაინც ბულგარეთში გადაწყვიტა სპორტისაგან ერთობ დაშორებული, ზედმიწევნით სპეციფიკურ პრობლემაში გარკვევა. საქმე ის არის, რომ გიორგი ნიკოლაძის აზრით ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას საგულისხმო იქნებოდა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი და ერთნაირი ბედის მქონე ერის — ბულგარელების მიერ სოფიის უნივერსიტეტის შექმნის გამოცდილება. იგივე ითქმის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენაზეც. აღსანიშნავია, რომ გიორგი ნიკოლაძე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენას სპორტული ტერმინოლოგიის შექმნით იწყებდა, რითაც გამოხატავდა საკუთარ თვალსაზრისს სპორტის, როგორც დიდმნიშვნელოვანი ეროვნული და საზოგადოებრივი მოძრაობის მნიშვნელობის თაობაზე.

1913 წელს გიორგი და მისი და თამარი მონაწილეობენ პრაღაში სრულიად „სოკოლის" მეექვსე გაფრენში. გიორგიმ იარაღებზე ვარჯიშში პირველი ჯილდო და დიდი დიპლომი დაიმსახურა, კარგად გამოვიდა მძლეოსნურ ექვსჭიდში, განსაკუთრებით ბადროსა და შუბის ტყორცნაში. ალბათ, ამ წარმატებებით ყველა სპორტსმენი თავის მისიას დასრულებულად ჩათვლიდა. გიორგი ნიკოლაძისათვის კი იგი სანახევროდ შესრულებული საქმე იყო. ისევე, როგორც ბულგარეთში ყოფნისას, პრაღის უნივერსიტეტში გიორგი ეცნობა ჩეხური სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხებს. ამ მხრივ მან უფრო მეტი დაძებნა საერთო ჩეხურ პრაქტიკასთან, ვიდრე ბულგარულთან. ჩეხური, ბულგარულისაგან განსხვავებით, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისას ემყარებოდა ძირითადად ჩეხური ენის შესაძლებლობებს და მხოლოდ მინიმალურად იყენებდა ინტერნაციონალურ ტერმინოლოგიას.

მოგვიანებით თავის სპორტულ მოღვაწეობას იგი კვლავინდებურად აქტიურად უკავშირებს სამეცნიერო-პრაქტიკულ მიზნებს. ხომ აჩქვეყნოდ არის ცნობილი გიორგი ნიკოლაძე, როგორც მთამსვლელობის (სხვათა შორის, ტერმინი „მთამსვლელობა" ინტერნაციონალური „ალპინიზმის" ნაცვლად, ისევე, როგორც მრავალი სხვა გამოთქმა — ფეხბურთი, ფრენბურთი და სხვ., ნიკოლაძეს ეკუთვნის) ფუძემდებელი. მაგრამ ამ სპორტით მისი გატაცება მიზნად ისახავდა სამეცნიერო ინტერესებსაც, კერძოდ, სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა-გამოკვლევას. ნებისმიერი მთამსვლელური ექსპედიცია მისი ხელმძღვანელობით ამ კუთხითაც განიხილებოდა.

სპორტს იგი ძალიან ადრე დაუკავშირდა. ჯერ კიდევ ფოთის გიმნაზიაში სწავლისას დედის ხელმძღვანელობით ჩინებულად ისწავლა ცურვა, ხოლო თერთმეტი წლის ასაკიდან მონაწილეობს მოსწავლეთა ტანვარჯიშულ გამოსვლებში. „სოკოლის" შესახებ მან პირველად გაიგო თბილისის ვაჟთა გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლის, ჩეხი ანტონ ლუკაშისაგან. „სოკოლის" ტანვარჯიშული მოძრაობა იშვა ჩეხიაში და მიზნად ისახავდა არა მარტო ტანვარჯიშის გავრცელებას, არამედ პოლიტიკურ მიზნებსაც. იმ დროს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ჩეხიისათვის ეს მოძრაობა უნდა გამხდარიყო ეროვნული კონსოლიდაციის საშუალება, კერძოდ, ტანვარჯიშული საზოგადოებების მეოხებით სლავების მეგობრული კავშირის გა ტკ ცება. ეს საზოგად... თავდაპირველად შეიქმნა პრაღაში 1862 წელს სახელწოდებით „პრაღის სოკოლი". „სოკოლმა" საერთოდ უდიდესი როლი ითამაშა გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებაში. სტუდენტობაში მას იტაცებს ციგურები, ფიგურული სრიალი, აფროსნობა ყინულზე (ყოფილა ასეთი სახეობაც) და, რა თქმა უნდა, მძლეოსნობა; ტანვარჯიში, რომელშიც იგი განსაკუთრებულ ნიჭიერებას ამჟღავნებს.

სპორტში მისი მოღვაწეობის გვირგვინია საქართველოში „შევარდენის" დაარსება. ამ ორგანიზაციამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ჩვენში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის დანერგვა-განვითარების საქმეში. თავის დროზე ეს უაღრესად პოპულარული საზოგადოება 20 ათასამდე წევრს ითვლიდა. გიორგი ნიკოლაძე იდგა ამ სპორტული ორგანიზაციის სათავესთან, ხოლო შემდგომში თავის ერთგულ თანამოძმეებთან ერთად საძირკველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა ფიზკულტურასა და სპორტს.

იგი ხელმძღვანელობდა ისტორიულ მთამსვლელურ ექსპედიციას 1923 წლის აგვისტოში. ექსპედიციამ დალაშქრა მყინვარწვერი და ეს დღე გამოცხადებულია საბჭოური ალპინიზმის დასაბამად. ასეთი მასობრივი ექსპედიციები მას მრავლად მოუწყვია საქართველოს მთიანეთში.

საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის მეთორმეტე შრომით სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. ამან იმ პერიოდში დიდად აამაღლა ფიზკულტურის მასწავლებლის როლი და ავტორიტეტი სკოლებში. ხოლო მისმა პიროვნებამ მოსწავლეებზე ზედმიწევნით კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა.



# 1925 წლის გაზაფხულიდან

1925 წლის გაზაფხულზე გამომცემლობა „იზვესტიის“ საგზურით თბილისში ჩამოვიდა ახალგაზრდა ჟურნალისტი მარკ ზლატკინი. ორი წლის შემდეგ იგი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ დირექტორის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 1941 წელს — დირექტორად.

1963 წლიდან, როცა „ზარია ვოსტოკა“ შეუერთდა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“, მ. ზლატკინი ამ გამომცემლობის (ამჟამად „მერანი“) რუსულ რედაქციას ჩაუდგა სათავეში.

დღეს არამარტო ლიტერატურული საზოგადოებრიობა, არამედ მთელი რესპუბლიკა იცნობს მარკ ზლატკინს, შესანიშნავ გამომცემელს, საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი მწერლობის უსაყვარლეს მეგობარს. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით რუსულ ენაზე ითარგმნა ძველი თუ თანამედროვე ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნიმუში. რთულ საგამომცემლო საქმეს ამ დაუშრეტელი ენერგიის კაცმა მართლაც რომ დიდი ამაგი დასდო.

გულწრფელი პატივისცემის გრძნობით აღინიშნა საგამომცემლო დარგის ჩინებული მოღვაწის საიუბილეო თარიღები. დაბადების 80 წლის თავზე მარკ იზრაელის ძე ზლატკინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა.

1983 წელს მარკ ზლატკინი 85 წლის გახდა, რაც რესპუბლიკის ფართო საზოგადოებასთან ერთად მწერლებმა, გამომცემლებმა, პოლიგრაფისტებმა, გულთბილად მიულოცეს ძვირფას მეგობარს.

სასიხარულოა, რომ მარკ იზრაელის ძე ზლატკინი კვლავაც მხნე და დაუღალავი, ახალგაზრდული შემართებით ასრულებს გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორის საპატიო მოვალეობას.

მ. ზაქარიაძე

* * *

...ხუთი წლისა იყო გიორგი, როცა დედასთან ერთად სწვევია დიდ ილიას. მაგიდასთან მისულა და რაღაცის ძებნა დაუწყია. ილიას უკითხავს, რას ეძებო. „იმ კალამს, რომლითაც შენ დაწერე ლექსი „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“, — უპასუხნია ყმაწვილს. ილიას გიორგისთვის გაუწვდია კალამი. „არა, არ მინდაო, — უთქვამს პატარას, ეგ შენ დაიტოვე და სხვა ახლთივე ლექსი დაგვიწერეო“. „გახსოვს ის ლექსიო?“ უკითხავს ილიას. გიორგის ზეპირად უთქვამს ილიას ლექსი.

შემდეგ, მოგვიანებით, ყმაწვილს დაუჩემებია, გინდა თუ არა იმ გიმნაზიაში შემიყვანეთ, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძია ილია სწავლობდნენო.

დიდად საგულისხმოა ეს ორი ამბავი. საქმე მარტო ლიტერატურის სიყვარულს არ ეხება. სულ პატარას ამოუჭრია გულში სამშობლოს ხატება, რომელსაც ყრმის წარმოდგენაში სრულყოფილად განასახიერებდნენ ერის უწარჩინებულესი შვილები.

მათი სულისკვეთება გაიყოლა უკვე მოწიფულმა ვაჟკაცმა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, დონბასის ქარხნებში, უცხოეთის ქვეყნებში, სადაც მას უცხოვრია, უსწავლია და უმოღვაწია.

მისი ცოდნა, შრომისმოყვარეობა, ერთგულება საქმისა, მისი საოცარი თვითდისციპლინა და თავშეკავებულობა ლეგენდად დარჩა უკრაინელ მუშებსა და ინჟინრებში. იგი ყველგან ითვლებოდა ჩინებულ სპეციალისტად, თავმდაბალ და გულისხმიერ ადამიანად, მაგრამ ერთ გარემოებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. რუსეთსა თუ უცხოეთში მას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ იყო არა უბრალო მეცნიერი და ინჟინერი გიორგი ნიკოლაძე, არამედ ქართველი ერის წარმომადგენელი.

## გოდერძი ბერიაშვილი

გოდერძი ბერიაშვილი დაიბადა 1931 წლის 15 თებერვალს, გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში.

მამა — გიორგი დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან გაიწვიეს არმიაში და იგი შინ აღარ დაბრუნებულა. მისი ორი მცირეწლოვანი შვილი გაზარდა დედამ, ვარა ბერიაშვილმა. ოჯახის ერთგულმა, შრომისმოყვარე ქალმა, რომელიც 28 წლისა უკვე ქვრივი იყო, შვილებს შრომის სიყვარული და სიკეთე შთააგონა.

გოდერძი ბერიაშვილმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1958 წელს, შრომითი საქმიანობა დაიწყო მოსკოვის გეოლოგიურ ექსპედიციაში. მოწაფეობის წლებშიც წერდა, ძირითადად დრამატურგია იზიდავდა. პირველი პიესა, რომლის დადგმაც განხორციელდა, არის „ვაზის ტირილი“. ეს პიესა რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა 1960 წელს სოხუმის თეატრის სცენაზე დადგა. იმავე წელს „ვაზის ტირილი“ თელავის თეატრში დადგა საქართველოს სახალხო არტისტმა პავლე ფრანგიშვილმა.

1962 წელს დრამატურგთა იალტის სემინარზე გ. ბერიაშვილი კითხულობს პიესას „ადამიანი თქვენს გვერდით“. სტუდენტების ცხოვრების ამსახველი ამ პიესის გმირები გაცოცხლდნენ ქიათურის თეატრის სცენაზე. ამას მოჰყვა „ტირიფები მტკვრის პირას“, რომელიც დაიდგა თელავის, ზუგდიდის, შაუმიანის სახელობის თბილისის სომხური დრამის თეატრების სცენებზე.

მესხეთის თეატრის ახალგაზრდული კოლექტივისათვის გ. ბერიაშვილმა დაწერა „სად ხარ, ჩემო მებაღევ“. აქვე დაიდგა „მეხდაცემული კაკლისხე“ და მოგვიანებით, ერთ-ერთი ბოლო კომედია „ილო, ელო და ქვრივები“.

გ. ბერიაშვილმა 15 პიესა დაწერა. გარდა დასახელებულებისა, „თეთრა“ (დაიდგა თელავის თეატრში), „ბიჭო გოგია!“ (ცხინვალის თეატრში), „არმაზის დაცემა“, „წმინდა ნინო“ (გორის თეატრში), „მთის ეკლესია“ (ფოთის თეატრში), „მთვარე დევს დაუჭერია“, „ძახილი ნაკრძალში“, „გაიცინე ბიჭო“ და „ჭაში ჩავარდნილი მთვარე“.

გ. ბერიაშვილის მოთხრობები: „ოსტატი“, „საქსი“, „ანუსია“, „ფიქრისა“ სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში („ცისკარი“, „დროშა“, „საქართველოს ქალი“, „ნორჩი ლენინელი“).

აქვეყნებდა წერილებსა და ნარკვევებს („საქართველოს ქალი“, „სოფლის ცხოვრება“). დაუმთავრებელი დარჩა რომანი...

მკითხველს ვთავაზობთ უდროოდ გარდაცვლილი მწერლის მოთხრობას, რომელიც პირველად ქვეყნდება.

მაყვალა ცხომარია

შავებში ჩაცმული, შალმოხურული დედაკაცი ხევ-ხევ აედევნა ბილიკს. ხელში ლიჭის წნელის კალათა ეჭირა, რომელშიაც ორი შოთი და ერთი ცივად მოხარშული დაჩრიხვებული ვარია ედო. ქათამი ტილოში გამოეხვია. კუბმაჭის საბუდარში დანაყილი ნიორ-ნივოზი ჩაეჩურთა. ერთი პეშვი მარილი ქაღალდში გამოეკრა და ქათმისათვის გვერდით ამოედო. მეორე ხელში ღვინით სავსე დოქი ეჭირა, თავზე სიმინდის განარჩევი ჩეჩქით დაცობილი. მიიჩქაროდა. ნაცნობი ადგილის დალანდვას ეშურებოდა. სათქმელი ჰქონდა, გასამხელი ჰქონდა... საფიქრალი უნდა გაენდო. გული უნდა გადაეშალა. ეშურებოდა და ფონის ძებნა დიდხანს არ დაუწყია. ფეხსაცმელები და წინდები გაიხადა, ილლიაში ამოიჩარა და წყალში გატოპა. არ ეშმა ყინულჩავარდნილი წყალი ჭანგატეხილ ქალსა. ტანში შესზუზა. აკანკალა. ნაპირს რომ გავიდა, თავი სამშვიდობოს იგრძნო და ცოტა სული მოითქვა. წელში გაიმართა და აუყვა ნაცნობ ბილიკსა.

ტყე გაფერმკრთალებულიყო. მკერდზე ხელაფარებულ შიშველ ქალებივით იდგნენ შინდები. კლდეზე გადმოწოლილ ტირიფებს მთელი ზაფხულის გლოვით ცრემლი გაშრობოდათ და წყალში ჩაევარცხნათ ჭაღარა თმები. თმაგაჩეჩილი იდგა წიფლიანი ზღმარტლი, დაგვალულ ჭაგრცხილას მუხლი ჩაეხარა. მათ გვერდით ახალგაზრდა ტანწვრილი მუხები ყელყელაობდნენ. ამაყად დასცქეროდნენ ხელმოკლეობით დაჩაგრულ მეზობლებს.

ნეტაი, რამ დამასიზმრა? რად მესიზმრა? რად დამიბარა? — ფიქრობდა ქალი და ტყეში დაგრეხილ ბილიკს მიუყვებოდა. ბილიკი აღმართს ქვევით იტოვებდა და ქალიც ტყის გულისაკენ ეშურებოდა. ბილიკზე კაცის თვალი გაიშვიათებულიყო. ფოთლის ლეიბი იყო დაგებული და ქალიც მხუბუქად მიაბიჯებდა.

გაოგნებული შეჩერდა. რა დაემართა? თითქოს ნაცნობი იყო ყველაფერი და არც იყო. აი, ის წიფლის ხე. ის მურყანი... ის ბებერი თელაც. თვალი მოავლო იქაურობას. არა, იქ იყო. იქ იყო, სადაც მიიჩქაროდა, მაგრამ სად არის მუხა? აღარ არის ის მუხის ხე, რომლის ნახვასაც ასე ენატრებოდა. ახლა მუხის ხის ადგილას საჭიდაო მოედნის ტოლი ადგილი მოშიშვლებულიყო. ხელისგულის ტოლი ნაფოტები ეყარა ირგვლივ. ქალმა კალათა დაავდო. დოქი ფრთხილად დადგა. სირბილით მივიდა ახლოს და გადანაჭერი მუხის ძირს შუბლი დაადო. ამოხეთქილმა ლორწოიანმა წვენმა ცხელი შუბლი გაუგრილა. ჩაიმუხლა. თავშალი მოიძრო და ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა. გული მკერდს დოლისპირივით უბაგუნებდა. თვალაბლანდული იჯდა ქალი. თითქოს მიცვალებული უდევს წინაო. ცოტა ხანს რაღაც გამოიგლოვა და მუხლზე ხელდაბჯენილი წამოდგა, რამდენიმე მეტრი გაიარა და მეტყევის ქოხისაკენ გაიძახა:

— იასონავ! ჰაი, იასონავ!

ქალს არავინ გამოეხმაურა. იქვე ახალგაზრდა მუხის ხის ძირიდან ხოხბები დაფრთხნენ და შხლართანით გადაინთნენ დურუჯისაკენ. გზისპირას ფეხმოტეხილი, თავისიანებს ჩამორჩენილი წერო ახკინკილას უვლიდა. ორი შაშვი იფნის ტოტზე იჯდა. ქალის გამოჩენა აინუნშიაც არ ჩაუგდიათ და ერთმანეთს ტყის ახალ ამბებზე ეჭორავებოდნენ.

მეტყევის ქოხიდან ტუჩების ცმაცუნით წელში მოხრილი, ხეიბარი იასონა გამოვიდა. ცალი ფეხი ურმის კონკილასავით გაშოტილი მოჰქონდა. ეტყობოდა, ერთი ჭიქა ჭაჭვშეკრული არაყი გადაეკრა და ლუკმა დაეყოლებინა. იასონას არ ეუცხოვა მაყვალას სტუმრობა. მაინც უხაყვედურა ქალსა.

— ამ ზამთრის პირს ტყეში რამ ამოგიყვანა, მაყვალავ?! — აღარც რკოა მოსაკრეფი და აღარც მაყალო.

— მოხუცს თვალი კალათისაკენ გაექცა. დოქიც შეამჩნია და უფრო გაუშინაურდა ქალსა.

— უსაქმოდ არ მოხვიდოდი? შეშა ხომ არ შემოგაკლდათ?

— მუხა სად არის, იასონავ?! — წარბი წარბს გადააბა მაყვალამ.

— ჰოო, მუხა? — მომპარეს... ტყის ქურდებმა მომპარეს. ერთი დღით მივატოვე ტყე. ერთი დღით ჩავედი სოფელში და მუხა აღარ დამხვდა.

— მუხა რამ მოაჭრევინათ, იმ ულმერთოებსა. იმასაც გახმობია მარჯვენა და იმასაც არ ღირსებია ცეცხლის სითბო-სიამე, — მოსთქვამდა მაყვალა.

— ბიჭი როგორა გყავს, მაყვალავ? — სიტყვა გადაიტანა იასონამ.

— წელგამართული და გულგახსნილი, ენაცვალოს დედა. მესამე შვილიშვილი შეგვეძინა, იასონავ. ახალი სახლი არ გინახავს. ერთხელ შემოგვიარე. დღეს დაბრუნდა ქალაქიდან ჩემი დათო და ახალი ავეჯი ჩამოიტანა.

— კარგი შვილი გყავს, კარგი. იმ ცხონებულსა ჰგავს. სულ იმისი გადანაჭერია. აფსუს, რა ვაჟკაცი იყო შენი ქმარი...

— მოდი, იასონავ, ცოტაოდენი საგზალი მომიტანია და დალიე გიორგის შესანდობარი.

— შესანდობარი? — გაიოცა იასონამ. მაყვალა გიორგის შესანდობარს არავის ასმევდა და ახლა რა მოელანდაო. — ფიქრობდა იასონა.

მაყვალამ მუხის გადანაჭერს ტილო გადააფარა. ერთი ხელის გასმით გაგლიჯა ქათამი და ხელადა იასონას მიაწოდა.

— თავი გადაუქციე... ჩემთვის დღეს მოკვდა გიორგი. ჩემთვის დღეიდან დაიკარგა გიორგი.

იასონამ ცალი ფეხი გაშოტა და ჩაიმუხლა. მაყვალამ კალთაზე შალი გადაიფარა. იასონას ხელი უცახცახებდა. რაღაცას დუდუნებდა. ხელადიდან ღვინო გადააქცია და მუხას დაასხა. აქიშნისპირა ჭურადუების ვენახის წვენი აარაკრაკა ყელში იასონამ. ტუჩები მოიწმინდა და დაიწყო:

— გახსოვს, მაყვალავ, იმ უკუღმართი წლის გაზაფხული იყო. აი, იმ წლისა, დურუჯი რომ დელმად გადაიქცა და ყვარელს წყალდენით ემუქრებოდა.

მაყვალა იასონას სახეში არ უყურებდა. ყურს აღარ უგდებდა იასონას ნათქვამ შენდობა-შესანდობარს. თვალდაწურული გასცქეროდა ნაკრძალში ნაგებ ეკლესიის ხავსიან კედლებს. ირგვლივ შემოვლებულ დარღვეულ კედლებს ფათალო თავს მოქცეოდა და ძარღვიან არტახებით შეეკრა ნარღვევ-ნაშალი. ფიქრის გორგალის წვერი გამოჩნდა და გორგალი აიბლანდა. გაახსენდა ის დღე, როცა პირველად შეეფეთა შილდელი ქალი თვალანთებულ, თმაბურღულა და პირხმელა ჭაბუკს. აქ, ამ ტყეში, ხალხი გაზაფხულის მომძლავრებას ზეიმობდა. მზის აფეთქებას, ტყის ამწვანებას, თესლის გაჯირჯვლებას, ფეხვის გამოტანას. ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდან ჯგროდ მოგროვილიყო. ამოსულიყვნენ გავაზელები, ახალსოფლელები, ქიკაანელები, ტიბაანელები, შილდელები, იყალთოელები, საბუელები. ამოსულიყვნენ ფეხით, ცხენებით, ურმებით. ამოეყვანათ დედლები, ალისფერბიბილოიანი მამლები, ოთხფეხი ურმის ჭალებზე ფეხებგაკრული მიებათ. რამდენიმე კაცი თრევით ჩამოიღებდა კისერგადაგდებულ დეკეულს და ფეხგაუხსნელსა ლადრიდნენ ყელსა. ზოგს უკვე მოესწრო საკლავის გატყავება-გაფშხვავება. ორკაპა პალოები დეგდოთ. მაჯისხიმსხო მარგილი გაედოთ და ყურიანი საარყე ქვაბებით ხარშავდნენ ხორცსა. კაცები ტიკებიდან ღვინოს ასხამდნენ და შაქარ-პურის გაიაფებაზე ბაასობდნენ. დედაკაცები ერთმანეთს აწონებდნენ ახალ ჩითის და აბრეშუმ-შალის კაბებსა. ტანსრულა თვალჭილა ბიჭები ურმის ქვეშ შეყუჟულ გოგოებს ზვერავდნენ. მეგარმონე მაღალზაქარასა და მედოლე მამიკონას უკან დასდევდნენ, ცმუკავდნენ, ხტოდნენ. ფეხის გასმას ეშურებოდნენ.

სამხრობისას გაიშალა საერთო სუფრა. მზეს ადღეგრძელებდნენ, მიწას ადღეგრძელებდნენ, ტყეს ადიდებდნენ, ცას ადმერთებდნენ. მამულს იხსენიებდნენ, დედის მადლსა ლოცავდნენ, მამის სახელს ზეცაერს აფარებდნენ. ბიბა ჩონგურის ლარები. გოგოები სიყვარულის ჰანგებს მოსთქვამდნენ. დედის ლევანამ მრავალჟამიერი წამოიწყო და ტყე ბუბუნით აჰყვა ხალხის გალობასა. ცეცხლზე გაუღიმებულ მედოლე მამიკონას დოლს რაკრაკი გაჰქონდა. კისერწვრილა მაღალ-ზაქარა გარმონს კაკლის ჭიახავით ხწეჯავდა. ლეინომ ძალა მოხუცებს თვალებში აბრწყინდათ. ლოყები აეწაკლათ.

გიორგი ურემზე არ დამჯდარა. ადგილს ვერა პოულობდა. გალავანთან ლეკის ხუხავით ჩამ[...] ბიჭი გოგოს თვალებს შეეფეთა და ახლა დაეძებდა. რაღაც აიმედებდა. გოგომ ბიჭი ჩამოათვალიერა. თვალი თვალში გაუყარა და გადაიკარგა. ყველა ქოხი მოიარა, ყველა ურემი. ვერსად იპოვა. თვალი პატარა სახედრების აყირავებულ ურემს დაადგა. დაეჭვებულმა გადასწია ჩამოფარებული ფარდაგი და გახევდა. ქალი კუთხეში მიკუჭულიყო და რაღაცა ფიქრს მისცემოდა. ბიჭის დანახვაზე უნებლიედ დაიფარა შიშველ ფეხებზე კაბა. ბიჭმა თავი დალუნა და ურმის ქვეშ შევიდა. ქალმა დამფრთხალი ქურციკივით მოკურცხლა. გალავანს გარეთ გავარდა და თითონაც არ იცოდა, საით მირბოდა.

მდევარადევნებულ შველივით ეცა ტყეს. მუხის ხესთან შეჩერდა და ამოეფარა. ბიჭი მუხის ხეს შემოეჭდო. ამოიქაქანეს. ხმა არც ერთს არ ამოუღია. ჭორიკანა მთვარე წიფლის ხეს ამოფარებული ზვერავდა წყვილებს. გიორგიმ ორივე ხელი შემოაჭდო მუხას და მაყვალას ხელები დაუჭირა. მაყვალას გრძელი თითები მოეყინა. ხეს ეხუტებოდა და ხის სიცივე უგრილებდა გახვითქულ მკერდსა. გიორგიმ ცალი ხელი შეუშვა. მეორეთი მკლავებში მოიგდო. მოიგდო და ისე შეეწება ბაგე ბაგესა, ვით სანამყენე ღეროსა კვირტი.

— ხე ვიყო. შენს საჩრდილობლად დარგული... კლდე ვიყო, შენი მტრის გადასარჩენად აყუდებული. ტყვია ვიყო, შენი მტრის გულში სახლელი, კოდის წყალი ვიყო, მონყურებულისათვის დასალევი. ბალიში ვიყო, უძილოსათვის თავის დასადები, ცხრაჯერ მომკლან და ვერ მომკლან... ცხრა სარმა დამიდონ და ვერ წამაქციონ. შენი ვენახის ჭიგო ვიყო... შენი თივის ბულული ვიყო. მაცოცხლე შენს გულში. ჩემი ნამი ჩაიდგი, ფესვი ჩაიდგი და წყალი ასვი. — ბუტბუტებდა გიორგი.

— შენი სახე მეხატებოდეს. შენი სითბო მებრიალებოდეს. შენი ნაბა-

# ჩემო მუხის ხეო



დი მათბობდეს და შენი ცხენი მეჰიხვინებოდეს. შენი ანწლის ქოხი მედარბაზებოდეს. შენი ნაყიდი ნარმის კაბა მეატლას-მეაბრეშუმებოდეს. შენი საფლავის პირის მიწა გულზე მეყაროს და მებუმბულებოდეს. მუხა იყავ... მუხა იყავ... შენი ქვეყნის მიწაში გედგას ფესვი და ტოტს ცას აბჯენდე. მუხა იყავ... მუხა იყავ... — ეჩურჩულებოდა მაყვალა.

და მიიყვანა გიორგიმ შილდელი ქალი ცხენის ურმითა, ნატეხი შაქარითა, დედისეული ბეჭედითა, ჩამიჩითა, ღელვის ჩირითა, საქორწინო ქიშმირის კაბითა, ლაქის ფეხსაცმელებითა, ჭრელი ბალდადითა, სასოებითა, ფერებითა, ქებითა, ლაციცითა, სიამტკბილობითა.

მაყვალამ მზით აავსო სახლი. კარფანჯრები ფართედ გაალო და მზის ბორიალა სხივი დაატრიალა ოჯახში. ეზო გადაგავა, საცხენე დახვეტა. ლობის დაყოლებით ახალგაზრდა ჭანჭურის ხეები დარგო. ვარდის ნერგები გაახარა. ზამბახი და გეორგენები გაახარა. ჯამ-ჭურჭელი დააკრიალა და ადგილი უცვალა. კედელზე ნამზითვი ფარდაგი დაკიდა. შიფონერის თავზე მურაბის ქილები შემოდგა. ფანჯარაში „პატარძალა“ ქოთნით გადმოდგა. ლოგინი გაამზევა და ბალიშ-მუთაქა აბუმბულა.

გიორგის დილით ქალი მალული კოცნით აცილებდა და საღამოს მის გზას გაჰყურებდა. ბიჭიც ნაშოვნნაპოვნს უბით უზიდავდა და კალთაში უყრიდა.

ერთი თვე უყვებოდა ღამღამობით გიორგი დევების ზღაპარს, ერთი თვე მზეთუნახაობდა მაყვალა. ერთი თვე ერეოდათ ღამის დასაწყისი და დასასრული. ერთი თვე იძინებდნენ ბულბულების გალობის დროსა და იღვიძებდნენ ხოხბების ჭიხჭიხზე. ერთი თვე იღებდნენ ერთი სამარილიდან მარილს. ერთმანეთს სტაცებდნენ ერთი ჯამიდან ლუკმას. ერთი თვე ბორიალობდა ქალი სიამტკბილობის მდინარეში.

დაიქუფრა ცა და კავკასიონის ღრანტეებში მეხი გავარდა. საავდროდ აიშალა დატკეპნილი ღრუბელი მწვერვალებიდან. დელგმად მოვარდა დურუჯი. ლავას მოანთხევდა. სისხლნარევ კუპრს მოანთხევდა. მოჰქონდა დაგლეჯილი ხეები, ცარიელ აკვნებს მოატივტივებდა. ყვარელს წარღვნით ემუქრებოდა. გიორგის ანწლის ქოხს არწევდა, აქანებდა, მაგრამ ვერ აქცევდა. აიშალა სოფლები. ხალხმა თავსაყარს მიაშურა. ტიროდნენ დედები, ბალღები, მოხუცები... ტიროდნენ და მაინცა მღეროდნენ. ფეხი ებლანდებოდათ და მაინცა ცეკვავდნენ. ხალხი ალაზანს მიაწყდა. ალაზანს გაღმა ეჭირათ თვალი. ბორნით გადიოდნენ. საწყაულად იქცა ბორანი. ასი იყალთოელი, ასი გავაზელი, ასი შილდელი, ასი ჭიკაანელი... ყვიროდა მებორნე. მიდიოდნენ ბიჭები ზურგზე მოკიდებული ერთი კვირის საგზლითა, თბილი წინდებითა, შვილზე და ცოლზე ფიქრითა.

მაყვალა აქეთ მხარეს დატოვა გიორგიმ. ბორანს არ მოუცადა. ქურანა ცხენი ადიდებულ მდინარეში შეაგდო. ცხენმა ერთხელ დაიფრუტუნა და ფორთხით ავარდა ნაპირს. გიორგიმ მოიხედა, მაყვალას ხელი დაუქნია და მუკუზნის სადგურისაკენ გააქროლა ცხენი. იდგა მაყვალა გაცრეცილი, გაოგნებული... გიორგი კი რქააყრილი ვენახების შუა გაუჩინარდა.

მაყვალას დაუცარიელდა სიყვარულის ბეღელი. ფიქრის ბეღელი ავსებოდა თავამდე. ბოსტან-ვენახს მიეძალა. ადვილად გაერკვა მიუჩვეველი ქალი. პურის თონეში ჩაკვრაც ისწავლა და ზელვაცა. თოხნაც და ბარვაც. სოფელში გავიდა და სოფლის ხალხში კომლად იხსენიებოდა. კოლექტივის ზვრებიც გაიცნო და წისქვილში სიარულიც დაიწყო. დაეღრუბლა სახე მაყვალას. ეზო-კარს აღარ ავსებდა მისი სიცილი. დაავიწყდა ჩონგური. გიტარას სიმი გაუწყდა.

ერთი თვის შემდეგ აერია გუნებაგანწყობა ქალსა. გულს აზიდებდა, ლუკმა ებალღამებოდა. სატაცური მოინდომა. ალაზნის პირას მოსულაო — უთხრეს ქალებმა და ჩავიდნენ წითელი სატაცურის დასაკრეფად.

მაშინ ავარდა ნაკრძალში მაყვალა. მაშინ იპოვა ნაცნობი მუხა. დაკოურილ ხეს ლოყა მიადო და ცრემლით დაუსველა ტანი.

— გაიგე, გიორგი? როგორ თუ რაო, რა მიუხვედრელი ხარ, კაცო! გუშინ დედაკაცებმა სატაცური ამომიტანეს ალაზნის პირიდან. ჰოო! მიხვდი? მართალს ვამბობ, შენს გახარებასა. შენ რა უნდა მითხრა, ახლა საქმე ჩემზეა. ნამი მაპკურე და მარცვალი მიიბარე. ფესვი ჩამიდგი და საწოვარი ჩემზე იყოს. გულითა ვკვებავ, გულიდან მონადენი სისხლითა. აბა, ის რა დედაა შვილისთვის სისხლი რომ დაიშუროს. რა იქნებაო? რა ვიცი, რაც იქნება, სულ სიხარულია. ქალი იყოს, ჩემი სინდისნამუსით იაროს. ბიჭი იყოს და მუხა იყოს. ფესვი ჩვენი მიწის გულში ედგას და ტოტი ცისთვის მიეწვდინოს. რომ იწერები, მომენატრეო, განა მე არ მენატრები, კაცო? საქვეყნო საქმეზე ხარ და მე რა ხორცგაავებული და გულამოცლილი მნახე, რომა შენი თავი სხვენში დამემალა და კალთა გადამეფარებინა. ჩვენი ნუ გეფიქრება, გიორგი, ჩვენ რა გვჭირს საკითხავი. პურსაც ვიშოვით და ღვინოსაცა, ჰოო, ის უნდა მეთქვა, შენი ჩაყრილი ვაზი ჭიგოზე ავაკარი, ჩამოხვალ და მტევანაჯაგრული დაგხვდება. თავს გაუფრთხილდი. მე რა მიჭირს. მძიმე არ ასწიოო? ცხრა თვე მიწაში შევინახავ თავსა და ისევ ამოვალ. სოფელი მომხედავს, ხალხი თავს არ დამახრევინებს.

ცხრა თვე ეფერებოდა მაყვალა მკერდქვეშ ნადებ თავის ხორცის ნაწილსა. ცხრა თვე გაინებივრა თავი. საჭმელ-სასმელს ეტანებოდა და ხილ-ბოსტნეულსა. ყინვა-სიცივეს გაურბოდა და ცივ წყალში ფეხის ჩაყოფასა, სიმძიმის აწევასა და მოგრეხილად ჯდომასა. მკერდზე ავგაროზი დაიკიდა და წელზე თბილი შალი შემოიხვია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ერისკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შოთა ბარამიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

იოსებ იმედაშვილი, როგორც პროგრესული სოციალური იდეალების მოძღვარი, ვერ ეგუებოდა რეაქციულს, დრომოჭმულს, კონსერვატულს... განუზომელია მისი ავტორიტეტი, როგორც ქართული კულტურის უწმინდესი და უფაქიზესი მემატიანის, თეატრალური ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ბალავრის ჩამყრელისა.

ი. იმედაშვილი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, იყო პუბლიცისტი და კრიტიკოსი, 1905 წელს კახეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ავჭალის მუშათა თეატრის პირველი რეჟისორი და ქართული თეატრის მსახიობი, ავლაბრის სცენისმოყვარეთა პირველი ანტეპრენიორი, ოფიციალური სპექტაკლის რეჟისორი, პირველი ქართული უცხო სიტყვათა ლექსიკონის ავტორი, ლეგალური და არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გამომცემელ-გამავრცელებელი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი, აგრეთვე ბუკინისტი და სახალხო ტრიბუნი.

თავისი სიდარბაისლით, თეთრი წვერით, ხელჯოხითა და გოლიათური შეხედულებით იგი ამშვენებდა რუსთაველის პროსპექტს...

მას ბევრი ახალგაზრდა პოეტისა და მეოცნებისათვის გაუკაფავს არჩეული გზა, ბევრი უნუგეშოდ დაცემული წამოუყენებია ფეხზე და თავისი მამულიშვილური ვალი მოუხდია დედასამშობლოს წინაშე. ამიტომ არ ივიწყებს ქართველი ხალხი თავის კალთაში აღზრდილს და მუდამ სიყვარულით იხსენებს ჰუმანიზმის, ნათელი სოციალური იდეალებისათვის მებრძოლ ერისკაცს.

ი. იმედაშვილი ყოველთვის მტკიცედ იდგა თავისი ეპოქის პოლიტიკური და ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში. მას დიდი საქმე და გრძნობა აკავშირებდა ქართული მწერლობის თვალსაჩინო კოჰორტასთან: ა. წერეთელთან, ი. ჭავჭავაძესთან, ნ. ლორთქიფანიძესთან, ირ. ევდოშვილთან...

1904 წელს იოსებმა ათიათას სიტყვიანი უცხო სიტყვათა ლექსიკონი გამოსცა. ამ სოლიდურმა ნაშრომმა და მისმა შემდგომმა აკადემიურმა გამოცემებმა, რომლის შედგენა-დახვეწას ავტორმა ნახევარი საუკუნე შეალია, დიდი საქმე გააკეთა ქართველი მეცნიერული და მხატვრული ძალების ინტელექტუალური აღზრდის საქმეში.

იოსები რევოლუციური ხასიათის საგამომცემლო მუშაობით იყო გატაცებული. ი. ევდოშვილის თხზულებათა კრებული მან პირველად 1896 წელს დასტამბა.

1905 წელს ხალხმა იოსებ იმედაშვილი აირჩია გარე-კახეთ-ივრის ხეობის რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარედ, რომლის რეზიდენცია იყო საგარეჯოს რაიონის სოფელი ხაშმი. ეს იყო ხალხური მმართველობის ფორმა, საბჭოური ხელისუფლების პირველი ყლორტები.

სამწუხაროდ, ალტაცება დღემოკლე გამოდგა. დადგა რეაქციის მწუხარე წელი. მეფის მთავრობამ პოლიტიკური ანგარიშსწორება დაიწყო.

1905 წლის რევოლუციურ გაზაფხულზე, როცა გურიაში გამათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლი აგიზგიზდა და მეფის მთავრობამ ჯარის დამსჯელი ექსპედიციები ჩააყენა, გარე-კახეთ-ივრის ხეობის მშრომელებიც აღელვა ამ სისხლიანმა პოლიტიკურმა ამინდმა და უდიდესი გულისტკივილით გამოეხმაურნენ მას.

ამ დროს, როგორც თბილისის შემოგარენის, ისე გარეკახეთის აჯანყებულ სოფლებში, დიდი ენთუზიაზმით დადგა ტრიბუნაზე იოსები და ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე შთააგონებდა რევოლუციურ მასებს თვითმპყრობელობის დამხობის ისტორიულ აუცილებლობას.

იოსებ იმედაშვილმა დიდი მზრუნველობა გამოიჩინა დამსჯელი ექსპედიციებით გარშემორტყმული გურული გლეხობისადმი, რომელიც სულს ლაფავდა საშინელი სამხედრო რეპრესიების უღელქვეშ. გურიის სატკივარი მთელ საქართველოს ტკივილად მიაჩნდა მას. ამისათვის შეიმუშავა მან დახმარების გეგმა. ხალხმა გამოიტანა საპროტესტო გადაწყვეტილება გურიაში დამსჯელი ჯარის თარეშის გამო. აირჩიეს დეპუტაცია, რომელიც თავის აზრს მოახსენებდა კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. დეპუტაციის მეთაურად დაასახელეს იოსები. მეორე დღეს სახალხო დელეგაციის შემადგენლობა— ორმოცდაათი ცხენოსანი — იოსების მეთაურობით თბილისისაკენ გამოემგზავრა.

იოსებ იმედაშვილი შეხვდა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს და კატეგორიულად მოსთხოვა, გურიიდან დაუყოვნებლივ გამოეწვია ჯარები...

უსპეტაკესი სულის მქონე, ჰუმანური იდეალებითა და შემოქმედებითი ინტუიციით გულანთებული იოსებ იმედაშვილის ხსოვნის წინაშე, მისი დაბადების მეასე წლის თავზე, თავს ხრის მარად მადლიერი ქართველი ხალხი.

# ცოტა რამ არტილერიის ისტორიიდან

„დროშის“ მკითხველებს გვინდა მივაწოდოთ ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტი. 1879 წელს გაზეთი „დროება“ თავის 168-ე ნომერში წერდა: „ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ერთი ქართული ძველი ხელნაწერი წიგნი „არითმეტიკა, ლაბორატორია და გეომეტრია“, რომელიც დაწერილია პეტრე დიდის არტილერისტის ქ. გელოვანის მიერ 1710 წელს“. აი რას წერს გაზეთი ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის პაატას შესახებ: „პაატა ბატონიშვილი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო. რუსეთში ყოფნისას მას კარგად შეუსწავლია სამხედრო ხელოვნება, არტილერიის და ზარბაზნების ჩამოსხმის საქმეშიც დახელოვნებულა, სამშობლოში ჩამოსვლის დროს მას აქ ქვემეხების ჩამოსხმის საქმეც მოუგვარებია“.

ზარბაზნების ჩამოსხმა ქართველებმა რუსებისგან ისწავლეს. ერეკლე II-ის პერიოდში თბილისში არსებობდა იარაღის საწარმო, რომელშიც ზარბაზნებიც მზადდებოდა. ერეკლეს ზარაფხანა 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა დაანგრია. მისი აღდგენა ვისმე ისაია თაყუაშვილის ხელმძღვანელობით მოხერხდა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში არსებობდა კერძო სკოლები, რომლებშიც სხვა საგნებთან ერთად სავარაუდოა, სამხედრო საქმესაც ასწავლიდნენ. ამაზე მიგვანიშნებს დღემდე მოღწეული სხვადასხვა ხელნაწერი.

1778 წელს თბილისში გაიოზ არქიმანდრიტის ხელმძღვანელობით დაარსდა კერძო სკოლა, ხოლო იესე ბარათაშვილმა ჩამოაყალიბა წიგნის გადამწერთა დასი, რომლის მეშვეობით ვრცელდებოდა ხელნაწერი სახელმძღვანელოები მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის თუ სამხედრო დარგში. ფრიად საინტერესო ხელნაწერია „S-167“. იგი ორი დიდი ნაწილისაგან შედგება. ირკვევა, მისი პირველი „სივაკის მზომელობა ანუ პლანიმეტრია“ დაწერილია 1726 წელს მიხეილ ელიაშვილის მიერ, ხელნაწერი გაუსწორებია ვახტანგ მეექვსეს, ამ ხელნაწერის მეორე ნაწილი — „საარტილერიო წიგნი“ გიორგი თარხნიშვილს უნდა ეკუთვნოდეს. ხელნაწერის ყდის შიდა მხარეზე ვკითხულობთ მინაწერს: „ღვთისგან ამაღლებულმან მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან მპყრობელმან ქართლისა, კახეთისა, შამშადინისა, ყაზახისა და ბორჩალოსა მეორემან პატრონმა ირაკლიმ მიბრძანა რუსულს დასტურზე არტილერიის გაკეთება საქართველოს კაცს გიორგი თარხანს სახელთა მღთისათა, შეწევნით პატრონისა ჩემისათა გავაკეთე. გავაწყე ზარბაზნები, რომ რუსთაც დიდად მოსწონთ, ქართველთა და კახთაც დიდ იმედად უჩანსთ, ვინაც წარიკითხავდეს, შენდობას მიბრძანებდეთ, — ღ-თი შეგინდობსთ თქვენს ცოდვასა“.

ხელნაწერში დაწვრილებით არის აღწერილი როგორც ზარბაზნის ჰურევების, ასევე ხელით სასროლი ხელყუმბარების შემადგენლობა. აი რას წერს ხელნაწერის ავტორი „სოსტავი ხელით სასროლის გრანატისა: 24 ლუტი წმინდა წამალი, $10^1/_2$ ლუტი გვარჯილა, 3 ლუტი გოგირდი, $^3/_4$ ლუტი ნახშირი. ეს სოსტავი ერთმანეთში კარგად აურიე და ცოტა წყალი ზედ დააპრკვიე და მერე ის ცინდერი მაგრა გასტენე“.

ხელნაწერის დიდი ნაწილი ეთმობა ზარბაზანს, მის ჩამოსხმას, მოვლას, სროლის თეორიას და სხვა. ეს ნაწილი ასეა დასათაურებული „მოთხრობა ზარბაზანთათვის“. შემდეგ ავტორი მკითხველებს უხსნის ზარბაზნის დატენის და დამიზნების ხერხებს. „იცოდეთ, რომ ზარბაზნის გატენა ასე უნდა, უწინ გამოსაწმენდით წმინდათ გამოსწმინდე ზარბაზანი, მერე საწყაო წამალი ამოიღე და ის საწყაო წამლიანად ზარბაზანში შედევ და რა არშამანამდინ მივიდეს, მაშინვე, საწყაო გადმოაბრუნე და ისე გამოიღე, რომ წამალი სრულიად ზარბაზანში დარჩეს და ათაშნას ზუმბის დაკვრაში ხელი დააფარე, რომ წამალი არ გადმოსცვივდეს... მასუკან ცეცხლზედ შედგი და რომ კარგად აქრიოს ერთმანეთში მაშინ გადმოიღე ცეცხლისაგან და როგორც ამას ზემომოგითხრა ამ ფინდიხზედ ისე დაწყვე დება“.

გიორგი თარხანოვის (თარხნიშვილის — პ. ღ.). ხელნაწერი სახელმძღვანელო, როგორც ჩანს, დიდხანს ემსახურებოდა ქართველი ერის თავდაცვის საქმეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე გიორგი თარხნიშვილი ავტორია მათემატიკური ხელნაწერის („S—1531“). ეს ხელნაწერი, როგორც ჩანს, ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს პეტრე უმიკაშვილს შეუძენია ერეკლე მეფის მდივნის ომარ ხერხეულიძის შვილიშვილისაგან. ხელნაწერი ასე იწყება: „არითმეტიკა-პრაქტიკა რომელ არს აღმრიცხველობა არს ხელოვნება პატიოსანი უშურველ და ყოველთა ადვილ გულისხმას საყოფელი მრავლად უსარგებლესი და თავად უსაქებულესი“. ხელნაწერში დაწვრილებით არის გადმოცემული მთელი და წილადი რიცხვების არითმეტიკა. დიდი ნაწილი დათმობილი აქვს გეომეტრიას. გიორგი თარხნიშვილი დიდად განსწავლული პიროვნება ჩანს, მან, ვფიქრობთ, სათანადო ადგილი უნდა დაიმკვიდროს ჩვენი ერის ისტორიაში.

**პეტრე ღვინაძე,**

დოცენტი.

## საყურადღებო, სახალისო

### იდეალური დეგუსტატორი

27 წლის ამერიკელ მაიკლ ხარისს უცნაური პროფესია აქვს: იგი ჰოლივუდში მუშაობს და ხელფასს იღებს... შიშისათვის.

მაიკლ ხარისი სპეციალისტებმა კოშმარული კინოფილმების „იდეალურ დეგუსტატორად“ ცნეს.

მისი მოვალეობაა, ახალი კინოფილმის გასინჯვისას, დარბაზში იჯდეს და კოშმარულ კადრებს უყუროს. რაც უფრო ღელდება მაიკლი, მით უფრო კმაყოფილნი არიან ფილმის შემქმნელები — ბიზნესმა გაამართლა, კინოფილმი კოშმარულია, სალაროში კარგი შემოსავალი შემოვა.

თუ მაიკლი არ ღელავს — ფილმი მაშინვე კინოსტუდიას უბრუნდება გადასამუშავებლად.

### პლასტმასის საათი

ამერიკელმა ინჟინრებმა გადაწყვიტეს, საათის მექანიზმის ნაწილები პლასტმასისაგან დაამზადონ.

პლასტმასის საათი 10-ჯერ მსუბუქი იქნება ჩვეულებრივ საათზე და გაცილებით იაფი ეღირება.

პლასტმასის საათების გამოშვება უახლეს ხანში დაიწყება.

### მივხედოთ ჟაგრისებს

გაიმართა სტომატოლოგთა მსოფლიოს კონგრესი, რომელზეც აღინიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში კბილის ჯაგრისების 80 პროცენტზე მეტი არასწორად მზადდება.

ჯაგრისების უმრავლესობა მეტად მაგარი და წამახულია. ასეთი ჯაგრისი აზიანებს ღრძილებს, პირის ღრუს, კბილის მინანქარს, იწვევს სხვადასხვა დაავადებას.

კონგრესზე გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში შეიმუშაონ კბილის ჯაგრისის საერთაშორისო სანიმუშო ფორმა.

### ოქრო... აგურში

სპეციალისტებმა ამას წინათ შემთხვევით დაადგინეს, რომ ბულგარული ძველი აგურის ზოგიერთ სახეობაში შედის... ოქრო.

სწავლულებმა უკვე შეიმუშავეს აგურიდან ოქროს გამოყოფის ტექნოლოგია.

ბულგარელი სპეციალისტები იკვლევენ, როგორ მოხვდა ოქრო აგურის შემადგენლობაში.

### უცნაური პროფესია

შვეიცარიის მეტეოროლოგიურმა ცენტრმა გადაწყვიტა ქარის ატლასი შეადგინოს.

შეიქმნა შტატები. ხელფასს იღებს 3.000 კაცი, რომელთა მოვალეობაა თვალყური ადევნონ... კვამლს.

მილებიდან ამოსული კვამლის მიმართულებას მეთვალყურენი ზუსტად აღნუსხავენ საგანგებო რვეულებში.

ქარის ატლასის გამოშვების საქმე წინ მიდის.

### მოცურავე ველოსიპედი

ჰამბურგში გაიმართა ორიგინალურ გამოგონებათა გამოფენა.

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ინჟინერ ჰორტს ცაიტლერის ორთვლიანმა ველოსიპედმა, რომელიც... წყალში ცურავს.

გამოგონების ავტორი ველოსიპედით მივიდა მდინარესთან. ტომრიდან ორი „თხილამური“ ამოიღო, გაბერა, ბორბლებზე მიამაგრა და წყალში შევიდა.

ჰორტს ცაიტლერმა, რომელიც ველოსიპედზე იჯდა, ბორბლები დაატრიალა, ველოსიპედმა მდინარეში გაცურა.

მოცურავე ველოსიპედ-ნავს მალე სერიულად გამოუშვებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოცდაათი ტომი

ამერიკელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანი დღეში, საშუალოდ ერთი საათი ლაპარაკობს.

რასაც ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე იტყვის, ქაღალდზე რომ ჩავიწეროთ, ოცდაათტომიანი „თხზულებათა სრული კრებული“ გამოვა.

ამ კრებულის თითოეული ტომი ოთხასგვერდიანი იქნება.

## ახალი ჩემპიონი

გინესის ცნობილ წიგნს „რეკორდები“ ამას წინათ დაემატა მექსიკელი რეკორდსმენი ხუანე კანე.

იგი ოცდახუთი საათი შეუსვენებლად იდგა მიკროფონთან. გუნებადა[illegible]ნდული ხუანე კანე იხტიბარს არ იტეხდა და გაუთავებლად ყვებოდა ხუმრობებს, სასაცილო ისტორიებს, ანეკდოტებს...

ხუმრობის ახალი მსოფლიო ჩემპიონი გულწასული მოაცილეს მიკროფონს.

## ძროხა და რეკლამა

ინგლისის ერთ-ერთმა სარეკლამო ბიურომ თავის საქმიანობაში ჩააბა... ძროხები.

ლონდონისა და სხვა დიდი ქალაქების მისადგომებთან ხშირად შეხვდებით რკინიგზის გასწვრივ დაცემულ ველებზე მობალახე ძროხებს, რომლებსაც სარეკლამო პლაკატები აქვთ მიმაგრებული.

ასეთი პრაქტიკა თანდათან ფართო მასშტაბს იღებს.

## იჩქარეთ!

ერთმა ამერიკელმა ყურის ექიმმა, პაციენტების ყურადღება რომ მიეპყრო, გაზეთში ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის თითქმის ნახევარი სათვალეს ხმარობს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამითაც დასტურდება, ყურების გარეშე შეუძლებელია ფონს გასვლა. იჩქარეთ! პაციენტებს ყოველდღე ვიღებ: ცხრა საათიდან ღის ორ საათამდე“.

## არამწეველთა დღე

ინგლისში ყოველი წლის ათი თებერვალი თუთუნის არამწეველთა დღედ არის გამოცხადებული.

ბრიტანეთის არამწეველთა ნაციონალური საზოგადოების თხოვნით, ათ თებერვალს სიგარეტს არავინ უნდა მოსწიოს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ინგლისში თუთუნის მწეველთა რიცხვი რვა მილიონით შემცირდა.

## „დარჩით მშრალზე“

ყოფილმა მეზღვაურმა როლანდ სელდესტრემ ერთ-ერთ შვედურ გაზეთში ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„ვინც შინ სამ კრონს გამომიგზავნის, ვასწავლი როგორ აიცილოს ზღვის დაავადება. ჩემი რჩევა უტყუარია“.

მკითხველებმა, რომლებმაც ძველ მეზღვაურს სამი კრონი გაუგზავნეს, საპასუხოდ ასეთი ბარათი მიიღეს: „დარჩით მშრალზე“.

## ძვირფასო მკითხველებო!

დადგა 1984 წელი. უკვე შეიძლება შევაჯამოთ ზოგიერთი რამ და დავსახოთ მომავლის გეგმები. ამ გეგმების შედგენისას, ჩვენ გვინდა გავესაუბროთ ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს, მოვისმინოთ მათი მოსაზრებანი, სურვილები, შენიშვნები.

ჩვენ გვაინტერესებს: წლის განმავლობაში რომელი მასალები მოგეწონათ ჟურნალ „დროშაში“? თქვენი აზრით, რომელ თემებს ვაშუქებდით კარგად და რომელს — უფერულად?

მომავალი წელი ახალ ამოცანებს გვიყენებს: ეკონომიკური პრობლემები, შრომისნაყოფიერების ზრდა, დისციპლინის განმტკიცება, მოწინავეთა გამოცდილების პუბლიკაცია თუ საყოფაცხოვრებო საკითხები — კვლავაც იქნება ჟურნალ „დროშის“ აქტუალური თემატიკა.

მოგვწერეთ, რომელი თემები გაღელვებთ მუშებს, კოლმეურნეებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს, შრომით ინტელიგენციას?

ახალი წლიდან ჟურნალი ფართოდ გააშუქებს საერთაშორისო საკითხებს. მოგვწერეთ, რომელი საკითხები გაღელვებთ? განსაკუთრებით რომელი თემები გსურთ გავაშუქოთ?

ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე დიდი ადგილი დაეთმობა მორალურ-ეთიკური თემების პუბლიკაციას. უფრო ხშირად დაიბეჭდება წერილები შრომის მოწინავეებზე, სკოლასა და ცხოვრებაზე, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემებზე.

დავნერგავთ მკითხველთა შეკითხვაზე პასუხის გაცემის პრაქტიკას. რედაქცია გთხოვთ გვაცნობოთ, რომელ საზოგადო მოღვაწესთან, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელებთან, მეცნიერებთან, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან გსურთ შეხვედრა? ჟურნალის ფურცლებზე რა საკითხებზე გავამახვილოთ მათი ყურადღება?

გვინდა შემოვიღოთ ახალი განყოფილება: „მივლინება მკითხველის თხოვნით“. თქვენი დავალებით, მწერლები და ჟურნალისტები გაემგზავრებიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში და ამ რუბრიკით გამოაქვეყნებენ მასალებს.

რედაქცია ყოველთვის მოხარული იქნება მკითხველთა წერილების მიღებით.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ულრმეს მადლობას მოვახსენებთ, ორგანიზაციებსა და ამხანაგებს, რომლებმაც მოგვილოცეს „დროშის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წელი.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია

ჟურნალ „დროშის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული
კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ვეტერანი; 2. ზიკინა; 3. გრაცია; 4. ანოტაცია; 7. ფიზიკა; 12. დეფექტი; 14. ბარიერი; 15. ვერდი; 16. [illegible]; 19. ბოტანიკა; 20. არმადა; 21. ლოკატორი; 24. ამიმია; 25. ლიკანი.

თარაზულად: 5. ბენეფისი; 6. ბარიტონი; 8. „მერანი“; 9. ციტატა; 10. ნარზანი; 11. ბალადა; 13. აბზაცი; 15. ვეკუა; 17. ალეგრო; 18 სატირა; 22. იარდი; 23. იტალია; 25. ლირიკა; 26. მონარქი; 27. ანგარი; 28. კარატე; 29 აკუსტიკა; 30. კანცლერი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი ილია მოისწრაფიშვილი.
მეოთხე გვერდზე: პეიზაჟი. ფოტო ბონდო დვალიშვილისა და პავლე იუხანოვისა

კორექტორი ცისანა სიჭინავა
მონტაჟი მზია ლოგუანიძისა

გადაეცა წარმოებას 6. X. 83. წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. XI. 83 წ., უე 12810. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09, ტირაჟი 49.500. შეკვ. № 2344. ფასი 35 კაპ.
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-86, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



დებიუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინდექსი 76056

# დროშა